CMYK - 1

www.24saati.ge

24 საათი

The New York Times International Weekly ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი    პარასკევი 13 მარტი, 2009 წელი. №55 (2093)    ფასი 50 თეთრი

"24 საათის" ფიფქიანი ნომერი
*2424

ენგურჰესი "შეჩერდა"

A2



ორიგინალური სვლა გაერო-ს კონფერენციაზე

A8



ნუ, ბატონო პრეზიდენტო!

A10



"24 საათის"
ელექტრონული ვერსია
იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge

ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

GRDC group

ჯი პი აი
ვენის სადაზღვევო ჯგუფი

# საერთაშორისო აზრის იგნორირება

## ევროსაბჭოს პოზიცია მოსკოვს და მის მარიონეტებს არ აინტერესებთ

დიმიტრი ავალიანი

*რუსეთი თავს არიდებს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციების შესრულებას, ასევე - ასამბლეის ფარგლებში დიალოგში მონაწილეობას. ასამბლეის ბიუროს სპეციალური კომისიის სხდომა სწორედ რუსული დელეგაცის მიზეზით ჩაიშალა. ასამბლეის მიგრაციის, ლტოლვილთა და მოსახლეობის კომიტეტის თავმჯდომარე ხვალ ცხინვალში ჩასვლას გეგმავს. ამის გამო უკვე გამოთქვეს უკმაყოფილება კოკოითის რეჟიმის წარმომადგენლებმა.*

რუსეთ-საქართველოს დიალოგის საკითხზე ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ბიუროსთან შექმნილი სპეციალური კომისიის პირველი სხდომა ვერ შედგა. როგორც გუშინ ასამბლეის პრეზიდენტმა ლუის მარია დე პუჩმა განმარტა, რუსული დელეგაციის წევრებს **გამგზავრების პრობლემები შეექმნათ.**

გაგრძელება A3 გვერდზე




*კორიენ იუნკერი ხვალ ცხინვალს ეწვევა*

# ლეიბორისტების განსაკუთრებული პოზიცია

დათო გამისონია

*გუშინ, ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-მემორიალური მუზეუმის ეზოში, არასამთავრობო ორგანიზაციებმა და ოპოზიციურმა პარტიებმა ეროვნული თანხმობის დეკლარაციას მოაწერეს ხელი. საზოგადოების დარბაზი , ქართული აკადემია და არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიცია ოპოზიციური პოლიტიკური პარტიებისგან ითხოვენ საზოგადოებასთან ურთიერთშეთანხმებულ, კოორდინირებულ ქმედებას და ეროვნული თანხმობის მიღწევას, რაც აუცილებელ პირობად მიაჩნიათ დასახული ამოცანის შესასრულებლად, კერძოდ ხელისუფლების შესაცვლელად. გუშინდელ შეხვედრას გაუძღვა საზოგადოების დარბაზის დამფუძნებელი დათო მაღრაძე. შეხვედრაზე მრავლად მყოფ პოლიტიკურ ლიდერთაგან საზოგადოებას სიტყვით პირველმა ალიანსი საქართველოსთვის ლიდერმა ირაკლი ალასანიამ მიმართა.*

გაზეთ ივერიის ყოფილი გამომცემლობის ეზოში წარმოდგენილი ეროვნული თანხმობის დეკლარაცია პოეტმა დათო მაღრაძემ წაიკითხა. **საქართველო დღეისთვის სახელმწიფოებრივი კატასტროფის წინაშე დგას. სრულიად უპასუხისმგებლო, არასერიოზულმა რეჟიმმა ყველაფერი მოახერხა იმისთვის, რომ ჩვენი სამშობლო ამ გამოუვალ, უპერსპექტივო მდგომარეობაში ჩაეგდო,** - განუცხადა შეკრებილ საზოგადოებას მაღრაძემ.

გაგრძელება A2 გვერდზე

24 საათი — The New York Times — Articles selected for 24 საათი — Weekend

**1 მარტიდან**

საცალო ვაჭრობაში “24 საათის” სამშაბათის ნომერი ნიუ იორკ თაიმსთან ერთად ეღირება 1 ლარი. ასევე 1 ლარი ეღირება შაბათის გამოცემა WEEKEND. ხელმომწერებს ეს ცვლილებები არ შეეხებათ, მათთვის 24 საათის ყველა ნომრის ფასი 50 თეთრი იქნება.

მარტიდან შესაძლებელი იქნება 24 საათისგან დამოუკიდებლად მხოლოდ სამშაბათისა და შაბათის ნომრების ცალ-ცალკე გამოწერაც.

ასეთ შემთხვევაში ხელმოწერის ფასები შესაბამისად იქნება:

1 წლით ———————— 52 ლარი;
6 თვით ———————— 26 ლარი;
3 თვით ———————— 13 ლარი;
1 თვით ———————— 4 ლარი.

დაწვრილებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ: 8 (55) 53 56 55 ალეკო ლომიძე;

### "საქართველო ამერიკული ბაზების განთავსებისთვის მზად არის"

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ გრიგოლ ვაშაძის განცხადებით, ოფიციალური ვაშინგტონისგან შესაბამისი შემოთავაზების შემთხვევაში, საქართველო მზადაა, ქვეყნის ტერიტორიაზე ამერიკული სამხედრო ბაზები განათავსოს.

ეს განცხადება ვაშაძემ იაპონურ გაზეთ "ნიკეისთვის" მიცემულ ინტერვიუში გააკეთა.

ვაშაძის თქმით, ამერიკის შეერთებული შტატების შესაბამისი წინადადების შემთხვევაში, საქართველო ოფიციალურ ვაშინგტონს თანხმობას განუცხადებს.

**მედიანიუსი**

### ახალგორის რაიონიდან რუსული საოკუპაციო ჯარის დიდი ნაწილი გავიდა

ოკუპირებულ ახალგორის რაიონის სოფელ იკოთში დისლოცირებული რუსული საოკუპაციო ჯარების ნაწილი ოკუპანტებმა ცხინვალისკენ გადაიყვანეს.

როგორც ახალგორის რაიონის გამგებელმა ზურაბ ფიცხელაურმა განაცხადა, ოკუპანტებმა, რეგულარული არმიის ცოცხალ ძალასთან ერთად, ჯავშანტექნიკაც გაიყვანეს. ამჟამად ახალგორის რაიონში რუსული ჯარის მხოლოდ მცირე ნაწილი დარჩა. შესაძლოა, რუსებმა, როტაცია განახორციელეს, მაგრამ ჯერჯერობით მათ სანაცვლოდ სხვა რუსული ნაწილები არ შემოსულან. ყველაზე მეტად ის მაშინებს, რომ ახალგორში ისევ ოსური ბანდფორმირებები არ შემოვიდნენ, რადგან მათ თუ შემოიყვანენ, ადგილობრივი მოსახლეობის ძარცვას და დაწიოკებას განაახლებენ," - განაცხადა ზურაბ ფიცხელაურმა.

**მედიანიუსი**

### მიხეილ სააკაშვილმა ქუთაისში სემეკ-ის ახალი შენობა გახსნა

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გუშინ ქუთაისში ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის ახალ შენობა გახსნა. სემეკ-ი თბილისიდან ქუთაისში ერთი წლის წინ გადავიდა, ამ დრომდე ის ნაქირავებ ოფისში მუშაობდა. მშენებლობა ქუთაისში 10 თვის განმავლობაში მიმდინარეობდა. ახალი შენობა ევროსტანდარტების შესაბამისად გარემონტდა.

**პირველი**

### აფხაზეთიდან დევნილებს ნუკრიანის პიონერთა ბანაკიდან ასახლებენ

აფხაზეთიდან 15 წლის წინ იძულებით გადაადგილებულ პირებს, რომლებიც სიღნაღის რაიონში, სოფელ ნუკრიანში, პიონერთა ბანაკის ყოფილ შენობაში ცხოვრობენ, გუშინ შენობის დაცლა მოსთხოვეს, - იუწყება რადიო ჰერეთი". როგორც დევნილებმა რადიო ჰერეთს" აცნობეს, გუშინ დილით მათთან სამი ადამიანი მივიდა, რომლებმაც განაცხადეს, რომ სამინისტროდან იყვნენ და შენობის დაცლა კატეგორიულად მოითხოვეს. მათ ვინაობა არ გაგვიმხილეს, მხოლოდ გვითხრეს, რომ შენობა უნდა დავცალოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, იძულებით გასახლებით დაგვემუქრნენ" - აცხადებს ერთ-ერთი დევნილი ვანო სვანიძე. მისივე თქმით, ალტერნატიული ფართი ლაგოდეხის რაიონის ოსებით დასახლებულ სოფელ არეშფერანში შესთავაზეს, რაზეც მათ კატეგორიული უარი განაცხადეს. სიღნაღში მცხოვრები დევნილები ამბობენ, რომ სოფელი არეშფერანი რაიონულ ცენტრს არის მოწყვეტილი და იქ ცხოვრებაზე თავად ოსებმაც კი უარი თქვეს. როგორც რადიო ჰერეთმა" გაარკვია, დევნილებთან გუშინ ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ცენტრალური და ადგილობრივი წარმომადგენლები იმყოფებოდნენ.

სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგეობის შრომის, ჯანმრთელობის, სოციალური დაცვისა და ლტოლვილთა სამსახურის უფროსი რამაზ ტუხაშვილი, რომელიც გუშინ დევნილებთან იმყოფებოდა, აცხადებს, რომ სამინისტროს წარმომადგენლები მათ არ დამუქრებიან და მხოლოდ ალტერნატიული ფართი შესთავაზეს, რადგან შენობა ავარიულ მდგომარეობაშია და აქ ცხოვრება მათთვის საფრთხეს წარმოადგენს.

**მედიანიუსი**

# ენგურჰესი "შეჩერდა"

გიორგი ასანიშვილი

გარკვეული პაუზის შემდეგ ენგურჰესის მენეჯმენტის თემა კვლავ აქტუალური გახდა. არადა, სწორედ ამ პაუზამ აფიქრებინა ზოგიერთ ქართველ პოლიტიკოსს, რომ საქართველოს ხელისუფლებასა და რუსულ კომპანია ინტერ რაო -ს შორის მოლაპარაკებები ჩაიშალა. პარლამენტის ვიცე-სპიკერ პაატა დავითაიას თქმით, ენგურჰესის ერთობლივი მართვის შესახებ ხელშეკრულება მემორანდუმის გაფორმებიდან ერთი თვის ვადაში უნდა ხელმოწერილიყო და ვინაიდან ასე არ მოხდა, გამოდის, რომ შეთანხმება ჩაიშალა.

თუმცა, ოპოზიციონერი დეპუტატის მოსაზრებას რუსული მხარე არ ადასტურებს. ინტერ რაო -ს პიარ-დირექტორ ბორის ზვერევის განცხადებით, ენგურჰესის მენეჯმენტის საკითხზე ქართულ და აფხაზურ მხარეებთან სამუშაო განხილვები კვლავ მიმდინარეობს.

რაც შეეხება ხელშეკრულების გაფორმებისთვის განსაზღვრულ ერთთვიან ვადას, ზვერევის თქმით, მას ამის შესახებ ინფორმაცია არა აქვს.

ვითარებაში სიცხადე ვერც საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის გუშინდელმა განცხადებამ შეიტანა. ლაშა ჟვანიამ აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობასა და კომპანია ინტერ რაო"-ს შორის ხელშეკრულების გაფორმებაზე მუშაობა ჯერ არ დაწყებულა.



ლაშა ჟვანია: "მთავრობასა და აღნიშნულ კომპანიას შორის გაფორმებული მემორანდუმი მხარეებს არაფერს ავალდებულებდა."

**მოლაპარაკების დაწყების ან ჩაშლის შესახებ ინფორმაციას ვერ დაგიდასტურებთ, რადგან პროცესი, უბრალოდ, შეჩერებულია. თუ ეკონომიკის სამინისტრო დაიწყებს რაიმე ფორმით მუშაობს, ამის შესახებ ინფორმაციას მოგაწვდით,"** - განუცხადა ჟვანიამ ჟურნალისტებს.

მისივე განმარტებით, მთავრობასა და აღნიშნულ კომპანიას შორის გაფორმებული მემორანდუმი მხარეებს არაფერს ავალდებულებდა.

**მემორანდუმში ნათქვამია, რომ მხარეებმა, შესაძლოა, დაიწყონ მოლაპარაკებები. იმ შემთხვევაში, თუ მოლაპარაკებები არ დაიწყება, რაიმე სამართლებრივ-იურიდიული ძალა არც მემორანდუმს ექნება,"** - დასძენს ეკონომიკური განვითარების მინისტრი.

თავის მხრივ, ექსპერტი ეკონომიკურ საკითხებში გია ხუხაშვილი აცხადებს, რომ ხელშეკრულების გაფორმების ჩაშლის შესახებ ინფორმაციას არ ფლობს, მაგრამ კარგია, რომ ხელშეკრულება ჯერ გაფორმებული არ არის, ვინაიდან ამ ნაბიჯის გადადგმა საქართველოს ენერგოდამოუკიდებლობის საბოლოო დასამარებას ნიშნავს.

**სამწუხაროდ, ინფორმაციას ჩვენ მხოლოდ მაშინ ვგებულობთ, როდესაც პრემიერ-მინისტრი სტუდენტებს ხვდება. თითქოს მხოლოდ სტუდენტები და საპარლამენტო ოპოზიციაა იმის ღირსი, რომ ენგურჰესის შესახებ რაღაც ინფორმაცია ჰქონდეს,** - ინფორმაციაზე ხელმიუწვდომლობაც აწუხებს ხუხაშვილს.

როგორც იგი აღნიშნავს, ხშირად ვამბობთ, რომ შუქი გვაქვს, მაგრამ შუქს თავისი ფასი აქვს. **არ შეიძლება, ამის ფასი პოლიტიკური დამოკიდებულება ანუ საბჭოთა კავშირიში ინტეგრაცია იყოს. საბჭოთა კავშირში ჩვენ უკვე ვიყავით და მაშინ რას გამოვდიოდით იქიდან, დავრჩენილიყავით,** - ხელისუფლების ენერგოპოლიტიკას აკრიტიკებს ქართველი ექსპერტი.

# საერთაშორისო კონკურს "ალიანტე"-ში მონაწილეობის მიღების მსურველთა რეგისტრაცია დაიწყო

საერთაშორისო კონკურს "ალიანტე"-ში მონაწილეობის მსურველთა რეგისტრაცია უკვე დაიწყო. ამის შესახებ "ნატოს" საინფორმაციო ცენტრში პრესკონფერენცია გაიმართა. კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ 15-19 წლამდე ასაკის ახალგაზრდებს. მონაწილეები ინტერნეტის საშუალებით უპასუხებენ კითხვებს ნატო-ს, საერთაშორისო ურთიერთობებისა და უსაფრთხოების საკითხების შესახებ. კონკურსი "ალიანტე" ორ ეტაპად ტარდება და მიზნად ისახავს მოსწავლე-ახალგაზრდებში ნატო-ს შესახებ ცნობადობის ამაღლებას. ადგილობრივ დონეზე გამარჯვებულები საერთაშორისო ფინალში მონაწილეობის მისაღებად ლიტვაში გაემგზავრებიან. იქ გამარჯვებულს პრიზად ჩეხეთის სამხედრო ბაზების მონახულება ერგება.

პროექტი "ალიანტე" ნატოსა და ალიანსის წევრი ქვეყნების მთავრობების მიერ უკვე 10 წელია, ხორციელდება. საქართველოში პროექტის ორგანიზატორები არიან "ახალი თაობა-ახალი ინიციატივა" და "საინფორმაციო ცენტრი ნატო-ს შესახებ." პროექტი ხორციელდება საქართველოს თავდაცვისა და განათლების სამინისტროების მხარდაჭერით.

საქართველო კონკურსში პირველად შარშან მონაწილეობდა და აქტიურობის ყველა დროის რეკორდი მოხსნა. მასში 2000 მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა. **"ეს იყო კონკურსი, რომელშიც გაიმარჯვეს ქართველებმა,"** - განაცხადა თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა გიორგი უნჩაიძემ. წელს ადგილობრივ ეტაპზე გამარჯვებულთათვის დაგეგმილია სხვადასხვა მოსამზადებელი ღონისძიებები, მათ შორის ფიზიკური წვრთნის თვალსაზრისითაც.

კონკურსში მონაწილეთა რეგისტრაცია 22 მარტს სრულდება. დაინტერესებულმა პირებმა მონაწილეობის მისაღებად შეკითხვებს შემდეგ ონლაინ მისამართზე უნდა უპასუხონ: www.project-aliante.org

# "აშშ კვლავ საქართველოს მხარდამჭერად რჩება"

ამერიკელი პოლიტოლოგების აზრით, "ახალი ადმინისტრაცია ყოველთვის ახალი მიდგომებით მოდის ხელისუფლებაში, თუმცა მთავარია, რომ შეერთებული შტატები კვლავ საქართველოს მხარდამჭერად რჩება." საკუთარი მოსაზრებები ამერიკელმა ექსპერტებმა ვაშინგტონში მსოფლიოს უსაფრთხოებისა და საერთაშორისო ტერორიზმის შესახებ გამართული საერთაშორისო კონფერენციის მსვლელობისას დააფიქსირეს. ფორუმს საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივანი ეკა ტყეშელაშვილიც დაესწრო. ტყეშელაშვილი კონფერენციაზე სიტყვითაც გამოვიდა. მან დეტალურად ისაუბრა იმ თავდასხმების შესახებ, რომლებიც საქართველოში რუსული მხრიდან რუსეთ-საქართველოს ომამდე, ომის დროს და მის შემდეგ ხორციელდებოდა.

**პირველი**

**გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:** მამუკა ფარჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
**რედაქცია:** სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღირსიაშვილი (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49.* კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
**რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge**

# საერთაშორისო აზრის იგნორირება

პირველი გვერდიდან

მისი თქმით, სხდომა მოგვიანებით გაიმართება. თარიღი რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე კონსტანტინ კოსაჩევთან მოლაპარაკებისას დადგინდება. გუშინ პარიზში დაგეგმილ სხდომაზე მხარეებს ახალი კომისიის მიზნები და სამუშაო პროგრამები უნდა შეეთანხმებინათ.

კომისიის სხდომაზე დასასწრებად პარიზში გამგზავრების წინ საქართველოს პარლამენტის უმრავლესობისა და უმცირესობის ლიდერებმა პეტრე ცისკარიშვილმა და გიორგი თარგამაძემ განაცხადეს, რომ აპირებდნენ ბიუროს წინაშე რუსეთის მიერ საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციის შეუსრულებლობის საკითხი დაეყენებინათ.

პირველი რეზოლუცია რუსეთ-საქართველოს ომის შედეგების შესახებ ასამბლეამ გასული წლის ოქტომბერში მიიღო. დოკუმენტი რუსეთს ავალდებულებდა, გაეუქმებინა გადაწყვეტილება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარების შესახებ, ასევე გაეყვანა ჯარები საქართველოდან და დაეშვა საერთაშორისო დამკვირვებლები ოკუპირებულ ტერიტორიებზე.

იმის შესახებ, რომ თბილისი ასამბლეის რეზოლუციის მოთხოვნებს ძირითადად ასრულებს, ხოლო მოსკოვი რეზოლუციის მთავარ მუხლებს დღემდე იგნორირებას უკეთებს, ასამბლეის მომხსენებლების ლუკ ვან დერ ბრანდესა და მათიას ეორშის შუალედურ მოხსენებაში აღინიშნა. რეზოლუციის პირობების შესრულება მათ არაერთხელ თბილისშიც და მოსკოვშიც შეამოწმეს.

რეზოლუცია რუსეთ-საქართველოს ომის ჰუმანიტარული შედეგების შესახებ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ იანვარში მიიღო. ეს რეზოლუცია ადასტურებს წინა რეზულუციის მოთხოვნებს. იმავდროულად, რუსულ მხარეს ავალდებულებს, უზრუნველყოს ადამიანის უფლებების დაცვა ოკუპირებულ ტერიტორიებზე და დევნილთა დაბრუნება. ასამბლეის წევრებმა ბოლო სესიაზე კვლავ დაგმეს რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის ცნობა.

სწორედ ბოლო რეზოლუციის შესრულების საკითხს განიხილავს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მიგრაციის, ლტოლვილთა და მოსახლეობის კომიტეტის თავმჯდომარე კორიენ იუნკერი, რომელიც ხვალ ცხინვალს ეწვევა. ასამბლეის წარმომადგენელი ახალგორსაც მოინახულებს და იქ შექმნილ მდგომარეობას ადგილზე გაეცნობა. იუნკერი ასევე მოსკოვში და ვლადიკავკაზშიც ჩავა. კორინ იუნკერი საქართველოში გასული წლის ნოემბერშიც იმყოფებოდა. იგი თბილისს, სოხუმს და ე.წ. ბუფერულ ზონას" ეწვია.

ევროპის საბჭოს წარმომადგენლის ვიზიტის გამო ცხინვალში უკმაყოფილებას გამოთქვამენ. **ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ [სამხრეთ ოსეთისადმი] აგდებული დამოკიდებულება არაერთხელ გამოავლინა. გვინდა, იმედი ვიქონიოთ, რომ ასამბლეა ობიექტურად გააშუქებს სამხრეთ ოსეთში მომხდარ მოვლენებს. თუ ასამბლეის წარმომადგენლებს ეს შეუძლიათ, მოხარულები ვიქნებით, ისინი მივიღოთ,** - განაცხადა სეპარატისტული პარლამენტის სპიკერმა იური ძიწოითიმ.

რუსეთ-საქართველოს ომის შედეგების საკითხს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა საგაზაფხულო სესიაზეც დაუბრუნდება.

# ლეიბორისტების განსაკუთრებული პოზიცია

პირველი გვერდიდან

მისი თქმით, ხელისუფლებამ მონაწილეობა მიიღო ომის გაღვივებაში, ყოვლად სამარცხვინოდ ჩააბარა ქართული მიწა-წყალი რუსეთს და ისედაც უამრავ იძულებით გადაადგილებულ პირს ათიათასობით ახალი ლტოლვილი დაამატა. გარდა ამისა, დათო მაღრაძემ სააკაშვილის ხელისუფლება კრიმინალურ-პოლიციური რეჟიმის გაბატონებაშიც დაადანაშაულა.

თავის მხრივ, დეკლარაციის შემუშავების ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, ქართული აკადემიის წევრმა თემურ ნანეიშვილმა ოპოზიციას აქტიურობისკენ მოუწოდა და შეკრებილ პოლიტიკოსებს ასე მიმართა: **აქამდე თქვენ გვეძახდით და ახლა ჩვენ (საზოგადოება) დაგიძახებთ.** სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების, ხელოვანებისა და პოლიტიკური ოპოზიციის წარმომადგენლების შეხვედრაზე "ალიანსი საქართველოსთვის" ლიდერმა ირაკლი ალასანიამ განაცხადა: **ემოციურობაში არტისტებს ვერ გავეჯიბრებით, მაგრამ უნდა ითქვას, რომ პოლიტიკოსებისადმი საზოგადოების მოთხოვნა ურთიერთკოორდინირებული მოქმედების შესახებ ისეთი მნიშვნელოვანია, როგორც არასდროს.** მან ყურადღება გაამახვილა 9 აპრილს დანიშნული აქციის მნიშვნელობაზე. **მე მჯერა, რომ ეს თარიღი ჩვენი ქვეყნისთვის და მსოფლიოსთვის უნდა გახდეს საქართველოს საზოგადოებისა და პოლიტიკური ძალების ერთიანობის, თანხმობის დიდი ნიშანი. 9 აპრილამდე ჩვენ ერთიანი გეგმის შემუშავებით მივალთ და საზოგადოების ამ მოთხოვნის შესაბამისად, რომელსაც შევუერთდით, უახლოეს პერიოდში დავიწყებთ აქციების**



*ირაკლი ალასანია და ლევან გაჩეჩილაძე.*

**მომზადებას,** - აღნიშნა ალიანსი საქართველოსთვის ლიდერმა.

შეკრებილ საზოგადოებას ეროვნული თანხმობის დეკლარაციაზე ხელმოწერამდე სიტყვით მიმართა ლევან გაჩეჩილაძემ. მან მზადყოფნა გამოთქვა, რომ ნებისმიერ პოლიტიკურ მეგობარს სხვადასხვა წარმოდგენილ დოკუმენტებზე მოუწერს ხელს, **მიუხედავად განსხვავებული ტაქტიკური დაგეგმარებისა** . გაჩეჩილაძის თქმით, ეროვნული თანხმობის დეკლარაციაზე ხელმოწერა უდიდესი რამ არის და სწორედ ეს წარმოადგენს პირველად გარანტიას გამარჯვებისთვის. მან გასულ წელს განვითარებული პოლიტიკური მოვლენებიც გაიხსენა. **თუ ჩვენ შარშან იმის გამბედაობა არ გვეყო, რომ ვყოფილიყავით თავგანწირვის რეჟიმში, რათა ყველაზე დიდი საშიშროება მოგვეშორებინა საქართველოსთვის, წელს უკვე ერთიანობის საფუძველზე ეს კითხვა აღარ დაისმება. გაძლევთ იმის გარანტიას, რომ ერთობის შემთხვევაში, და ეს დღეს დგება, ჩვენ ძალიან მალე გავიმარჯვებთ. 9 აპრილს და მის შემდეგაც იქნება ისეთი დიდი დღესასწაული, როგორიც საქართველოს უახლოეს ისტორიაში ჯერ არ ყოფილა, რადგან დავამტკიცებთ, რომ ჩვენ შეგვიძლია, ჩვენვე გადავდგათ საქართველოსთვის საჭირო ნაბიჯები,** - განაცხადა ლევან გაჩეჩილაძემ.

კონსერვატიული პარტიის ლიდერმა ზვიად ძიძიგურმა განმარტა, რომ მის პარტიას თავისი პოლიტიკური ქმედებებით, შეიძლება ითქვას, წინასწარ ჰქონდა ხელი მოწერილი თანხმობის დეკლარაციაზე.

დეკლარაციას ეროვნული ფორუმის ლიდერი კახა შარტავაც შეუერთდა. მისი თქმით, **ასეთი პატივსაცემი ადამიანების ერთობა კიდევ უფრო ამაღლებს პასუხისმგებლობას. რაც არ უნდა ერთი მიზანი გვქონდეს, მისი მიღწევის რეალურობა და სიწრფელე საშუალებების მოძიებით დასტურდება, თუკი საშუალებამ არ ივარგა, მიზანი მოიწამლება და უარეს შედეგს მივიღებთ.**

ეროვნული თანხმობის დეკლარაციას ხელი მოაწერეს: პოლიტიკურმა გაერთიანებამ საქართველოს გზა , მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის , ტრადიციონალისტთა კავშირი , ქალთა პარტია , თუმცა იქ არ გამოჩენილა დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოს ლიდერი ნინო ბურჯანაძე და დეკლარაციას პარტიის სახელით რომან კუსიანმა მოაწერა ხელი. რაც შეეხება ლეიბორისტულ პარტიას , შეხვედრაზე მყოფმა სოსო შატბერაშვილმა განაცხადა, რომ ლეიბორისტები უერთდებიან ეროვნული თანხმობას და არა კოორდინირებული მუშაობის შესახებ დეკლარაციას.

## კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარებაზე კონფერენცია გაიმართება

27 მარტს თბილისში პარლამენტის ბიზნესისა და ეკონომიკის ცენტრისა და ასოციაცია მშვიდობიანი და საქმიანი კავკასიის" ორგანიზებით გაიმართება კონფერენცია თემაზე: კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების სტრატეგიები." ამ ღონისძიების გამო გუშინ ბიზნესისა და ეკონომიკის ცენტრში კონფერენციის მრჩეველთა საბჭოს სხდომა გაიმართა, რომლის შემადგენლობაშიც წამყვანი არასამთავრობო, ბიზნესსექტორის და ხელისუფლების წარმომადგენლები, ასევე ექსპერტები შედიან. როგორც მრჩეველთა საბჭოს სხდომის შემდეგ გამართულ ბრიფინგზე ექსპერტმა გოგი ხუციშვილმა განაცხადა, აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტიპის კონფლიქტებს, მშვიდობიანი გზით მოგვარების გარდა, სხვა ალტერნატივა არა აქვს. დაკარგული ტერიტორიების ძალით დაბრუნების მცდელობა წარუმატებლად დასრულდება, ამიტომაც კონფლიქტების გადასაჭრელად კონსტრუქციული დიალოგი უნდა დაიწყოს. აფხაზეთის საკითხის სპეციალისტ თენგიზ პაჭკორიას განცხადებით, კონფერენციის მიზანი იქნება ხელისუფლებისათვის კონკრეტული იდეების გაცნობა იმის შესახებ, თუ როგორ არის შესაძლებელი კონფლიქტის მშვიდობიანი გზით გადაჭრა პოლიტიკური, სამართლებრივი, ეკონომიკური და სხვა მიმართულებებით. მისივე თქმით, შესაძლოა, ასეთი იდეები აქამდეც არსებობდა, თუმცა მას ნაკლებად უსმენდნენ. მისივე თქმით, როგორც აფხაზეთის პოლიტიკური ელიტის, ისე საზოგადოებისგან ქართულ მხარესთან შეხვედრის და დიალოგის დაწყების სურვილი გამოითქმება. ასეთი დამაიმედებელი იმპულსები რუსეთ-საქართველოს ომამდეც არსებობდა და ომის დამთავრების შემდეგაც იგრძნობა. ამასთან, თენგიზ პაჭკორიას განცხადებით, რუსეთის მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარება თვით აფხაზებისთვისაც კი შოკის მომგვრელი აღმოჩნდა. კერძოდ, ისინი უკვე შიშით კითხულობენ, თუ რატომ აღიარა რუსეთმა აფხაზეთის დამოუკიდებლობა და რისი მანიშნებელი უნდა იყოს ეს მათთვის.

ექსპერტ ვახტანგ მაისაიას განცხადებით, 27 მარტს დაგეგმილი კონფერენცია პირველი მცდელობაა იმისა, რომ ხელისუფლების, სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები და პოლიტიკური ჯგუფები კონფლიქტის მშვიდობიანი გზით გადასაჭრელად ერთიანი ხედვის ჩამოსაყალიბებლად შეიკრიბონ. მისი თქმით, ამ საკითხზე ქართული საზოგადოების გაერთიანება მეტად მნიშვნელოვანია.

**მედიანიუსი**

## ინგა გრიგოლია "პირველი არხის" გენერალური დირექტორის მოადგილის თანამდებობიდან გადადგა

პირველი არხის გადაცემა "პოლიტიკური კვირის" წამყვანმა ინგა გრიგოლიამ არხის გენერალური დირექტორის მოადგილის თანამდებობიდან გადადგომის შესახებ განცხადება დაწერა. როგორც გრიგოლიამ განაცხადა, ეს გადაწყვეტილება თავისი სურვილით მიიღო და არხის გენერალურ დირექტორ ლევან ყუბანეიშვილის მხრიდან არავითარი ზეწოლა არ ყოფილა. არხის ხელმძღვანელობამ ირაკლი ოქრუაშვილის პირდაპირ ეთერში ჩართვის უფლება არ მომცა, რადგან ისინი მიიჩნევენ, რომ მსჯავრდებულიადამიანებს ეთერში ჩართვის უფლება არა აქვთ. მე მათ პოზიციას არ დავეთანხმე და აღნიშნული გადაწყვეტილებაც ამიტომ მივიღე. ჩემი განსხვავებული პოზიციის გამო, მე არ შემეძლო, დავრჩენილიყავი არხის გენდირექტორის მოადგილედ პოლიტიკურ საკითხებში. პირადად მე, როგორც რიგითი ჟურნალისტი, მსგავს სიტუაციაში პროტესტით, პირველ რიგში, პოლიტიკური საკითხების ხელმძღვანელს მივმართავდი და სამართლიანიც იქნებოდა. ამიტომ გადავწყვიტე, მოვიხსნა ის პასუხისმგებლობა, რაც ამ თანამდებობას ახლდა და დავრჩე რიგით ჟურნალისტად, რომ ჩემი საქმის კეთებისას უფრო მეტად თავისუფალი ვიყო. არხის ხელმძღვანელობას ჩემ მიერ ამ გადაწყვეტილების მიღებაში არავითარი წვლილი არ მიუძღვის, პირიქით - ლევან ყუბანეიშვილი მთხოვა კიდეც, რომ თანამდებობაზე დავრჩენილიყავი. ყოველ შემთხვევაში, ამით არაფერი შეცვლილა, პოლიტიკური კვირა" ჩვეულებრივად გავა პირველი არხის ეთერში. უფრო მეტიც, აქამდე ჩემი გადაცემისთვის ვერ ვახერხებდი ბევრი ექსკლუზივის მოპოვებას, იქიდან გამომდინარე, რომ მთლიანად არხის საინფორმაციო პოლიტიკაზეც უნდა მეფიქრა. თანამდებობის დატოვების შემდეგ გადაცემის მომზადებასაც უკეთესად შევძლებ," - განაცხადა ინგა გრიგოლიამ.

**მედიანიუსი**

### აშშ-ს ბირჟაზე კვლავ ზრდაა

გუშინ, აშშ-ს საფონდო ბირჟაზე ძირითად ინდექსთა ზრდა გაგრძელდა. ინვესტორთა განწყობაზე დადებითი გავლენა ამერიკის ფინანსთა მინისტრის ტიმ გაიტნერის განაცხადებამ მოახდინა, რომელმაც აღნიშნა, რომ მთავრობა განახორციელებს სერიოზულ დაფინანსებას, რითაც ბანკებს წამგებიანი აქტივების სწრაფად თავიდან მოშორების სტიმულს მისცემს. საბოლოოდ, Dow Jones Index 0,06 პროცენტით, 6.930,40 პუნქტამდე გაიზარდა. 0,98 პროცენტით გაზრდილმა Nasdaq Index-მა 1.371,64 პუნქტი შეადგინა, ხოლო S&P 500 Index-მა 0,24 პროცენტით, 721,36 პუნქტამდე მოიმატა.

### ევროპას დეფოლტების ტალღა ემუქრება

ავტორიტეტული გამოცემის The Wall Street Journal-ის ინფორმაციით, ევროპა აშშ-ზე უფრო დიდ საფრთხეში იმყოფება, რადგან მას დეფოლტების (შეუსრულებელი ვალდებულება) საფრთხე ემუქრება. გამოცემის ანალიტიკოსთა მოსაზრებით, ევროპული კომპანიების ვალდებულებები ხარისხით გაცილებით ცუდია, ვიდრე ამერიკული კორპორაციების ობლიგაციები. მართალია, მთელი მსოფლიოს მასშტაბით კომპანიები ვალების რეფინანსირების მხრივ პრობლემებს განიცდიან, მაგრამ ექსპერტები თვლიან, ამ მხრივ ევროპაში ყველაზე მძიმე სიტუაციაა.

აღსანიშნავია, რომ უკვე 18 თვეა ევროპაში არ განხორციელებული მსხვილი გარიგება ე.წ. "ნაგვის ობლიგაციებით", რაც მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებს. კომპანიები ცდილობენ კრედიტორებს ვალების რესტრუქტურიზაციაზე მოელაპარაკონ, მაგრამ ბანკებს თავიანთი პრობლემები ექმნებათ და ისინი დათმობაზე ძალზე უხალისოდ მიდიან.

### ჩინეთში ინვესტიციების მოცულობა გაიზარდა, ექსპორტ-იმპორტი კი შემცირდა

მიმდინარე წლის იანვარ-თებერვალში ჩინეთის ეკონომიკაში განხორციელებული ინვესტიციების მოცულობა 26,5 პროცენტით გაიზარდა, თუმცა, ამავე პერიოდში, ექსპორტისა და იმპორტის, შესაბამისად, 25,7 და 24 პროცენტით შემცირდა. აღნიშნული ინვესტიციები, რომელთა მთლიანი მოცულობა 1,03 ტრილიონი იუანია (150 მილიარდი დოლარი) ინფრასტრუქტურის განვითარებას, კერძოდ, ავტობანებისა და რკინიგზების მშენებლობას მოხმარდა. რაც შეეხება ექსპორტისა და იმპორტის მოცულობის შემცირებას, ეს გლობალური კრიზისის გამოძახილია. სავაჭრო ბალანსის პროფიციტმა კი 4,8 მილიარდი დოლარი შეადგინა. ეს ანალიტიკოსთა პროგნოზთან შედარებით, რომელიც 28,3 მილიარდი დოლარის ფარგლებში იყო ნავარაუდევი, ბევრად ცუდი მაჩვენებელია. ექსპერტები თვლიან, რომ უახლოეს მომავალში ექსპორტის მოცულობა ალბათ არც მოიმატებს. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, ანალიტიკოსთა აზრით, ჩინეთის მთავრობის მიერ შემუშავებული გეგმა ეკონომიკის სტიმულირების შესახებ თავის ნაყოფს გამოიღებს და ქვეყანა შეძლებს დასახული მიზნის მიღწევას, რაც 8 პროცენტიან ეკონომიკურ ზრდაში მდგომარეობს. ექსპერტთა აზრით, ჩინეთს დასახული გეგმის განხორციელებაში ხელი შეიძლება ექსპორტის სიმცირემ შეუშალოს.

### ირანი ახალი ვალუტის შემოღებას ითხოვს

ირანის პრეზიდენტმა მაჰმუდ აჰმადინეჯადმა ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის წევრებს ერთიანი ბანკისა და ერთიან ვალუტაზე გადასვლის წინადადებით მიმართა. ამგავრი იდეა მან ტეირანში მიმდინარე ამ ორგანიზაციის მეათე სამიტზე გააჟღერა და აღნიშნა, რომ ამგვარად გლობალური ეკონომიკური კრიზისის დაძლევა უფრო გაიოლდება. ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია 1985 წელს ირანის, პაკისტანის და თურქეთის ინიციატივით შეიქმნა, როგორც სამთავრობოთაშორისი რეგიონალური სტრუქტურა. მოგვიანებით ორგანიზაციას შეუერთდნენ ავღანეთი, აზერბაიჯანი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი, თურქმენეთი და უზბეკეთი. ორგანიზაციის სამოქმედო პრიორიტეტულ მიმართულებებად სავაჭრო-ეკონომიკური, სატრანსპორტო-საკომუნიკაციო, ენერგეტიკული და სოციალურ-ჰუმანიტარული სფეროები ითვლება. თუ ირანის ინიციატივას მხარს დაუჭერენ ორგანიზაციის წევრები არა მარტო ერთმანეთთან, არამედ სხვა ქვეყნებთან ანგარიშსწორებას ახალი ვალუტით განახორციელებენ. აჰმადინეჯადის თქმით, ბოლო უნდა მოეღოს ამერიკული დოლარის ბატონობას მსოფლიო ფინანსურ ბაზარზე.

### კრიზისს პირველი კანადა გადალახავს

კანადის პრემიერ-მინისტრმა სტივენ ჰარპერმა განაცხადა, რომ მისი ქვეყანა კრიზისს სხვებზე სწრაფად გადალახავს. თუმცა, მან ისიც აღნიშნა, რომ ამისათვის აუცილებელია აშშ-ს ფინანსური სისტემის გაჯანსაღება. ჰარპერის თქმით, იგი ასე იმედიანად იმიტომ არის განწყობილი, რომ განვითარებული ქვეყნებიდან კანადამ კრიზისში უკანასკნელმა შეაბიჯა და უკანასკნელ დრომდე მის ქვეყანაში საბანკო სისტემის კრახი და იპოთეკური კრიზისი არ შეინიშნება, მთავრობას კი ეკონომიკის სტიმულირების მრავალმილიარდიანი პროგრამისათვის ჯერ არ მიუმართავს.

ექსპერტები ჰარპერის განცხადებას სკეპრიციზმით მოეკიდნენ. მათ ჯერ არ შეუძლიათ თქვან, როდის დაიწყება მსოფლიო ეკომონიმოკის აღდგენა, რადგან ამჟამინდელი სიტუაციის მსგავსი რამ აქამდე არასოდეს მომხდარა. მათი აზრით, გარდამტეხი მომენტის დადგომა, სავარაუდოდ, 2010 წლის ბოლოსთვის არის მოსალოდნელი.

# ნავთობის ფასმა მკვეთრად მოიკლო

გუშინ, ლონდონისა და ნიუიორკის ნავთობის ბირჟებზე "შავი ოქროს" ფიუჩერსებზე (სამომავლო კონტრაქტები) ფასების მნიშვნელოვანი კლება დაფიქსირდა. კერძოდ, 1 ბარელი Brent-ის მარკის ნავთობი 41,4 დოლარი ღირდა, Light-ის მარკის ნავთობი კი 42,33 დოლარი/ბარელამდე გაიაფდა.

ბუნებრივი აირის ფასმაც მოიკლო და მილიონი ბრიტანული თერმული ერთეულის - BTU-ს (ენერგიის ერთეული, რომელიც აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში გამოიყენება. მილიონი თერმული ერთეული 27 კუბური მეტრი ბუნებრივი აირის წვისას გამოყოფილ ენერგიას შეესაბამება) ღირებულებამ 6,186 დოლარი შეადგინა.

"შავი ოქროს" გაიაფების მიზეზი კვლავინდებურად მსოფლიო ეკონომიკაში არსებული კრიზისული ვითარება და ენერგომატარებლებზე მოთხოვნილების კლება გახლდათ. გარდა ამისა, გავლენა აშშ-ში ნავთობისა და ნავთობპროდუქტების მარაგების შესახებ გავრცელებულმა ინფორმაციამ მოახდინა.

კვლავ მოიკლო "ოპეკის სანავთობე კალათის" ფასმაც და მისმა ღირებულებამ 42,7 დოლარი/ბარელი შეადგინა, რაც 3 მარტის შემდეგ დაფიქსირებული მინიმალური მაჩვენებელია.

შეგახსენებთ, რომ ტერმინი ოპეკის კალათა" (OPEC Reference Basket of Crudes) ოფიციალურად 1987 წლის 1 იანვრიდან შემოიღეს და იგი კარტელის წევრი ქვეყნების მიერ მოპოვებული 13 მარკის ნავთობის ღირებულების საშუალო არითმეტიკულით გამოითვლება. ესენია: ალჟირული Saharan Blend, ანგოლური Girassol, ინდონეზიური Minas, ირანული Iran Heave, კუვეიტური Kuwait Export, ლიბიური Es Sider, ნიგერიული Bonny Light, ეკვადორული Oriente, ყატარული Qatar Marine, Arab Light (საუდის არაბეთი), Murban (არაბეთის გაერთიანებული საემიროები) და ვენესუელური BCF 17.

1999 წლიდან ოპეკის ქვეყნებმა გააუქმეს 22-28 დოლარი/ბარელის ფარგლებში არსებული ოფიციალური ფასთა დერეფანი", 2006 მარტიდან კი კალათის" ფასების საზღვარი დეკლარაციულად 50 და 60 დოლარი/ბარელით განისაზღვრა.

"ოპეკის კალათის" ფასის ისტორიული მაქსიმუმი 140,73 დოლარი/ბარელი 2008 წლის 3 ივლისს დაფიქსირდა.

# მეოთხე თაობის ინტერნეტი თბილისში

## მაქსიმალმა ვაიმაქს ტექნოლოგია საქართველოს ოთხ ქალაქში დანერგა

ნინო ნატროშვილი



არსებული მონაცემებით საქართველოს ინტერნეტ ბაზარი დაახლოებით ორჯერ იზრდება. შესაბამისად კრიზისამდე საკმაოდ სწრაფად იზრდებოდა პერსონალური და პორტატული კომპიურტერების გაყიდვების მაჩვენებელიც. როგორც ბიზნესს"კომპანა მაქსიმალის" კომერციულმა დირექტორმა სოსო ქარუმიძემ განუმარტა, ვაიმაქს ტექნოლოგიაზე დაფუძნებული მეოთხე თაობის ინტერნეტმომსახურება სწორედ პორტატულ კომპიუტერებზეა გათვლილი. ახალი ტექნოლოგია მცირე ზომის უკაბელო USB მოდემის საშუალებით ინტერნეტის მიღებას გულისხმობს. ახალი ტიპის მოდემი პორტაბელურია და თავისუფალია კაბელებისაგან. ამიტომ მისი საშუალებით მეოთხე თაობის ინტერნეტის მიღება შესაძლებელაი ნებისმიერ ადგილას, მაქსიმალის დაფარვის ზონაში. რაც ამ ეტაპზე თბილისს, წყნეთს, რუსთავს, ფოთს და ბათუმს მოიცავს.

მაქსიმალის" მეოთხე თაობის ინტერნეტის ჩართვა საკმაოდ მარტივია. მომხმარებელი მიღებს უკაბელო USB მოდემს, რომელიც მარტივად უერთდება პორტატულ კომპიუტერს. მისი მთავარი უპირატესობა არის პორტაბელურობა, ის უკაბელოა და მომხმარებელს თავისუფლად გადაადგილების საშუალებას აძლევს, დაფარვის ზონის მთელ ტერიტორიაზე. 2009 წელს დაფარვის ზონის გაფართოების შედეგად, მაქსიმალი ხელმისაწვდომი საქართველოს მთავარ ქალაქებსა და კურორტებზე გახდება "- ამბობს კომპანიის აღმასრულებელი დირექტორი თეიმურაზ ღოლობერიძე. მისი თქმით, 2009 წელს კომპანია 25-30 მილიონი დოლარის ინვესტიციას გეგმავს. რომლის ფარგლებშიც გაიხსნება 63-65 ფილიალი და ვაიმაქსის სიხშირით საქართველოს სრულად დაფარვა მოხდება.

ახალი მიმართულების ტექნოლოგიის დანერგვაზე საზოგადოების მოთხოვნა არსებობს. ვაიმაქს ტექნოლოგიაში, ადგილობრივ ბაზარზე პირველი კომპანია ვართ. მომხმარებელს ვთავაზობთ მომსახურების მაქსიმუმს რაც ჩვენს კომპანიას გააჩნია. ამ ეტაპზე 25 დილერი გვყავს საქართველოში და მაქსიმალის" ინტერნეტის მოხმარების მსურველებს, ამ პროცედურეს განხორციელება უმტკივნეულოდ შეუძლიათ. ახალი პროდუქტი, ეს არის ინტერნეტ სერვისი პირველ რიგში ლეფტოპების მომხმარებლებისათვის. საქართველოში ლეფტოპებზე მოთხოვნა იზრდება და ამოტომ გაჩნდა ამ ტიპის ინტერნეტზე მოთხოვნაც. მალე გვექნება მოდმის სხვადასხვა სახეობა, რომელსაც მომხმარებელი თავისი გემოვნების მიხედვით აარჩევს. მოდემი მარტივად უერთდება კომპიურტერს. საჭიროა კომპიუტერში სპეციალური პროგრამის ჩაწერა. ამ ეტაპზე ეს პროდუქტი გავიტანეთ როგორც კორპორატიულ ისე საცალო ბაზარზე. შესაბამისად გვაქვს შესაბამისად განსხვავებული პაკეტები" - განუცხადა ბიზნესს" კომპანიის კომერციულმა დირექტორმა სოსო ქარუმიძემ.

მომხმარებლისათვის მაქსიმალია" მინიმალურ შეთავაზებას ქვია ოპტი" - რომელიც ძირითადად სკოლის მოსწავლეებისათვის და სტუდენტებისათვის არის განკუთვნილი. მეორე პაკეტია პროფი" რომელიც სჭირდებათ ბიზნესმენებს და პროფესიონალებს. ამ ადამიანებს სურთ, ჰქონდეთ მაღალი ხარისხის სწარფი ინტერნეტი.

და ბოლოს პაკეტი მაქსი", რომელიც აკმაყოფილებს მომხმარებლის მაქსიმალურ მოთხოვნებს. მოდემის ფასი არის 200 ლარი. თუმვცა კომპანია მომხნმარებელს მოდემს განვადებითაც სთავაზობს. 35 ლარიანი ოპტი" პაკეტის ყიდვის შემთხვევაში მოდემის განვადებასთან ერთად მომხმარებლები გადაიხდიან 55 ლარს. ოპტის" ფასია 55 ლარი, ხოლო პაკეტი პროფი" 75 ლარიანია და მაქსი" კი სერვისიდან გამომდინარე 95 ლარი ღირს.

# საჯარო ფინანსების მართვის შესახებ კონფერენცია გაიმართა

11 მარტს სასტუმრო თბილისი მარიოტში" გაიმართა კონფერენცია თემაზე: საჯარო ფინანსების მართვა საქართველოში - დიალოგი სამოქალაქო საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის".

კონფერენცია "სამოქალაქო საზოგადოება და საჯარო პოლიტიკის რეფორმის" პროექტის ფარგლებში ჩატარდა.

ღონისძიებაზე "სამოქალაქო საზოგადოება და საჯარო პოლიტიკის რეფორმის" პროექტის მმართველი ჯგუფმა შეაჯამა პროექტის ორი წლის საქმიანობა. გარდა ამისა, გაჟღერდა მომავალი წელიწადნახევრის განმავლობაში ევროგაერთიანების დახმარებით განსახორციელებელი ანალოგიური ინიციატივები.

კონფერენციას დიდი ბრიტანეთის ელჩი საქართველოში დენის კიფი, სამოქალაქო საზოგადოების ლიდერები, ხელისუფლების და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

პროექტი ძსამოქალაქო საზოგადოება და საჯარო პოლიტიკის რეფორმა" დიდი ბრიტანეთის და შვედეთის მთავრობების მიერ დაფინანსებული პროგრამა გახლდათ, რომელიც 2007-2009 წლებში ბრიტანული საკონსულტაციო კომპანია "Adam Smith International" და ქართული ორგანიზაციების ჯგუფი ბრიტანულ-ქართული პროფესიული ქსელის მიერ ხორციელდებოდა.

# უზენაესი სასამართლო ომბუდსმენის რეკომენდაციას არ იზიარებს

*საქართველოს უზენაეს სასამართლოს თავმჯდომარე კონსტანტინე კუბლაშვილი გამოეხმაურა სახალხო დამცველის რეკომენდაციას, რომლითაც ომბუდსმენი კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებების გადასინჯვას ითხოვდა.*

კონსტანტინე კუბლაშვილის თქმით, ომბუდსმენის რეკომენდაცია ვერ იქნება გაზიარებული, რადგან: **კანონი თავისი არსით ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და სამართლებრივი უსაფრთხოების დამკვიდრებას. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, უნდა არსებობდეს ზღვარი სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრებისათვის, რათა პროცესის მონაწილე მხარეებს დაუსრულებლად არ შეეძლოთ, ეჭვქვეშ დააყენონ გადაწყვეტილება, რომელიც ფორმალურად კანონის ძალის მქონეა . ამდენად, როგორც წესი, დაუშვებელია კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების შეცვლა ან გაუქმება. ყოველ ცალკეულ შემთხვევაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესი ვერ გაგრძელდება დაუსრულებლად. თუმცა, არსებობს გამონაკლისი შემთხვევები, რომლებსაც ქართული კანონმდებლობაც ითვალისწინებს. სამართლებრივი უსაფრთხოება სამართლებრივი სახელმწიფოს ძირითადი პრინციპის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია და მისი მიზანია საზოგადოებაში სამართლებრივი მშვიდობის დამყარება".**

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე განმარტავს იმასაც, რომ 1961 წლის 1 მარტიდან მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მეექვსე კარი განსაზღვრავდა კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებების საზედამხედველო და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გადასინჯვის წესებს. 1999 წლის 15 მაისიდან საქართველოში ამოქმედდა ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომლის 680-ე მუხლის მე-8 ნაწილით დადგინდა, რომ სისხლის სამართლის საქმეებზე საზედამხედველო პროტესტები, რომლებიც ამ კოდექსის ამოქმედებამდე იყო შეტანილი, აღარ განიხილებოდა, ხოლო ამ უკანასკნელთათვის და ასევე კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებების ხელახლა განხილვისათვის განისაზღვრა გადასინჯვის ერთადერთი პროცედურა - ახლად გამოვლენილ და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, ისიც, მხოლოდ შესაბამისი საფუძვლის არსებობისას. ამასთან, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს ან სხვა თანამდებობის პირებს აღარ აქვთ უფლება, პროტესტი შეიტანონ კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებების გადასინჯვაზე. ასევე, აღარ არსებობს სასამართლოების მიერ ამგვარი პროტესტის განხილვის მექანიზმი და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი საპროცესო ფორმა, რომლის შესაბამისად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს ან სისხლის სამართლის საქმეთა პალატას უფლება ექნებოდა, სახალხო დამცველის რეკომენდაციის საფუძველზე შეემოწმებინა კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერება და მიეღო შესაბამისი გადაწყვეტილება

**ნიშანდობლივია ისიც, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეზოლუციებითა და სხვა საერთაშორისო აქტებით, რომელთა შესრულება საქართველომ ივალდებულა აღიარებულია, რომ ყველა სამთავრობო და სხვა დაწესებულებათა მოვალეობაა, პატივი სცენ სასამართლოს დამოუკიდებლობას, არ განახორციელონ უკანონო ჩარევა სასამართლო პროცესში, ასევე, სასამართლოების მიერ მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებები არ უნდა დაექვემდებაროს გადასინჯვას. სასამართლო ზედამხედველობა უნდა განხორციელდეს მხოლოდ კანონით დადგენილი წესით და საქმეები განხილულ უნდა იყოს სასამართლოში დადგენილი იურიდიული პროცედურის საფუძველზე. ამდენად, მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონში მოცემული უფლების რეალიზაციის შესაძლებლობას. შესაბამისად, შეუძლებელია ანალოგიის გამოყენებით სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის ე ქვეპუნქტის ამოქმედება, რადგან იგი ვერ გადაფარავს საქართველოს კონსტიტუციისა და საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნებს,"** - აცხადებს კონსტანტინე კუბლაშვილი.

აქედან გამომდინარე, სახალხო დამცველის რეკომენდაცია კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების გადახედვის თაოაზე არ დაკმაყოფილა.

**საკუთარი ინფორმაცია**

# მოსამართლეთა დანიშვნის წესი იცვლება

12 მარტს უზენაეს სასამართლოში ახალი მოსამართლეების ფიცის დადების ცერემონია გაიმართა. ამჯერად, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების წინაშე ფიცი ექვსმა ახალმა მოსამართლემ დადო.

ცერემონიას იუსტიციის უმაღლეს სკოლაში ჩარიცხული შვიდი კანდიდატიც დაესწრო. ღონისძიებაზე ასევე მიწვეულები იყვნენ საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

დღევანდელი ღონისძიება მნიშვნელოვანი იყო იმითაც, რომ დღემდე არსებული კანონმდებლობით, ეს იქნება მოსამართლეთა ბოლო დანიშვნა. მომავალში მოსამართლეებად მხოლოდ იუსტიციის უმაღლეს სკოლა დამთავრებული კანდიდატები დაინიშნებიან.

### ოთხ წელიწადში დანიშნული 145 ახალი მოსამართლე

მოსამართლეთა შერჩევისა და დანიშვნის ძველი წესით, 2005 წლის თებერვლიდან 2009 წლის მარტამდე სასამართლო სისტემაში დანიშნულია 145 ახალი მოსამართლე. გენდერული თანაფარდობა უმნიშვნელოდაა დარღვეული მამაკაცების სასარგებლოდ. ბოლო ოთხი წლის მანძილზე მოსამართლედ დანიშნულია 79 მამაკაცი და 66 ქალბატონი. მოსამართლედ დანიშვნის დროს მათი საშუალო ასაკი 33-34 წელი იყო.

მოსამართლეების უმეტესობა (70 კანდიდატი) დანიშვნამდე სასამართლო სისტემაში მუშაობდა, ადვოკატობიდან და არასამთავრობო სექტორიდან მოსამართლეებად 31 იურისტი დაინიშნა, პროკურატურიდან - 28, სხვა სახელმწიფო უწყებებიდან 12, ხოლო სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობიდან მართლმსაჯულებას დღეს 4 მოსამართლე ემსახურება.

145 მოსამართლიდან 4 უზენაეს სასამართლოში მუშაობს, 23 სააპელაციოში, ხოლო 118 პირველი ინსტანციის სასამართლოებში აღასრულებს მართლმსაჯულებას.

### წესები რთულდება

კანონმდებლობაში შესული ცვლილების თანახმად, მოსამართლედ დანიშვნის წესები რთულდება. თუ დღემდე მოსამართლედ დანიშვნისთვის 5 წლის იურიდიული სტაჟის მქონე მსურველი სამოსამართლო გამოცდას აბარებდა და შემდეგ გასაუბრებას იუსტიციის უმაღლეს საბჭოში კომისიის წინაშე გადიოდა, მომავალში კი მოსამართლეობის მსურველები სამოსამართლო გამოცდების ჩაბარების შემდეგ, შესარჩევ კონკურსს იუსტიციის უმაღლეს სკოლაში ჩარიცხვისთვის გაივლიან.

იუსტიციის უმაღლეს სკოლაში სწავლა 14-თვიანია და იგი მოიცავს როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ კურსს. სკოლაში ამ ეტაპზე უკვე ორი ჯგუფი (18 მსმენელი) გადის სწავლებას. პირველი ჯგუფის 11 მსმენელი თვის ბოლოს გამოსაშვები გამოცდისთვის ემზადება. დაახლოებით, ერთ თვეში კი, მათგან საუკეთესოები, უკვე ახალი წესის თანახმად, მოსამართლეებად დაინიშნებიან.

# სამოქალაქო რეესტრმა დევნილი ბავშვების რეგისტრაცია დაიწყო

*იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტო დევნილ ბავშვებს საიდენტიფიკაციო დოკუმენტებით უზრუნველყოფს.*

მცხეთის რაიონის სოფელ წეროვანის N1 საჯარო სკოლაში დევნილი ბავშვების დოკუმენტირების პროცესი დაიწყო.

ამასთან დაკავშირებით გუშინ წეროვანში საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი კობა სუბელიანი და იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს თავმჯდომარე გიორგი ვაშაძე ჩავიდნენ და სამუშაო პროცესს დაესწრნენ.

სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს თანამშრომლებმა წეროვანის N1 საჯარო სკოლაში დიდი ლიახვიდან და ახალგორიდან დევნილი 168 ბავშვის საბუთები ჩაიბარეს და მათ ფოტოსურათები ადგილზე უფასოდ გადაუღეს. უახლოეს ხანში კი სამოქალაქო რეესტრი ყველა დევნილ ბავშვზე გასცემს დოკუმენტს. მათ პირადობის მოწმობებს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს თანამშრომლები ადგილზე ჩაუტანენ.

საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა 14 წელს ზემოთ ყველა მოსწავლეზე გაიცემა, ხოლო 14 წლამდე ასაკის პირები მშობლის საცხოვრებელი მისამართის მიხედვით რეგისტრირდებიან და მათ პირადი ნომრები ენიჭებათ.

როგორც სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს თავმჯდომარე გიორგი ვაშაძემ განაცხადა, რეგისტრაციის დროს შეიქმნება ბაზა, რომელიც ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს გადაეცემა, რაც უწყებას დევნილის სტატუსის განსაზღვრის პროცესში დაეხმარება.

მისი თქმით, ყველა დევნილი ბავშვი საიდენტიფიკაციო დოკუმენტს ადგილზე უფასოდ მიიღებს. ამ ღონისძიების ფარგლებში 7 ათასამდე დევნილი ბავშვის მონაცემები შეგროვდება.

### თბილისში ბიზნესმენი რამაზ კვინტრაძე მოკლეს

თბილისში ბიზნესმენი რამაზ კვინტრაძე მოკლეს. კვინტრაძის ცხედარი წუხელ წყნეთის გზის მახლობლად იპოვეს. ბიზნესმენის ოჯახის წევრები მკვლელობის შესაძლო მიზეზებზე ვერ საუბრობენ. მათი მტკიცებით, კვინტრაძეს საეჭვო პირებთან ურთიერთობა არ ჰქონია და არავისთან ყოფილა დაპირისპირებული.

ოჯახის წევრთა აზრით, მკვლელობის მიზეზი შესაძლოა, ყაჩაღობა გამხდარიყო. ამ ვერსიის სასარგებლოდ, მათი აზრით, ის ფაქტი მეტყველებს, რომ ბიზნესმენის კუთვნილი "აუდის" მარკის ავტომანქანა ამ დრომდე არ არის ნაპოვნი.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით სამართალდამცველები კომენტარს ჯერჯერობით არ აკეთებენ. მომხდართან დაკავშირებით გამოძიება მიმდინარეობს. **პირველი**

### სოზარ სუბარის მიმართვა ევროკომისარ თომას ჰამარბერგს

სახალხო დამცველმა ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარ თომას ჰამარბერგს გაუგზავნა მიმართვა, რომელიც კოკოითის რეჟიმის მიერ საქართველოს მოქალაქეების თამარ ჩარაევას და გივი ჩიგოევის დაკავებას შეეხება.

თამარ ჩარაევა (დაბადებული ახალგორში 1950 წელს) და გივი ჩიგოევი (დაბადებული ახალგორში 1954 წელს) სამხრეთ ოსეთის მილიციამ დააპატიმრა 4 მარტს ღალატისა და (სამხრეთ ოსეთის) მთავრობის ძალისმიერი გზით შეცვლის მცდელობის გამო. მათ ორთვიანი წინასწარი პატიმრობა უკვე შეეფარდათ. მათ წინააღმდეგ საქმე ჯერ კიდევ 2006 წელს აღიძრა. დევნის საფუძველი 2006 წელს სამხრეთ ოსეთში ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნების" პერიოდიდან იწყება. მაშინ სამხრეთ ოსეთის მთავრობამ სისხლის სამართლის საქმე აღძრა რამდენიმე ადამიანის წინააღმდეგ, კერძოდ დიმიტრი სანაკოევზე, მაია ჩიგოევა-ცაბოშვილი, გივი ჩიგოევი და თამარ ჩარაევაზე. იმ დროისათვის, როგორც ამბობენ, დიმიტრი სანაკოევს ჰქონდა რუსეთის მოქალაქეობა, მაგრამ დანარჩენი პირები იყვნენ და დღესაც არიან საქართველოს მოქალაქეები. აქედან გამომდინარე, აბსურდია, რომ მათ ბრალი ედებათ ღალატში რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობის მიხედვით. მით უმეტეს, რომ ჯერ კიდევ 2006 წელს რუსეთს არ ჰქონდა აღიარებული სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა," - აცხადებს მიმართვაში სოზარ სუბარი.

სახალხო დამცველი თქმით, ორივე დაკავებული ხანში შესული ადამიანია. გივი ჩიგოევმა ბოლო პერიოდში გადაიტანა ძალიან რთული ოპერაცია. სამხრეთ ოსეთის იზოლატორში დაკავების პერიოდში, სავარაუდოდ, მას ჰქონდა გულის შეტევა და არ აღმოუჩინეს სამედიცინო დახმარება. თამარ ჩარაევა კი დაავადებულია ასთმით.

გივი ჩიგოევი ბოლო ხანს მუშაობდა სანაკოევის ადმინისტრაციაში, სადაც იღებდა ანაზღაურებას. თამარ ჩარაევა იყო პედაგოგი და მუშაობდა ახალგორის საშუალო სკოლაში. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ვთვლი, რომ ეს საქმე იმსახურებს თქვენს ყურადღებას, - დასძენს ომბუდსმენი ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარს თომას ჰამარბერგისათვის გაგზავნილ წერილში.

**მედიანიუსი**

### 15 წლის მოზარდი სისხლის სამართლებრივ დევნას გადაურჩა

საზოგადოებრივი ადვოკატის დახმარებით 15 წლის მოზარდის მიმართ სამართლებრივი დევნა შეწყდა. 15 წლის ვახტანგ ბ.-ის ინტერესებს კახეთის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატი გია ფარადაშვილი იცავდა. არასრუწლოვანს ბრალად ედებოდა ცივი იარაღის ტარება, რაც სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად ჯარიმით ისჯება

არასრულწლოვანს სასჯელის სახით 500 ლარის ოდენობის ჯარიმა ემუქრებოდა. საზოგადოებრივი ადვოკატი გია ფარადაშვილი სასამართლოს წინაშე ვახტანგ ბ.- სათვის აღმზრდელობითი ზემოქმედების იძულებითი ღონისძიების გამოყენების მიზანშეწონილობას ასაბუთებდა და განსასჯელის სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებას ითხოვდა.

საბოლოოდ, სასამართლო პროცესზე მხარეთა კამათის შემდგომ, ყვარლის რაინულმა სასამართლომ საზოგადოებრივი ადვოკატის მოთხოვნა სრულად დააკმაყოფილა. ვახტანგ ბ.-ს მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა შეწყდა.

კახეთის იურიდიული დახმარების ბიუროს გარდა, იურიდიული დახმარების სამსახურის ბიუროები და საკონსულტაციო ცენტრები მცხეთა-მთიანეთის, ქვემო ქართლის, შიდა ქართლის, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის, სამეგრელოს, გურიის, აჭარის რეგიონებსა და თბილისში ფუნქციონირებს.

**საკუთარი ინფორმაცია**

## სანდრო გირგვლიანის მკვლელობისთვის მსჯავრდებულებს ციხიდან დღე-დღეზე გამოუშვებენ

სანდრო გირგვლიანის მკვლელობისთვის მსჯავრდებულებს ალანიას, ბიბილურიძეს, ღაჭავასა და აფციაურს შეწყალება შეეხოთ და მათ ციხიდან დღე-დღეზე გამოუშვებენ. ეს ინფორმაცია "ალიანსს საქართველოსთვის" სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიულ საკითხთა მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა დაუდასტურა. ალიანსის წარმომადგენელმა, "მემარჯვენე" ფიქრია ჩიხრაძემ ამ თემაზე პრეს-კონფერენცია გამართა. "როგორც იცით, დიდი მითქმა-მოთქმა იყო იმასთან დაკავშირებით, რომ გირგვლიანის მკვლელობაში მსჯავრდებული ოთხი პირი სასჯელს განსაკუთრებულად კარგ პირობებში იხდიდა და მათ ციხის გარეთაც ხშირად ხედავდნენ. ბოლოს გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მათ შეწყალება შეეხოთ. ამ ინფორმაციის გადასამოწმებლად 17 თებერვალს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიულ საკითხთა სამინისტროს მივმართეთ და დიდი დაგვიანებით შაშკინისგან დამადასტურებელი პასუხი მივიღეთ," - განაცხადა გამართულ ბრიფინგზე ჩიხრაძემ, რომლის შეფასებით, "ამით საქართველოს ხელისუფლება, როგორც მკვლელების მფარველი, გაიშიფრა". "რა მოტივით ათავისუფლებენ მათ, - კარგი საქციელის, თუ იმის გამო, რომ ხელისუფლება გირგვლიანის მკვლელობას მსუბუქი კატეგორიის დანაშაულად მიიჩნევს?!", - განაცხადა ფიქრია ჩიხრაძემ. ალანია, ბიბილურიძე, ღაჭავა და აფციაური გირგვლიანის მკვლელობის გამო 2006 წლის ივლისში გაასამართლეს. ალანიას - 8, ბიბილურიძეს, ღაჭავასა და აფციაურს კი 7-7 წელი მიუსაჯეს. 2008 წლის 24 ნოემბრის შეწყალების საფუძველზე მათ სასჯელი გაუნახევრდათ.

**პირველი**

## 17 წლის ბიჭმა 69 წლის ქალი მოკლა

კახეთის საინფორმაციო ცენტრის ინფორმაციით, სიღნაღის რაიონში 17 წლის გ. ს-ძემ 69 წლის ლილი ზოზიაშვილი მოკლა. მკვლელობა სოფელ ბოდბისხევში 11 მარტს მოხდა. დანაშაულში ეჭვმიტანილი განცხადებით, ზოზიაშვილი მას მუდმივად წყევლიდა და მკვლელობამდეც დაწყევლა, რამაც ის გააღიზიანა. მომხდართან დაკავშირებით გამოძიებას შს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველო აწარმოებს. პოლიციამ ეჭვმიტანილი უკვე დააკავა.

**მედიანიუსი**

## პატიმრების ჯანმრთელობაზე ზრუნვას კურირებას კვლავ სასჯელაღსრულების სისტემა გაუწევს

პატიმრების ჯანმრთელობაზე ზრუნვას კურირებას კვლავ სასჯელაღსრულების სისტემა გაუწევს. როგორც ადამიანის უფლებათა დაცვის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე გია არსენიშვილი აცხადებს, პატიმართა ჯანდაცვის საკითხი 2-3 წლის განმავლობაში სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროს კურირების სფეროში გადავა და არსებული პრობლემების აღმოფხვრისა და სისტემის ფეხზე დაყენების შემდეგ ისევ ჯანდაცვის სამინისტროს დაუბრუნდება. "შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ბოლო დროს საკმაოდ ბევრი ფუნქცია დაეკისრა და უკეთესია, რომ პატიმრების ჯანდაცვის მომსახურებაზე ისევ სასჯელაღსრულების სისტემამ იზრუნოს. გარდა ამისა, სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების მინისტრს ბევრი რევოლუციური მოსაზრება გააჩნია," - განაცხადა არსენიშვილმა, თუმცა მათი დაკონკრეტებისგან თავი შეიკავა.

**პირველი**

## საქართველოში აზერბაიჯანლების ეროვნული ასამბლეის პრეზიდენტი დააკავეს

ბაქოში საქართველოში აზერბაიჯანლების ეროვნული ასამბლეის პრეზიდენტი დაშგინ გიულმამედოვი დააკავეს. აზერბაიჯანის სამართალდამცველი ორგანოების განცხადებით, გიულმამედოვის დაკავება მის მიმართ გასული წლის დეკემბერში თაღლითობის ბრალდებით აღძრულ სისხლის სამართლის საქმეს უკავშირდება. "საქართველოში აზერბაიჯანელების ეროვნული ასამბლეის" წარმომადგენლების მტკიცებით, "გიულმამედოვის დაკავება აზერბაიჯანის ხელისუფლების საიდუმლო გეგმას უკავშირდება, რომელიც საქართველოში აზერბაიჯანლების მოძრაობის ჩახშობას ითვალისწინებს". 2007 წელს "საქართველოში აზერბაიჯანლების ეროვნული ასამბლეის" წევრმა ფაზილ ალიევმა საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნებზე საკუთარი კანდიდატურა წამოაყენა. მოძრაობის წევრებმა და აქტივისტებმა არაერთხელ განაცხადეს, რომ საქართველოში აზერბაიჯანული დისაპორა შევიწროებას განიცდის.

**პირველი**

# ამერიკული პოლიცია მექსიკური ნარკომაფიის წინააღმდეგ

*ამერიკელი პოლიციელები მექსიკური ნარკომაფიის წინააღმდეგ ბრძოლას აქტიურად განაგრძობენ. ნარკომაფიის წევრების დაკავების ოპერაციები თითქმის დღეგამოშვებით ტარდება.*



*ნარკომაფიის ერთ-ერთი ყველაზე საშიში ლიდერი ალფრედო ბელტრან ლეივი.*

ამ ოპერაციების შედეგად, ბოლო ორი წლის განმავლობაში ციხეში 750 მაფიოზი აღმოჩნდა. დაკავებულთა შორის უმრავლესობა განგსტერია.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი ორწლიანი მასშტაბური ოპერაციების შედეგებით კმაყოფილია.

**საერთაშორისო დანაშაულებრივი ორგანიზაციები, რომლებიც ნარკოტიკებით ვაჭრობითა და კონტრაბანდით არიან დაკავებული, სერიოზულ საშიშროებას უქმნიან მსოფლიო საზოგადოებრივ უსაფრთხოებას. კრიმინალური ავტორიტეტები ძალისხმევას არ იშურებენ იმისთვის, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში საფუძვლიანად მოიკიდონ ფეხი. ქვეყნის სახელმწიფო დეპარტამენტი კიდევ უფრო გააძლიერებს ბრძოლას ნარკომაფიის წინააღმდე,** - აცხადებს ამერკის შეერთებული შტატების იუსტიციის მინისტრი ერიკ ჰოლდერი.

კარგა ხნის განმავლობაში გასაიდუმლოებული იყო ამერიკელი სამართალდამცველების მიერ ჩატარებული ერთ-ერთი ბოლო ოპერაციის დეტალები. როგორც იუსტიციის მინისტრი განმარტავს, მან გადაწყვიტა, არ გაეხმაურებინა მიღწეული შედეგები. საუბარია 21 თვის განმავლობაში მიმდინარე ფარულ ოპერაციაზე კოდური სახლწოდებით - დამაჩქარებელი , რომლის შედეგადაც, 52 განგსტერი დააკავეს.

ამ ოპერაციის მსვლელობისას ამერიკელმა პოლიციელებმა 23 ტონა ნარკოტიკული ნივთიერება ამოიღეს. აქედან 12 ტონა - კოკაინი , 8 ტონა - მარიხუანა და ექსტაზის უამრავი ტაბლეტი. ამოღებული ზოგიერთი ნარკოტიკული საშუალების დასახელების დადგენა ამერიკელმა სამართალდამცველებმა ვერ შეძლეს. ტონობით ნარკოტიკული ნივთიერების გარდა, ოპერაცია დამაჩქარებელის შედეგად პოლიციამ დაკავებული განგსტერებისგან ავტომობილები და დიდი რაოდენობით იარაღიც ამოიღო.

ამერიკის შეერთებული შტატების, მექსიკისა და კანადის სამართალდამცველების სტატისტიკური მონაცემებით, კრიმინალურ ომში უკვე დაღუპულია 6 ათასი ადამიანი.

ერიკ ჰოლდერი აცხადებს, რომ ბოლო დროს, ნარკობარონები ისე მომძლავრდნენ, რომ ქვეყნის ნაციონალურ უსაფრთხოებას შეუქმნეს საფრთხე.

**კრიმინალურ სინდიკატებტან ბრძოლას განსაკუთრებული მომზადება სჭირდება. მათთან საბრძოლველ მეთოდებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანი სიზუსტე და პუნქტუალურობაა,** - განმარტავს ერიკ ჰოლდერი.

**ორი წლის განმავლობაში ჩატარებული ოპრეაციების შედეგად, ნარკომოვაჭრეებმა დიდი რაოდენობით ნარკოტიკული ნივთიერება დაკარგეს, რის გამოც კოკაინის ფასი შავ ბაზარზე, წინა წლებთან შედარებით, 104 პროცენტით გაიზარდა,** - აცხადებს ნარკოტიკების წინააღმდეგ მებრძოლი ფედერალური სამმართველოს უფროსი მიშელ ლეონჰარტი.

**მთავარია, ნარკოკარტელის ხელმძღვანელობის ლიკვიდაცია. მათ მიმალვა მოახერხეს და, ამჟამად, მექსიკაში იმყოფებიან,** - აცხადებს მიშელ ლეონჰარტი.

2008 წლის იანვარში, მექსიკის ერთ-ერთ ქალაქში, კულიაკანში დააკავეს ნარკომაფიის ერთ-ერთი ყველაზე საშიში ლიდერი ალფრედო ბელტრან ლეივი. ნარკობარონთან ერთად დააკავეს მისი სამი თანამზრახველი. მათგან პოლიციამ რამდენიმე ერთეული ცეცხლსასროლი იარაღი და 900 ათასი დოლარი ამოიღო.

ბელტრან ლეივი დაკავებულ ნარკობარონებს შორის ყველაზე მნიშვნელოვან ფიგურად ითვლებოდა. მისმა დაპატიმრებამ დანაშაულებრივი დაჯგუფებების მოქმედების ესკალაცია გამოიწვია.

# დანაშაული, რომლის მსგავსიც საუკუნეში ერთხელ ხდება

*საუკუნის მკვლელობა - ასე შეფასდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, ოჰაიოში, რამდენიმე დღის წინ მომხდარი ტრაგედია. 33 წლის დევონ კროუფორდს, რომელმაც საკუთარ საცხოვრებელ სახლში მეუღლე, მეუღლის და და მისი მცირეწლოვანი შვილები გამოასალმა სიცოცხლეს, ქალაქ კლივლენდის პოლიცია გაძლიერებული ძალებით ეძებს.*

გამოძიების ვერსიით, საზარელი ანგარიშსწორების მიზეზი ოჯახური უსიამოვნება გახდა. როგორც სამართალდამცველებმა დაადგინეს, დევონ კროუფორდის პირველი მსხვერპლი მისი მეუღლე, 30 წლის ლიჩია კროუფორდი აღმოჩნდა. ცოლის მოკვლის შემდეგ, დევონ კროუფორდი ცეცხლსასროლი იარაღიდან რამდენჯერმე გასროლით ცოლის დას, 25 წლის როუზ სტივენს გაუსწორდა, შემდეგ კი ცოლის დის შვილებს. 4 წლის დესტინ ბუდსი და 2 წლის ტყუპები - დიონა და დევიონა ადგილზე გარდაიცვალნენ, მეოთხე, 10 წლის ბავშვი, ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობების გამო მძიმე მდგომარეობაში, ერთ-ერთი საავადმყოფოს რეანიმაციულ განყოფილებაში იმყოფება. ყველა ცხედარი საცხოვრებელი სახლის მეორე სართულზე იპოვეს.

როგორც გაირკვა, კიდევე ერთი მცირეწლოვანი ბავშვი, რომელიც დანაშაულის ადგილას იმყოფებოდა, სიკვდილს სასწაულებრივად გადაურჩა. როგორც კი დევონ კროუფორდმა სროლა ატეხა, ბავშვმა სახლიდან გაქცევა მოახერხა და მეზობლებს შეაფარა თავი. მიუხედავად იმისა, რომ პოლიცია შემთხვევის ადგილზე რამდენიმე წუთში მივიდა, დამნაშავის დაკავება სამართალდამცველებმა მაინც ვერ შეძლეს. დევნის ოპერაციაში სამართალდამცველებმა რამდენიმე ვერტმფრენიც გამოიყენეს, თუმცა მკვლელის კვალს ვერ მიაგნეს. იპოვეს მხოლოდ მისი ავტომანქანა, რომელიც ერთ-ერთ ქუჩაზე იყო მიტოვებული. გამოძიების ვერსიით, დევონ კროუფორდმა გადაადგილება სამგზავრო ავტობუსით შეძლო.

ქალაქ კლივლენდის ქუჩებში, თითქმის ყოველ ხუთ მეტრში, ძებნილი დევონ კროუფორდის ფოტოებია გამოკრული. ქალაქის პოლიციის უფროსმა მაიკლ მაკგრეტმა ქალაქის მცხოვრებლებს სიფრთხილისკენ მოუწოდა და სამართალდამცველებისთვის დახმარების გაწევა სთხოვა. თავად დევონ კროუფორდს კი ტელევიზიით მიმართა და დანებება ურჩია.

**ეს დანაშაული ჩემს პრაქტიკაში არის ერთ-ერთი ყველაზე შემაძრწუნებელი ფაქტი. ასეთი დანაშაული საუკუნეში ერთხელ ხდება. დევონ კროუფორდი ბავშვების მასობრივ მკვლელობაშია ეჭვმიტანილი. ნებისმიერმა ადამიანმა, ვინც მას დაინახავს, უნდა იცოდეს, რომ მის წინ ყველაზე საშიში და ცივსისხლიანი დამნაშავე დგას,** - განაცხადა ქალაქის პოლიციის უფროსმა მაიკლ მაკგრეტმა.

გამოძიებას უკვე მისცეს ჩვენებები კროუფორდების მეზობლებმა და ნათესავებმა. მათი განცხადებით, დევონ კროუფორდს სისასტიკის არაფერი ეტყობოდა და გაწონასწორებული, მშვიდი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა.

**კროუფორდების ოჯახში სტუმრად მკვლელობამდე ერთი დღით ადრე ვიყავი. ცოლქმარს შორის არანაირი უთანხმოება არ იგრძნობოდა, ისინი, როგორც ყოველთვის, ამ დღესაც მშვიდად, წყნარად იყვნენ და ერთმანეთის მიმართ პატივისცემასა და სიყვარულს გამოხატავდნენ. დევონ კროუფორდისთვის საეჭვო არაფერი შემიმჩნევია, ვერაფრით წარმოვიდგენდი, თუ შეიძლებოდა, ასეთი ტრაგედია დატრიალებულიყო. ვცდილობ, ცოლქმრის ურთიერთობის ყველა დეტალი გავიხსენო და მომხდარის მიზეზი მოვძებნო,** - ასეთი ჩვენება მისცა გამოძიებას კროუფორდების ახლო ნათესავმა.

**ამ საშინელებამდე რამდენიმე დღით ადრე ჩემმა ქალიშვილმა ტელეფონზე უცნაური შეტყობინება გამომიგზავნა. განაგრძე სიცოცხლე, გიყვარდეს სიცოცხლე, - ასეთი იყო მესიჯის შინაარსი. მე მასთან დარეკვა მაშინვე ვცადე, დიდი ხნის განმავლობაში ვურეკავდი, თუმცა არავინ მპასუხობდა,** - ასეთი ჩვენება მისცა გამოძიებას მოკლული ლიჩია კროუფორდის მოხუცმა მამამ, რომელსაც ერთ დღეს ორი ქალიშვილი და ოთხი შვილიშვილი მოუკლეს.

ქალაქ კლივლენდის მოსახლეობა შოკურ მდგომარეობაში იმყოფება. მოკლულების ახლობლები ცივსისხლიანი დამნაშავის სასწრაფოდ დაკავებას და დასჯას მოითხოვენ.

# სოციალიზმი შეერთებულ შტატებში?

## ეს ეპითეტი კონსერვატორებში ფეხს იკიდებს

მარკ ლეიბოვიჩი
"ნიუ-იორკ თაიმსი"

ამერიკელი კონსერვატორები შესაძლოა, ეძებდნენ ზეკაცს, აგვარებდნენ პრინციპებისა და ცინცხალი იდენტობის საკითხებს, მაგრამ ისინი, სულ მცირე, მაინც ისე მოჩანან, თითქოს ეყრდნობიან სანუკვარ რიტორიკულ ურჩხულს - სოციალიზმს.

როგორც ჩანს, დემოკრატების მიზანი ამერიკის სოციალურ შეერთებულ შტატებში (U.S.S.A.) სოციალიზმის დამყარებაა, რადგან ბამპერებზე ლოზუნგებიც ქადაგებენ "ამხანაგ ობამას".

სავარაუდოდ, "სოციალისტმა" "ლიბერალი" ჩაანაცვლა, როგორც კონსერვატიული სამყაროს საყვარელი ინსინუაცია, რომელიც ბანკის სერიული დახმარების, ბიუჯეტის "გაბერვისა" და მასტიმულირებელი კანონპროექტების გამოწვევების წინაშე დგას. მემარჯვენე მიმართულების ბლოგერები და რადიო-დიქტორები სიტყვის თქმასაც ვეღარ ახერხებენ. პოდიუმზე კი სენატისა და წარმომადგენელთა პალატის რესპუბლიკელები გამოდიან, რათა მათ თუნდაც სიტყვა დააცდენინონ. "სოციალიზმის ბომბი" კონსერვატორების შეკრებებზე რეაქციის პროვოცირებისთვის ისეთივე ეფექტურ საშუალებად იქცა, როგორიც "კლინტონი" იყო 1990-იან წლებში.

**"კვირის დასაწყისში ჩვენ მოვისმინეთ სოციალიზმით მოვაჭრე მსოფლიოში უნიჭიერესი ვაჭრის მიმართვა ერისადმი,"** - თქვა სამხრეთ კაროლინის შტატიდან რესპუბლიკელმა სენატორმა ჯიმ დემინტმა. არკანზასის ყოფილმა გუბერნატორმა მაიკ ჰაკაბიმ გააკრიტიკა შეერთებულ შტატებში "სოციალისტური რესპუბლიკების" შექმნა. **"ლენინი და სტალინი ტაშისკვრით შეხვდებოდნენ ამ მიმართვას,"** - განაცხადა მაკაბიმ კონსერვატორების პოლიტიკური ქმედების კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლისას, რომელიც ახალგაზრდა კონსერვატორებისთვის ვუდსტოკის ფესტივალის მსგავსია.

**"სოციალიზმი რაღაც ახალია ჩვენთვის საიმისოდ, რომ ამის გამო ობამა ვაკრიტიკოთ,"** - აღნიშნა ჯოშუა ბოლინ ავგუსტამ ჯორჯიის შტატიდან, რომელმაც შექმნა ვებგვერდი: Reagan.org, რასაც გავლენიან ლიბერალურ ვებგვერდ MoveOn.org-ზე პასუხს უწოდებს.

ცხადია, ახალი არაფერია "სოციალიზმში" ან კონსერვატორების სურვილში, რომ ოპოზიციას არასასურველი სიურპრიზი მოუმზადონ, ისევე როგორც ლიბერალები მოიხსენიებდნენ კონსერვატორებს მრავალი წლის განმავლობაში "ფაშისტებად", "ფუნდამენტალისტებად" ან "პლუტოკრატებად".

თუმცა, სოციალისტების მანტრამ სრული მასშტაბით დააბრუნა დიდი ხნის მივიწყებული რელევანტური უმოქმედობა.

სოციალისტების თანამედროვე ეპოქა თარიღების დემონიზაციას ახდენდა ობამასა და ჯონ მაკკეინის საარჩევნო კამპანიის მსვლელობისას. მაკკეინი, გუბერნატორ სარა პეილინთან ერთად, ოჰაიოს შტატში მცხოვრებ სანტექნიკოსთან საუბრის ჩანაწერის დემონსტრირებით ადანაშაულებდა ობამას "სიმდიდრის გავრცელების" სურვილში. "სოციალიზმი" მაკკეინისა და პეილინის საჯარო გამოსვლების შედეგობრივი ვარსკვლავია.

პრეზიდენტ ობამას ადრინდელმა ფისკალურმა აქტიურობამ უზრუნველყო ანტისოციალისტებისთვის ახალი "საზრდოს" საკმარისი დოზით მიწოდება, სასარგებლო იარლიყის ეფექტურად გადაქცევით შიშისმომგვრელ **"ჩვენ ხომ გეუბნებოდით ამას".** ეკონომიკაში ახლახანს დატრიალებული ქარბორბალა - ადმინისტრაციის ახალი ბიუჯეტი, სხვა მთავარი ბანკის მიერ მისი ნაწილობრივი "ჩანთქმა" - შემთხვევითი არჩევანი იყო "სი-პი-ეი-სი -სთვის (კანადის კერძო, ორენოვანი სატელევიზიო სერვისი), რომელიც 26-28 თებერვლიდან გადიოდა და კონსერვატორებს განახლებული რეფრენისთვის გასაქანს აძლევდა.

**"მემარჯვენეები გამუდმებით გამოიყენებდნენ "სოციალიზმს" ფრანკლინ რუზველტის წინააღმდეგ 1930-იან წლებში. იმ პერიოდში მიმართვა "ამხანაგი რუზველტი" რომ მოგესმინა, უჩვეულო არც არაფერი იქნებოდა,"** - განაცხადა ნიუ-იორკში მანჰეტენის კოლეჯის ფინანსურმა ისტორიკოსმა ჩარლზ გეისტმა. მაგრამ გეისტის თქმით, განახლებული სოციალიზმი ამჯერად ნაკლებად სახიფათო სიტყვაა, ვიდრე წარსულში.

ბერნი სანდერსი, რომელიც თავის თავს სოციალისტს უწოდებს შეერთებული შტატების სენატში, აღნიშნავს, რომ "სოციალიზმი" მზა სტიგმას ატარებს, რომელიც საბჭოური სტილის კომუნიზმთან ასოცირდება.

მაგრამ მას შემდეგ ძალიან ცოტა კომუნისტური რეჟიმი დარჩა მსოფლიოში, ცივი ომის დასრულების შემდეგ თაობები გაიზარდა, სტიგმა კი მიივიწყეს.

სანდერსის თქმით, იგი ძალიან წაახალისა იმ ფაქტმა, რომ ზოგიერთი კონსერვატორი კრიტიკოსი - საუბარია ნიუტ გინგრიჩზე - ობამას ეკონომიკურ დღის წესრიგს "ევროპული სტილის სოციალიზმს" უთანაბრებს, თითქოს მისი ძველი საბჭოური გადმონაშთისგან გააზრებულად განსხვავებით.

**"ვფიქრობ, ამ ქვეყანას შეეძლო კარგი დებატების გამართვა იმის შესახებ, თუ რა ხდება ისეთ ადგილებში, როგორიცაა შვედეთი, ნორვეგია და ფინეთი,"** - თქვა სანდერსმა იმ გაგებით, რომ ცნებები უნივერსალურ ჯანდაცვაზე, განათლების სფეროს მეტ დაფინანსებასა და მდიდრებისთვის მეტი გადასახადების დაკისრებაზე უფრო ამ ქვეყნების მოდელს მიესადაგება.

თუმცა მაშინ, როცა ინდიანას შტატიდან რესპუბლიკელმა მაიკ პენსმა კონფერენციაზე თავის გამოსვლაში "ევროპული სტილის სოციალიზმი" გააკრიტიკა, დამცინავი წამოძახილები ბრბოდან ნამდვილად არ ჰგავდა ამ ღირებულებებზე დებატებისთვის მზადყოფნას ან ამ საკითხზე ნებისმიერ მცდელობას, განვასხვავოთ შვედური, საბჭოური და სანფრანცისკოური განსაკუთრებულობა.

**"სიტყვა განსაკუთრებით ხმამაღლა ისმის ისეთ ადგილებში, სადაც არავინ აპირებს ტერმინის განსხვავებული მნიშვნელობების დისკრიმინაციას,"** - თქვა გეისტმა.

ასეთი ერთ-ერთი ადგილი შეიძლება აღმოჩნდეს "სი-პი-ეი-სი". **"სოციალიზმი მეტისმეტად "გამუქებული ფერის" კონცეფციაა კონსერვატორებისთვის,"** - განაცხადა "სი-პი-ეს-სის" ერთ-ერთმა ცნობილმა სახემ, კომენტატორმა ბეი ბაჩენანმა ახალგაზრდა თაყვანისმცემლებისთვის ავტოგრაფების დარიგების დასრულებისთანავე. მან მკაფიოდ აღნიშნა "გამუქებული ფერის" განსხვავება კონსერვატორებისთვის ესოდენ ჩვეული "რბილი პასტელური ფერისგან".

ბაჩენანის თქმით, ბოლო წლებში ნაპრალის პირას მყოფი "სოციალიზმი" ეფექტური ინსტრუმენტი იყო 1990-იანი წლების დასაწყისში ბილ კლინტონის მცდელობის დასამარცხებლად - განეახლებინა ჯანდაცვის სისტემა.

**"ამერიკელები, უბრალოდ, გენეტიკურად ეწინააღმდეგებიან სოციალიზმს,"** -აღნიშნა კონსერვატორთა საადვოკატო ჯგუფ "ფრიდომ ვორკსის" პრეზიდენტმა მეტ კიბემ.

# საფრანგეთი ნატო-ს სამხედრო სტრუქტურებში ბრუნდება

მარიკა იაშვილი



ნიკოლა სარკოზი

საფრანგეთი შესაძლოა, ნატო-ს სამხედრო სტრუქტურებში დაბუნდეს, - ასეთია გადაწყვეტილება, რომელიც საფრანგეთის პრეზიდენტმა მიიღო და რომლის შესახებაც პარიზში, სტრატეგიული კვლევების ფონდში გამოსვლისას ისაუბრა. სარკოზიმ თავის გამოსვლაში ასეთი გადაწყვეტილების მიღების მიზეზები განმარტა და მსმენელებს სამომავლო გეგმებიც გაანდო.

2007 წლის ივლისიდან დღემდე საფრანგეთის პრეზიდენტს არაერთხელ უსაუბრია საფრანგეთის დაბრუნების შესახებ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სამხედრო სტრუქტურაში, რომელიც ქვეყანამ 1966 წელს დატოვა. დღეს საფრანგეთი მხოლოდ ალიანსის პოლიტიკური სტრუქტურების მუშაობაში მონაწილეობს, მაგალითად - ნატო-ს საბჭოში.

სავარაუდოდ, ნატო-ს სამხედრო ორგანიზაციებში საფრანგეთის სრულყოფილად დაბრუნების შესახებ განცხადება ნატო-ს 60 წლის საიუბილეო სამიტზე გაკეთდება, რომელიც 3 და 4 აპრილს საფრანგეთში, სტრასბურგსა და გერმანიაში გაიმართება.

თავისი გეგმების მართებულობის დასაბუთება სარკოზიმ სცადა სტრატეგიული კვლევების ფონდის მიერ ორგანიზებულ კონფერენციაზე სახელწოდებით - "საფრანგეთი, ევროპული თავდაცვა და ნატო XXI საუკუნეში."

როგორც მასობრივი ინფორმაციის საშუალებები აღნიშნავენ, ნატო-ს სამხედრო სტრუქტურაში საფრანგეთის დაბრუნების ერთ-ერთი პირობაა ორი უმაღლესი თანამდებობიდან ერთზე, კონკრეტულად კი ვირჯინიის შტატში, ნორფოლკში ნატო-ს ტრანსფორმაციის შტაბის მეთაურის თანამდებობაზე ფრანგი გენერლის დანიშვნა. ამ მიზნის მისაღწევად საფრანგეთს 26 წევრი ქვეყნის თანხმობა სჭირდება.

გამოცემა "მონდი" დიპლომატიურ წყაროებზე დაყრდნობით იუწყება, რომ საფრანგეთმა და აშშ-მ ამ საკითხზე შეთანხმებას უკვე მიაღწიეს.

პრეზიდენტი, თავდაცვისა და საგარეო საქმეთა მინისტრებთან ერთად, ამტკიცებს, რომ ნატო-ს სამხედრო სტრუქტურაში დაბრუნება საფრანგეთის დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკაზე არ აისახება და ქვეყანას კვლავინდებურად ექნება საშუალება, თავად მიიღოს გადაწყვეტილება ერთობლივ სამხედრო ოპერაციებში საფრანგეთის შეიარაღებული ძალების მონაწილეობის შესახებ. მეტიც, მინისტრები ერვე მორენი და ბერნარ კუშნერი აღნიშნავენ, რომ საფრანგეთი 1995 წლიდან ნატო-ს ყველა სამხედრო ოპერაციაში მონაწილეობს, თუმცა მათ დაგეგმვაში არ ერევა. ამასთანავე სარკოზი აღნიშნავს, რომ ნატოში სრულფასოვანი ინტეგრაციის შემდეგ პარიზი თავის ბირთვულ ძალებს შეინარჩუნებს.

იდეის ოპონენტები შიშობენ, რომ საფრანგეთი ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სამხედრო სტრუქტურებში დაბრუნების შემდეგ ვაშინგტონზე იქნება დამოკიდებული და ხელახლა იქნება დასაწერი კანონი თავდაცვის შესახებ.

პარლამენტში ამ საკითხის გამო გამართული დავისთვის ბოლო რომ მოეღო, ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა ფრანსუა ფიიონმა გადაწყვიტა, დაემტკიცებინა საგარეო პოლიტიკური პროგრამა, რომელიც ეროვნულმა კრებამ წამოწია და რომელიც ხელისუფლების პასუხისმგებლობის საკითხს შეეხება. პროგრამისთვის ხმის მიცემა 17 მარტს შედგება.

ფრანგების დიდი ნაწილი სარკოზის ინიციატივას მხარს უჭერს და საფრანგეთის ნატო-ს სამხედრო სტრუქტურებში დაბრუნების მომხრეა. საფრანგეთის საზოგადოებრივი აზრის კვლევის ინსტიტუტის მიერ ჩატარებული გამოკვლევების თანახმად, პრეზიდენტის ინიციატივას მოსახლეობის 58 პროცენტი ეთანხმება, მაშინ როდესაც ამის წინააღდეგი 37 პროცენტია, ხოლო 5 პროცენტი ამ საკითხზე საერთოდ არავითარ აზრს არ გამოთქვამს. როგორც კვლევით ცენტრში აცხადებენ, გასული კვირის განმავლობაში ტელეფონით გამოკითხულ მმართველი პარტიის მომხრე მოქალაქეეთა 76 პროცენტი ნატო-ს სამხედრო სტრუქტურებში დაბრუნებაზე დადებითი აზრისაა, ამავე აზრისაა მემარცხენე ფრანგების 52 პროცენტი და ცენტრისტების 59 პროცენტი.

საფრანგეთის სოციალური ინსტიტუტის მონაცემებით, ნატო-ს სამხედრო სტრუქტურებში საფრანგეთის სრულფასოვან დაბრუნებას ფრანგების 52 პროცენტი ემხრობა, ხოლო 27 პროცენტი - ეწინააღმდეგება.

პრეზიდენტისა და ხელისუფლების გეგმებს ყველაზე მეტ ნდობას 18-დან 24 წლამდე ახალგაზრდები უცხადებენ, რადგან მათი 70 პროცენტი მხარს უჭერს ინიციატივას, მაშინ როდესაც 50 წელს ზემოთ მოქალაქეების უმეტესობა პრეზიდენტის გეგმებს ეჭვით უყურებს.

## გამოსათხოვარი



ხანმოკლე მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ისტორიის დოქტორი ი. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ი. ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ლელა პატარიძე.

ლელა პატარიძე დაიბადა 1962 წელს ცნობილი მეცნიერის რამაზ პატარიძის ოჯახში. 1979-1984 წლებში სწავლობდა ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე კლასიკური ფილოლოგიის განხრით. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, 1986 წლიდან ლელა პატარიძე მუშაობას იწყებს ი. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში, სადაც მას ჯერ ეკავა წყაროთმცოდნეობის განყოფილების უმცროსი, ხოლო შემდგომ - უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობა; 2006 წლიდან გარდაცვალებამდე კი იყო შუა საუკუნეების ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი.

ლელა პატარიძის სამეცნიერო ნაშრომები მრავალრიცხოვანია და თემატურადაც მრავალფეროვანი. ყველას მათ კი აერთიანებთ არაჩვეულებრივი პროფესიული დახვეწილობა, სამეცნიერო სიახლე და სიღრმე.

ლელა პატარიძეს გამოარჩევდა განსაკუთრებული პიროვნული მომხიბვლელობა: გარეგნული სილამაზე შეხამებული შინაგან მშვენიერებასთან. ადამიანებთან ურთიერთობებში ახასიათებდა კეთილგანწყობა და არაჩვეულებრივი სითბო; იყო მოსიყვარულე მეუღლე, დედა, შვილი; ერთგული და თავდადებული მეგობარი; მაღალი მოქალაქებრივი პასუხისმგებლობით სავსე პიროვნება, რომელსაც გულწრფელად შესტკიოდა გული ყოველივე საზოგადოებრივზე, რაც უშუალოდ მის გარშემო იყო თუ მთელი ქვეყნის ცხოვრებაში ხდებოდა. მას უამრავი გეგმა ჰქონდა, მაგრამ, სამწუხაროდ, მოულოდნელად ნაადრევად შეწყდა მისი სიცოცხლე და დაგვიტოვა განშორების დიდი ტკივილი.

ლელა! მიმავალს მარადისი ცხოვრებისაკენ, გეთხოვებით. გზა მშვიდობისა, ჩვენო ძვირფასო, დაუვიწყარო მეგობარო!

ი. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის
ინსტიტუტის დირექცია, სამეცნიერო საბჭო, თანამშრომლები

# ორიგინალური სვლა გაერო-ს კონფერენციაზე

## ნარკოტიკების ლეგალიზაცია - გამოსავალი თუ ისტორიული შეცდომა?

ხათუნა გაბიევი

ნარკოტიკული საშუალებების შესახებ გაერო-ს კომისიის 52-ე სესია, რომელიც გაერო-ს ვენის განყოფილებაში ჩატარდა, მიზნად ისახავდა არალეგალური ტვირთბრუნვის ფარგლებში ნარკოტიკებზე მოთხოვნისა და მიწოდების შემცირებას. კომისია 63 წევრი-სახელმწიფოსგან შედგება, რომელთაგან ექვსი აღმოსავლეთ ევროპული სახელმწიფოა. ფორუმის მონაწილეთა უმრავლესობის აზრით, ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლაში, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, მოსახლეობის ჯანდაცვაზე ზრუნვამ უკანა პლანზე გადაიწია, არადა დღემდე მილიონობით ადამიანი, ვისთვისაც გაუტკივარების მიზნით ნარკოტიკული საშუალებები მიუწვდომელია, ძლიერი ტკივილებით იტანჯება.

**"მიუხედავად იმისა, რომ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის აზრით, ადამიანის ერთ-ერთი უფლებაა ისეთი სამკურნალო საშუალებების ხელმისაწვდომობა, როგორებიცაა მორფინი და კოდეინი, ამის შესაძლებლობა 150-ზე მეტ ქვეყანაში პრაქტიკულად არ არსებობს,"** - აღნიშნულია ნარკოტიკების კონტროლის საერთაშორისო კომიტეტის ყოველწლიურ ანგარიშში. დოკუმენტის თანახმად, ყოველ წელს 86 მილიონი ადამიანი იტანჯება ტკივილებით, მაგრამ მათ არა აქვთ აუცილებელი სამედიცინო დახმარება.

ვენაში გაერო-ს ორდღიან სამიტს სკანდალის გარეშე არ ჩაუვლია. თუმცა, ის ორიგინალური მეთოდი, რასაც ბოლივიის პრეზიდენტმა მიმართა, ნარკოტიკული საშუალებებისადმი კრიტიკული დამოკიდებულების გამოგალიზიანებითა და ქვეყნის ნაციონალური სიამაყის გრძნობით ახსნა.



*ევო მორალესი ბოლივიაში კოკას კულტურის ტრადიციის აღორძინების ერთ-ერთი ყველაზე აქტიური მომხრეა*

ევო მორალესმა გაერო-ს კომისიის სხდომაზე კოკას ფურცელი აიღო, და დემონსტრაციულად დაიწყო მისი ღეჭვა და განაცხადა: **"შესაძლოა, კოკა იყოს კიდეც სტიმულატორი, მაგრამ ის აბსოლუტურად უვნებელია და ძალიან განსხვავდება კოკაინისგან, რომელიც ამ მცენარის დამუშავების შედეგად მიიღება."**

სამიტის მონაწილეებმა, რომელთა შეკრების მიზეზიც ნარკობიზნესთან ბრძოლის გაერო-ს ათწლიანი პროგრამის არაეფექტიანობა გახდა, ბოლივიის პრეზიდენტისთვის მიბაძვაზე უარი თქვეს და იგი მკაცრად გააკრიტიკეს კიდეც.

ევო მორალესი ბოლივიაში კოკას კულტურის ტრადიციის აღორძინების ერთ-ერთი ყველაზე აქტიური მომხრეა. მან მცენარეს ეროვნული მონაპოვარიც უწოდა იმ კონსტიტუციის თანახმად, რომელიც ქვეყანაში 2009 წლის თებერვალში მიიღეს.

ცნობისთვის, მსოფლიოში კოკას წარმოებით ბოლივია მესამე ადგილს იკავებს. კოკას მცენარე უმთავრესი ნედლეულია ძლიერმოქმედი ნარკოტიკული საშუალების - კოკაინის მისაღებად. პირველ ადგილს დღემდე კოლუმბია იკავებს, სადაც კოკას ბუჩქები 150 ათას ჰექტარზეა მოფენილი, მეორე ადგილზე კი პერუა - 97 ჰა მიწის ფართობზე კოკას მოსავლით.

ნარკოტიკული საშუალებების შესახებ იმ შეთანხმების თანახმად, რომელსაც ბოლივიამ გაერო-ს კომისიასთან 1961 წელს მოაწერა ხელი, ქვეყანას 25 წლის განმავლობაში ეს მცენარეული კულტურა სრულად უნდა გაენადგურებინა. თუმცა, ასე არ მოხდა.

მორალესმა ვენაში გამგზავრებამდე განაცხადა, რომ აპირებდა, დაერწმუნებინა გაერო-ს კომისიის წევრები კანონმდებლობის გადახედვის აუცილებლობაში, რომელიც დღემდე კოკას კულტურის განვითარებისთვის სასჯელს ითვალისწინებდა. მისი თქმით, ეს მისი, როგორც პრეზიდენტისა და ქვეყნის მმართველის მოვალეობებში შედის.

ბოლივიის პრეზიდენტის განცხადებით, კოკას წარმოებას ათასწლოვანი ისტორია და უწყვეტი კავშირი აქვს ბოლივიელი ხალხის ტრადიციებთან.

**"კოკას გამოყვანისთვის მკაცრი სასჯელი პროვოკაციაა ბოლივიელი ხალხის იდენტობისა და კულტურის წინააღმდეგ,"** - განაცხადა მორალესმა.

მისი თქმით, კოკას ფურცელი, პირველ რიგში, ტრადიციულ მედიცინაში გამოიყენება და სასარგებლოა ადამიანის ჯანმრთელობისთვის საკვები დანამატის თვალსაზრისით, ისევე როგორც რელიგიური ცერემონიებისთვის და არა ნარკოტიკული საშუალებების საწარმოებლად.

ზემოჩამოთვლილი არგუმენტების პარალელურად, მორალესი ნარკოტრეფიკის წინააღმდეგ აქტიური ბრძოლის მომხრეა. თვალსაჩინოებისთვის - მხოლოდ ბოლო ორი წლის მანძილზე ქვეყანაში, დაახლოებით, 18 ათას ჰექტარზე გაშენებული არალეგალური კოკას ბუჩქები ამოიძირკვა.

ექსპერტთა თქმით, მას შემდეგ, რაც გასული წლის ნოემბერში, ევო მორალესის განკარგულებით, ბოლივიის ტერიტორიაზე სრულებით შეჩერდა შეერთებული შტატების ნარკოტიკებთან ბრძოლის განყოფილების მოქმედება, ქვეყნიდან ნარკონედლეულის ექსპორტი მკვეთრად გაიზარდა. მაშინ მორალესმა ამერიკული უწყება ქვეყნის იმ რეგიონების ეკონომიკურ მხარდაჭერაში დაადანაშაულა, რომელთა მთავრობები ცენტრალური ხელმძღვანელობის ოპოზიციაში იმყოფებიან.

მორალესისგან განსხვავებული ხედვა აქვს გაერო-ს ნარკოტიკებისა და დანაშაულის ოფისის ხელმძღვანელ ანტონიო მარია კოსტას, რომელმაც მსოფლიოს მასშტაბით მოუწოდა მთავრობებს, გადახედონ ნარკოდამოკიდებულთა მიმართ სახელმწიფო პოლიტიკას და მეტი რესურსები გამოყონ დანაშაულის პრევენციისა და მომხმარებელთა მკურნალობისთვის, რათა შემცირდეს როგორც დანაშაულის, ასევე დაავადების მაჩვენებლები. მისი თქმით, მსოფლიოში ნარკოპრობლემა რაღაც თვალსაზრისით შეიზღუდა, მაგრამ საბოლოოდ მაინც ვერ გადაიჭრა.

ასეა თუ ისე, ნარკოტიკებზე მსოფლიო კონტროლმა დრამატულად მოულოდნელი შედეგი გამოიღო: კიდევ უფრო გაიზარდა ე.წ. შავი ბაზრის მასშტაბები.

ანტონიო მარია კოსტას განცხადებით, ნარკოტიკებით არალეგალური ვაჭრობა საფრთხეს უქმნის უსაფრთხოებასა და განვითარებას და მავანს ნარკოტიკებით ვაჭრობის ლეგალიზაციის სახიფათო გადაწყვეტილების სისწორისკენ უბიძგებს.

**"ნარკოტიკები არ არის სახიფათო, რადგან კონტროლდება, მაგრამ კონტროლდება იმიტომ, რომ ის დამღუპველია. ნარკოვაჭრობასთან ასოცირებული დანაშაულისა და კორუფციის გამო ზოგიერთს მიაჩნია, რომ მკურნალობა დაავადებაზე უფრო მნიშვნელოვანია, ხოლო ლეგალიზაცია - გამოსავალი. მაგრამ გაფრთხილებთ, ლეგალიზაცია ისტორიული შეცდომა იქნება,"** - განაცხადა ანტონიო მარია კოსტამ.

დღეისთვის მსოფლიოში 26 მილიონი ნარკოდამოკიდებული პირია რეგისტრირებული, რაც პლანეტის მოზრდილი ნაწილის 0.6 პროცენტია. ამ პირებს სხვებზე მეტად ემუქრებათ დისკრიმინაციისა და კრიმინალიზაციის საფრთხე და შედეგად ხდებიან კიდეც ადამიანის უფლებების მრავარიცხოვანი დარღვევის მსხვერპლნი.

# პაკისტანში ექს-პრემიერის მომხრეთა მარში დაიწყო

## ხელისუფლება ხელკეტების პოლიტიკას მიმართავს

მარიკა იაშვილი

პაკისტანი მასობრივმა საპროტესტო დემონსტრაციებმა მოიცვა. უკვე ოთხი დღეა, რაც ყოფილ პრემიერ-მინისტრ ნავაზ შარიფის მომხრეთა "გრძელი მარში" დაიწყო, რომელიც ქვეყნის პრეზიდენტ ასიფ ზარდარის წინააღმდეგ არის მიმართული. აქციის მონაწილეებმა სტარტი ქალაქ კარაჩისა და კვეტაში აიღეს და ახლა დედაქალაქისკენ მიემართებიან. ხელისუფლების ყველა მცდელობა, ხელი შეუშალოს დემონსტრანტებს, უშედეგოა.



დესტაბილიზაციის თავიდან ასაცილებლად ქვეყნის მთავრობამ პაკისტანის მთელ ტერიტორიაზე პოლიტიკური გამოსვლები აკრძალა, თუმცა ამის მიუხედავად აქციის მონაწილეები ქალაქ კარაჩიში სასამართლოს შენობასთან მაინც შეიკრიბნენ. პოლიციის მცდელობა, დაეშალა აქცია, შეტაკებით დასრულდა, რასაც სამართალდამცავების მხრიდან დემონსტრანტების დაკავება მოჰყვა.

ქვეყანაში ვითარება ძალზე დაძაბულია. აქციის მონაწილეებთან გასამკლავებლად პოლიციელები ხელკეტებს იყენებენ. თუმცა, როგორც ოფიციალური პირები აცხადებენ, ძალადობისა და სისხლისღვრის თავიდან ასაცილებლად ყველაფერი კეთდება.

შარიფის მომხრეები 16 მარტისთვის პაკისტანის დედაქალაქში ჩასვლას და იქ გრძელვადიანი მიტინგის ჩატარებას გეგმავენ, რომლის მთავარი მოთხოვნაც ქვეყნის ყოფილ პრეზიდენტ პერვეზ მუშარაფის მიერ გადაყენებული უზენაესი სასამართლოს 60 მოსამართლის თანამდებობებზე დაბრუნება და პენჯაბის პროვინციაში საპრეზიდენტო მმართველობის გაუქმება იქნება.

მასობრივი აქციის მიზეზად, რომელსაც პაკისტანში არსებული დესტაბილიზაციის კიდევ უფრო გაღრმავება შეუძლია, სასამართლოს თებერვლის გადაწყვეტილება იქცა, რომლის მხიედვით ექს-პრემიერ შარიფს და მის ძმას შაჰბაზს არჩევნებში თავისი კანდიდატურის წამოყენება ეკრძალებათ.

ნავაზ შარიფი ქვეყნის სიდიდით მეორე დემოკრატიული პარტიის - "პაკისტანის მუსლიმანური ლიგის" (ნავაზ შარიფის ფრაქციის) ლიდერია და საპარალამენტო არჩევნებში მონაწილეობას გეგმავდა. მისი ძმა შაჰბაზი კი სასამართლოს გადაწყვეტილებამდე პენჯაბის პროვინციის რეგიონული საკანონმდებლო კრების დეპუტატი და ქვეყნის ამ უმსხვილესი რეგიონის ადმინისტრაციის მეთაური იყო.

ექსპერტების აზრით, პრეზიდენტი არ არის დაინტერესებული მოსამართლეების თანამდებობაზე დაბრუნებით, რადგან ისინი არა მხოლოდ ექს-პრეზიდენტ მუშარაფის ქმედების კანონიერების შესწავლას აპირებენ, რომელიც 2007 წელს ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებას ეხება, არამედ გეგმავენ, განიხილონ კორუფციის ბრალდებავ, რომელიც თავად ზარდარის აქვს წაყენებული. შარიფისთვის კი მოსამართლეთა დაბრუნება და მუშარაფის დასჯა პარტიული პროგრამის საკვანძო საკითხებია. თავის პოლიტიკაში ის ძირითად აქცენტს ქვეყანაში დემოკრატიის ამაღლების სურვილზე აკეთებს.

"ეს მარში ადვოკატთა გაერთიანების მეირ არის წამოწყებული და ჩვენ მას მხარს ვუჭერთ, რადგან ვფიქრობთ, რომ მსგავსი მოვლენები ქვეყანაში დემოკრატიის კიდევ უფრო განვითარებას უწყობს ხელს," - აცხადებს შარიფი. ექს-პრემიერმა ისიც აღნიშნა, რომ აქციების მიზანია, ქვეყანას ჰყავდეს სამართლიანი და დამოუკიდებელი სასამართლო, რაც თავის მხრივ ქვეყანაში დემოკრატიის ხარისხს გაზრდის.

ოპოზიციის აქციის დაწყებისთანავე ქვეყნის ხელისუფლებამ დედაქალაქის ბლოკირების გადაწყვეტილება მიიღო: უსაფრთხოების ძალებმა ისლამაბადის ყველა შესასვლელი და გასასვლელი ჩაკეტეს. საგანგებო ნებართვის გარეშე ქალაქში ვერავინ შევა და ვერც დატოვებს მას. ისლამაბადსა და ქვეყნის სხვა დიდ ქალაქებში ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებიდან მობილიზებულია პოლიციის დამატებითი ქვედანაყოფები და სამხედრო სპეცსამსახურების წარმომადგენლები.

თუმცა იქნება თუ არა შედეგიანი ხელისუფლების მცდელობები, უცნობია, რადგან აქციას სათავეში უდგას ქვეყნის ადვოკატთა ასოციაცია, რომელიც პაკისტანში ერთ-ერთ ყველაზე დაუმორჩილებელ პროფესიულ გაერთიანებად არის მიჩნეული.

აქციის მონაწილეებს სიტყვით მიმართა თავად შარიფმაც და ხელისუფლების აკრძალვების იგნორირებისა და ისლამაბადამდე მისვლისკენ მოუწოდა.

გეგმის თანახმად, "გრძელი მარშის" მონაწილეები, რომელთაც სტარტი კარაჩიში და კვეტაში აიღეს, ერთმანეთს 14 მარტს ქალაქ მულტანში შეხვდებიან, მეორე დღეს პენჯაბის დედაქალაქ ლაჰორში ჩავლენ და ამის შემდეგ ისლამაბადისკენ გაემართებიან.


FREE INDUSTRIAL ZONE
RAKIA GEORGIA
No limits
Absolute freedom for your business
First free industrial zone in Caucasus
Strategic location beside the Poti Sea Port
No tax on profit for foreign companies
Easy business set up
POTI
FIZ
www.rakiageorgia-freezone.com
RAKIA Georgia FIZ LLC (Poti Head Office)
47 Agmashenebeli str, 4400, Poti, Georgia
Tel: (995 393) 25 25 4/5/6
Fax: (995 393) 25 25 1/9
RAKIA Georgia FIZ LLC (Tbilisi Representative)
20 Telavi str, 0103, Tbilisi, Georgia
Tel: (995 32) 27 77 33
Fax: (995 32) 27 73 73
E-mail: info@rakiageorgia-freezone.com
www.rakiageorgia-freezone.com

კომენტარები მთავარზე



## ნუ, ბატონო პრეზიდენტო!

ლაშა ბუღაძე

როცა სიტყვები ძალას კარგავენ, მაშინ მინიშნებებიც კმარა ხოლმე.

რა საჭიროა ბევრი ლაპარაკი, თან, როცა ყველაფერი ათასჯერაა ნათქვამი, მნიშვნელოვანი რაღაცეების შესახსენებლად ზოგჯერ მხოლოდ შორისდებულები, ფრაზის ნაგლეჯები, ბოლომდეართქმული სიტყვები, ანაც შესაბამისი ტონით აღმომხდარი ბგერებიც საკმარისია.

ამიტომაც დავარქვი ამ წერილს "ნუ, ბატონო პრეზიდენტო", დარწმუნებული ვარ, ასე, ამ ფორმით უფრო უკეთ გამიგებთ.

9 აპრილის მიტინგი და ვთქვათ ბევრი ხალხი...

დარბევა - აპ-აპ-აპ... არაფრით!

ნუ - ისტერიულ რეაგირებას!

დარბეული 7 ნოემბრის აქცია: ვაი, ვაი, ვაი... თქვენთვისაც და ქვეყნისთვისაც.

კრიზის შემთხვევაში დათმობა - კი! აბა რა! ვინც თმობს, ის იგებს. ასეთ დროს, ყოველ შემთხვევაში. სიბრაზე კი არა, შებერტყილობა (ამ სიტყვის ღირსეული გაგებით).

გადანაწილებული პასუხისმგებლობები... იფ, იფ, იფ! კოალიციური მთავრობა - ოჰ, დიდებული!

პრეზიდენტის უფლებების შეკვეცა, პარლამენტის უფლებების გაზრდა - აი, რა! აი! მმმ...

ოპოზიციონერების ზიზღის გამო დაშვებული შეცდომები - ჯვარი აქაურობას, ჯვარი აქაურობას!

არაფერს ვამტკიცებ, მაგრამ შარშან, 21 მაისს, საპარლამენტო არჩევნების დღეს, აფხაზეთის საზღვართან რომ ავტობუსი აფეთქდა, ძალიან არადამაჯერებელი იყო. რა ვქნა, ვერ დავმალავ.

ეგეთი რამეები: აპ-აპ-აპ, არავითარ შემთხვევაში!

ისედაც სტრესებში ვართ. ომმა მთლად წაგვახდინა.

ვინმემ რომ ასეთი ოინი შემოგთავაზოთ (ხომ არსებობენ, დამეთანხმეთ, საშინელი ადამიანები), პაწია პროვოკაცია ყურადღების გადასატანადო, იმწუთშივე თქვენებური დაყვირებით განაგდეთ: მოღალატევ, სატანავ მაცდუნებელო და ა.შ. არ დაუჯეროთ ასეთებს!

ასეთი ოინები - შორს, შორს, შორს!

"სომხური ეკონომიკა დაემხო"... აპ! "დაემხო" - ნუ. ჩვენ გვექმნება მერე პრობლემები, საქართველოს.

მოზომილი ტერმინოლოგია. დავიხოცეთ ნერვიულობით.

ხომ გახსოვთ, რა მოჰყვა "ჩარეცხილებს"? თქვენ ნუ, თქვენ ნუ იტყვით. თუ სათქმელია, ერი თავად ეტყვის, ვისაც საჭიროა. დროა, დაიჯეროთ, რომ მათი პრეზიდენტიც ხართ!

სპეც-დანიშნულების რაზმი რუსთაველზე - უიმეე, რომ წარმოვიდგენ, გული მისკდება...

ერთი კუკავას გალახვით ოთხ კუკავას იღებთ, გახსოვდეთ!

შეხვედრებიი, მოლაპარაკებებიი, პოლიტიკური ვაჭარქმნადობა - კი! კი! კი! ესაა პოლიტიკა და...

კომპრომისი - კი!

"პოლიტიკა კომპრომისების ხელოვნებაა" - ვინ თქვა? გენიოსი, ნუ.

გაანალიზება ამ ხუთი წლის... ნაღდი, ფარისევლური ანალიზი კი არა!

შეცდომებზე ჩაფიქრება... კარგ ადამიანს დასკვნები გამოაქვს თავისი შეცდომებიდან, ცუდს არა. და შეცდომები იყო, მაგარი თან, ფაქტია. წარმატებებიც იყო, ვინ უარყოფს, მაგრამ ფიქრი მარტო შეცდომებზე, ახლა ასე ჯობია.

"საქართველოს ისტორია ჩემით არ მთავრდება," - იფ, იფ, იფ ამ სიტყვებს!

ხალხთან ლაპარაკი, მორალიზმის გარეშე... ყველას გათვალისწინება...

ყოველ წელს ჯოჯოხეთი გვაქვს. რუსეთი - საზიზღარი, ძალიან გვაწვალებს. თქვენც ნუ გაგვაწვალებთ.

"ავაცილო ჩემ ხალხს უბედურებები... ანუ მხოლოდ მე კი არ ავიცილო, ჩემ ხალხსაც ავაცილო! შევეცადო მაინც!" - იფ, ბრავო!

ნუ - აგრესიას!

არა - პროვოკაციული ოინების შემომთავაზებლებს (ვიმეორებ, მნიშვნელოვნად მიმაჩნია და იმიტომ)!

"სისტემა, ინსტიტუტები და არა მე!" - გენიალურია! თითქოს უნდა წავსულიყავით აქეთკენ, მაგრამ... რა ვიცი...

ფსიქოპათური რეაქციაბი - აჰ, ვაიმე! არა! არა და არა!

შორსმჭვრეტელობა - რასაკვირველია!

"საწყალი საქართველო, საწყალი საქართველო", ანუ ჩვენი შეცოდება - კი, კი, აბა რა, ჰუმანურია, ადამიანურია.

მეტი რა გითხრათ, არათუ სიტყვები, ბგერებიც აღარ მყოფნის.

მთავარია, ხომ გამიგეთ?

# გაღმა ნაპირი



გუშინ საღამოს კინოთეატრ რუსთაველში გიორგი ოვაშვილის ახალი ფილმის გაღმა ნაპირი" დახურული ჩვენება გაიმართა. გაღმა ნაპირი" მოგვითხრობს 12 წლის ბიჭის შესახებ, რომელიც აფხაზეთიდან დევნილთა თაობას მიეკუთვნება. ცხოვრება მას მრავალ წინააღმდეგობას უმზადებს. 1992-93 წლების შეიარაღებულმა კონფლიქტმა თედოს წაართვა ყველაფერი, რაზეც კი ოდესმე უოცნებია. ფილმი მოგვითხრობს თედოს მცდელობაზე იმედისა და რწმენის დაბრუნებისათვის.

ქართულ - ყაზახური ფილმის გაღმა ნაპირი" მსოფლიო პრემიერა უკვე იყო, ის ბერლინის 59-ე საერთაშორისო კინოფესტივალზე იხილეს. ფილმი ბერლინალე 2009" -ის სექცია Generation საკონკურსო პროგრამაში იყო ნაჩვენები. მაგრამ ამით არ დასრულებულა ახალი ფლილმის მოგზაურობა საერთაშორისო ასპარეზზე. ულ ცოტა ხნის წინ ოვაშვილის ნამუშევარი ბელგრადის 37-ე საერთაშორისო კინოფესტივაზე ჟიურის სპეციალური პრიზით გამოარჩიეს.

ფილმი წარდგენილია რამდენიმე საერთაშორისო კინოფესტივალებზე: ვიესბადენი-გერმანია; კრისტიანსენდი-ნორვეგია; სიეტლი - აშშ; გრანადა - ესპანეთი; პარიზ-სინემა საფრანგეთი.

ამას გარდა, მიღებულია მოწვევა 30 სხვადასხვა საერთაშორისო კინოფესტივალიდან.

ამ ეტაპზე მიმდინარეობს საოგანიზაციო სამუშაოები სპეციალური ჩვენებების მოსაწყობად კანის საერთაშორისო კინოფესტივალზე, გაეროში და ლოს ანჯელესში. უახლოეს ხანებში 24 საათის მკითხველი გიორგი ოვაშვილს და მის ახალ სურათს ბევრად ახლოს გაიცნობს.

**24 საათი**

# მიზანდარები

ხათუნა ქადავა



სიმფონიური მუსიკის მოყვარულებს საქართველოს ეროვნულ მუსიკალურ ცენტრში დღეს იშვიათი საღამო ელით. რამდენიმე საათის განმავლობაში ისინი XIX საუკინის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის მუსიკას მოისმენენ. მიზანდარების მუსიკალური დინასტიის ორი წარმომადგენლის მიერ შექმნილს. ალოიზ მიზანდარი და ლევან მიზანდარი. პირველის სახელი საზოგადოებისთვის კარგად არის ცნობილი. ის საფორტეპიანო სკოლის ფუძემდებელი, პირველი სამუსიკო სკოლის ერთ-ერთი დამაარსებელი და პირველი დაბეჭდილი ნაწარმოების ავტორი იყო. ჩაიკოვსკის, რუბინშტეინის, ბალაკირევის, ლისტის, როსინის, ბრამსის ახლო მეგობარი.

ლევან მიზანდარს მუსიკისკენ გზა კომპოზიტორმა ნუგზარ ვაწაძემ და საკუთარმა ნიჭმა გაუკვალა. მუსიკალურ ცენტრში დღეს მისი დებიუტი შედგება. ალოიზ მიზანდარის ნაწარმოებების შემდეგ მისი შთამომავლის ოთხი ნაწარმოები შესრულდება: ფანტაზია, ორნი, აველუმფლენგი, მოგონებები, სიმფონია.

**ლევან მიზანდარი:** ეს კონცერტი ჩემი დიდი წინაპრის, პირველი ქართველი ვირტუოზი-პიანისტის ალოიზ მიზანდარის დაბადებიდან 170 წლისთავს დავუკავშირე. საზოგადოების წინაშე ჩემი ნაწარმოებები პირველად გაჟღერდება. ასევე შესრულდება ალოიზ მიზანდარის ის ნაწარმოებები, რომლებიც ყველას დაკარგული ეგონა. მართალია, კომპოზიტორის ოთხხმიანი მესები, რომლებიც თბილისის კათოლიკურ ეკლესიაში სრულდებოდა, აღარ არსებობს, მაგრამ არსებობს მისი საფორტეპიანო ნაწარმოებები: მაზურკა-ფანტაზია, ორი პატარა ვალსი, აღმოსავლური მელოდია დალეზგენკა, მაზურკა მოგონება აბასთუმანზე . ამ ყველაფერს ქართველი მსმენელი სიმფონიური ორკესტრისა და საგუნდო კაპელის მონაწილეობით დღეს რვის ნახევარზე მოისმენს. მანამდე კი, მუსიკალური ცენტრის საგამოფენო დარბაზში მოზანდარების კიდევ ორი წარმომადგენლის გივი მიზანდარის (ლევან მიზანდარის ბიძა) და მზია მელიქსეთ-ბეგი მიზანდარის (ლევან მიზანდარის დედა) ნამუშევრების გამოფენა მოეწყობა. დამთვალიერებელი მეცხრამეტე-მეოცე საუკუნის ფოტოდოკუმენტალისტიკასაც გაეცნობა.

# პოეზია მუსიკაში

### ჯემალ ოიკაშვილის ფარული ნიჭი ოპერაში

ეკა ჩიქვაიძე



უკვე ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც მუსიკათმცოდნე ჯემალ ოიკაშვილი ამ ქვეყნიდან წავიდა. 68 წლიანი ცხოვრების მანძილზე მან უამრავი საქმის გაკეთება მოასწრო და თავისი პიროვნული თვისებებით უამრავ ადამიანს შეაყვარა თავი. იგი მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი იყო და თავისი პროფესიის გარდა სხვა საქმიანობითაც იყო დაკავებული.

ჯემალ ოიკაშვილი ახალგაზრდობაში თეატრალურ უნივერსიტეტში - სარეჟისორო ფაკულტეტზე სწავლობდა, სადაც ყოველთვის კარგი მეტყველებითა და მაღალი გემოვნებით გამოირჩეოდა. მიუხედავად ამისა, თეატრალური ინსტიტუტი არ დაუმთავრებია და კონსერვატორიის სტუდენტი გახდა. მეგობრების წრეში მას პატარა სპექტაკლებიც დაუდგამს. თავისი დისერტაცია ზაქარია ფალიაშვილის შემოქმედებას მიუძღვნა. შექმნილი აქვს სპეცმუსიკალური სახელმძღვანელოები: კარნახებისა და სოლფეჯიოების კრებულები, დაწერილი აქვს მრავალი ნაშრომი ქართველი და არაქართველი კომპოზიტორების შემოქმედების შესახებ. წლების განმავლობაში მუსიკისმცოდნეობის კათედრის თანამშრომელი და კონსერვატორიის მუსიკისმცოდნეობის კომპოზიციის ფაკულტეტის დეკანი გახლდათ. საკმაოდ დიდი ხნის წინ მას ბევრი ბრძოლა მოუხდა იმისთვის, რომ საფრანგეთში მოღვაწე ქართველი კომპოზიტორის - ერეკლე ჯაბადირის სახელი საქართველოშიც ცნობილი გამხდარიყო. მისი გარდაცვალების შემდეგ, მისმა ოჯახმა და ახლობლებმა აღმოაჩინეს, რომ მას სხვადასხვა მუსიკალური საკრავებისთვის პიესები ჰქონდა შექმნილი, მათ შორის საგალობლები. დაწერილი აქვს უამრავი ლექსი, რომლებსაც თავმდაბლობისა და თვითკრიტიკულობის გამო არ ამჟღავნებდა. მისი ლექსების კრებული მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ, ოჯახის წევრების ინიციატივით გამოვიდა.

თავს პოეტად არ თვლიდა, პოეზიას მხოლოდ გატაცებად მიიჩნევდა. მის უჯრებში უამრავი მიმოფანტული ლექსი აღმოჩნდა, რომლის უმეტესობაც მისი მეუღლის ინგა გვეტაძის მიმართ იყო მიძღვნილი, რომელთანაც სიცოცხლის ბოლომდე შესაშური და განსაკუთრებული სითბოთი სავსე ურთიერთობა აკავშირებდა. მისი გარდაცვალების შემდეგ აღმოჩენილი ლექსებისა და მუსიკალური ნაწარმოებების გამო, ოჯახის წევრებმა და ახლობლებმა გადაწყვიტეს, მისი გატაცებით შექმნილი ნამუშევრები საზოგადოებისთვის წარმოედგინათ და 11 მარტს ოპერისა და ბალეტის თეატრის წითელ დარბაზში მისი ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო გამართეს. საღამოს მოწყობაში მის ოჯახს უამრავი ადამიანი ამოუდგა მხარში და მისი ნაწარმოებების, თუ ლექსების მოსასმენად უამრავმა ადამიანმა მოიყარა თავი.

საღამოზე წარმოდგენილი იყო ანა კალანდაძისა და ჯემალ ოიკაშვილის ლექსებზე შექმნილი ნაწარმოებები, პიესები ფორტეპიანოსა და კლარნეტისთვის, ვარიაციები ფორტეპიანოსთვის, კომპოზიციები შეასრულეს კონტრაბასსა და ვიოლინოზე, წარმოდგენილი იყო ასევე ჯემალ ოიკაშვილის ლექსები, რომლებიც დავით ერაძემ და გიორგი იარაჯულმა წაიკითხეს. ჯემალ ოიკაშვილის კომპოზიციები მისმა შვილიშვილებმაც გიორგი და ირაკლი ოიკაშვილებმაც კლარნეტსა და ფორტეპიანოზე შეასრულეს.

ჯემალ ოიკაშვილი ოჯახში მუსიკალური სული ყოველთვის მეფობდა. მას დედა მუსიკის მასწავლებელი ჰყავდა, მისი ოჯახის თითქმის ყველა წევრიც მუსიკოსია. იგი განსაკუთრებული იუმორის გრძნობითაც გამოირჩეოდა, ეხერხებოდა ფოტოხელოვნება და უყვარდა კაფიაობა. მისი ახლობლები გულისტკივილით იხსენებენ მეგობრების წრესა თუ ოჯახში მოწყობილ სიურპრიზებს, მის ხალისიანობასა და ენამოსწრებულობას, ამიტომ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ მას ასეთი სევდიანი ლექსების წერა შეეძლო. "იგი ჩემი მოსწავლე იყო, მუსიკის ისტორიას ვასწავლიდი. ყოველთვის ნიჭიერი და ინტელიგენტი ადამიანი იყო. ხუთი წლის წინ ჩემს იუბილეზე ერთი სახუმარო ლექსი მომიძღვნა და ამით ძალიან გამაოცა. მაშინ მივხვდი, რომ მას პოეტური ნიჭიც ჰქონია", - კონსერვატორიის პროფესორი გულბათ ტორაძე.

# ყუთებში მოთავსებული XXI საუკუნე

## გოეთეს ინსტიტუტში ბეჭდვითი კომუნიკაციის დიზაინის ნიმუშები წარმოადგინეს

თამარ კიკნაველიძე

გოეთეს ინსტიტუტი საქართველოში, როგორც გერმანული კულტურის ცენტრი, საინტერესო პროექტებს ახორციელებს. ავიღოთ, თუნდაც, მის საგამოფენო დარბაზში მოწყობილი ექსპოზიციები, რომლებიც მუდამ საყოველთაო ინტერესს იწვევს. ამჯერად, შემოგვთავაზეს გამოფენა, რომელიც გერმანიაში შექმნილი ბეჭდვითი კომუნიკაციების დიზაინის ნიმუშებს მოიცავს.

მიუხედავად იმისა, რომ ექსპოზიცია, ძირითადად, ამ სფეროში მომუშავე პროფესიონალებზე იყო გათვლილი, მან საკმაო რაოდენობის დამთვალიერებელი მიიზიდა. ამ სფეროში მიღებული გამოცდილების გაზიარების მიზნით შექმნილი გამოფენა ფორმის თვალსაზრისითაც საინტერესოა.

აქტუალური არტის განვითარების პროცესი საქართველოში ცალკეული ავტორების კისერზეა . ეს პროცესი კი ძალიან რთულად მიმდინარეობს, თუნდაც იმის გამო, რომ არარსებობს სივრცე, რომელიც თანამედროვე ხელოვნების ნიმუშების გამოსაფენად გამოდგება. აქ აქტუალურს ვიზუალურის გვერდით წარმოადგენენ ხოლმე, რაც მათ დამოუკიდებლად აღქმას უშლის ხელს და სასაცილოდ გამოიყურება. ამ კუთხითაც გამორჩეული ექსპოზიცია, რომელიც გოეთეს ინსტიტუტში გაიხსნა.

აღნიშნული პროექტი ხუთ სფეროს მოიცავს, ესენია: შრიფტები, გრაფიკული დიზაინი, ციფრული მედია, კორპორატიული დიზაინი და საორიენტაციო ნიშნების დიზაინი. სულ 41 სადიზაინერო ბიუროს 150 ნიმუშია წარმოდგენილი. ეს ყველაფერი მოთავსებულია ყუთებში, ე.წ. Flight Cases-ში, რომლებიც დიუსელდორფის სადიზაინერო ბიურომ, სახელწოდებით - nowakteufelknyrim , საგანგებოდ ამ გამოფენის ტრანსპორტირებისთვის შექმნა.

რკინის კონტრუქციით შექმნილი ყუთები მოძრავი და ადვილად გადასაადგილებელია, აქვს უჯრები, რომლებზეც ბეჭდვითი კომუნიკაციის დიზაინის ნიმუშებია მოცემული და დათვალიერების თვალსაზრისით მოსახერხებელია. მათზე გაეცნობით ხუთივე სფეროს პროდუქციას, ნახავთ გერამნიაში დამზადებული გრაფიკული, კორპორატიული თუ საორიენტაციო ნიშნების დიზაინის ნიმუშებს, რომელთა დათვალიერებაც ყველაზე მეტად, ცხადია, დიზაინერებისთვის იქნება სასარგებლო.



გოეთეს ინსტიტუტის დირექტორი ვერნერ ვიოლი

ცალკე აღნიშვნის ღირსია არაერთი გერმანული გამოცემა, რომლებიც ექსპოზიციის ფარგლებშია წარმოდგენილი. მათ შორის, ყველაზე მნიშვნელოვანი, ალბათ, მსოფლიო შრიფტების კრებულია - Font Book , რამაც შრიფტის დამუშავებით გატაცებული პროფესიონალები დააინტერესა. ამ წიგნში ქართული შრიფტის რამდენიმე ნიმუშია თავმოყრილი და მხედრულ ანბანთან ერთად აქ ძველ ქართულსაც ნახავთ...

ინტერესი, რომელიც ქართულმა საზოგადოებამ ამ გამოფენისადმი გამოიჩინა, მოულოდნელი და სასიხარულო აღმოჩნდა გოეთეს ინსტიტუტის დირექტორისთვის...

**ვერნერ ვიოლი**: - გერმანიაში შექმნილი აქტუალური ბეჭდვითი დიზაინის ნიმუშები საქართველოში პირველად წარმოვადგინეთ. ეს გამოფენა, უპირველესად, საინტერესოა იმ სპეციალისტებისთვისა, რომლებიც ამ სფეროში მუშაობენ. აქ არა მხოლოდ გერმანელი, არამედ გერმანიაში მცხოვრები უცხოელი დიზაინერების მიერ XXI საუკუნეში შექმნილი მასალაა წარმოდგენილი. ვფიქრობ, ხუთივე სფერო, იქნება ეს კორპორაციული დიზაინი, რომელიც სხვადასხვა საწარმოს ლოგოებს გვთავაზობს, ციფრული მედია, გრაფიკული დიზაინი, ტოპოგრაფია, ანუ შრიფტების სფერო თუ საორიენტაციო ნიშნების დიზაინი, საინტერესოდ არის წარმოჩენილი...

**- მათთან ერთად, დამთვალიერებელი აქ წარმოდგენილი გერმანული გამოცემებითაც დაინტერესდა...**

- მართალია. მათი განსაკუთრებული ყურადღება კი, ერთ-ერთ წიგნზე შეჩერდა, რომელიც, ჩემი აზრით, მნიშვნელოვანი გამოცემაა. ეს გახლავთ ფონტების კრებული, სადაც მსოფლიოში არსებული შრიფტებია შესული, მათ შორის ქართულიც... კმაყოფილი ვარ, რომ ამ გამოფენის გახსნას ამდენი ადამიანი, სპეციალისტი და ახალგაზრდა დაესწრო... მათ შორის იყვნენ სამხატვრო აკადემიის სტუდენტებიც ქ-ნ ნანა იაშვილის კათედრიდან, პროფესორ-მასწავლებლები და სხვები.

**- რას გვეტყვით ექსპოზიციის კონცეფციაზე?**

- ამ გამოფენის კონცეფცია, მართლაც, ექსტრაორდინალურია. აქ წარმოდგენილი ხუთი დიდი საგამოფენო ყუთი საგამოფენო ობიექტებად აღიქმებიან... იმისათვის, რომ ნამუშევრები დათვალიეროთ, ეს ყუთები უნდა გახსნათ და დახუროთ... ერთი ყუთი კი, წარმოადგენ მაგიდას, რომელშიც ხუთი ეკრანია ჩამონტაჟებული და ვიზუალურ მასალას ატრიალებს...

**- ვინ შეარჩია ნამუშევრები?**

- გერმანიაში, კერძოდ კი ფრანკფურტში, არსებობს ინსტიტუტი, რომელიც, ერთგვარი, ფორმის მიმცემი ინსტანციაა... სწორედ ამ ინსტიტუტისა და გერმანული კულტურის ცენტრის მიერ შეირჩა ნამუშევრები, რომლებიც აქ წარმოვადგინეთ.

**- სამომავლოდ რას გვპირდებით?**

- მინდა გითხრათ, რომ სამომავლოდ მართლაც არაერთი საინტერესო ღონისძიებაა დაგეგმილი. საქმე იმაშია, რომ ჩვენთვის წლევანდელი წელი განსაკუთრებულია, რადგანაც აღვნიშნავთ გერმანიის დღეებს ამიერკავკასიაში. შესაბამისად, მზადდება დიდი პროგრამა, რომელიც სტარტს ივნისის თვეში აიღებს, შემოგთავაზებთ როკ კონცერტს, საფორტეპიანო მარათონს, გერმანული თეატრის წარმოდგენებს, ასევე, პროექტს 1989-09 , სადაც ვუჩვენებთ თუ როგორ განვითარდა ამ ოცი წლის განმავლობაში საქართველო და გერმანია, გვექნება ლიტერატურული ღონისძიებები, გადავიღებთ ორ მოკლემეტრაჟიან ფილმს და მოვაწყობთ დიდ გამოფენას, რომელშიც გერმანელებთან ერთად, ორი ქართველი მხატვარიც მიიღებს მონაწილეობას...

# Tron-ის სიქველის საუნდტრეკი Daft Punk-ს მიანდეს

ფრანგული ელექტრონული დუეტი Daft Punk-ი, კომპანია Walt Disney Pictures-ის ახალი ფანტასტიკური ფილმ - TR2N-სთვის საუნდტრეკს ჩაწერს. ამ სიახლის შესახებ ინფორმაცია Billboard-მა გაავრცელა. ფილმი, რომლის გამოსვლაც 2011 წლისთვისაა დაგეგმილი, სტივენ სპილბერგის 1982 წელს გამოშვებული ფილმის Tron-ის სიქველი იქნება, სადაც მთავარ როლს ჯეფ ბრიჯესი ასრულებდა. ფილმი Tron-ი კინემატოგრაფიის ისტორიაში შევიდა, როგორც ერთ-ერთი პირველი ფილმი, სადაც კომპიუტერული გრაფიკა იყო გამოყენებული. პირველი ფილმის საუნდტრეკის ავტორი კომპოზიტორი უენდი კარლოსი გახლდათ.

რაც შეეხება Daft Punk-ს, ფილმ - TR2N-სთვის განკუთვნილი მუსიკის ჩანაწერი, 2005 წლის შემდეგ, ფრანგული დუეტისთვის პირველი სტუდიური ჩანაწერი იქნება. 2005 წელს ჯგუფის მესამე ალბომი - Human After All გამოვიდა. მუსიკოსები საუნდტრეკზე ნიუ იორკში, თავიანთ ახალ სტუდიაში მუშაობენ.

ცნობილი ფანტასტიკურ ფილმის სიქველში, ისევე როგორც ფილმის ორიგინალში კევინ ფლინის როლს კვლავ ჯეფ ბრიჯესი შეასრულებს, რისთვისაც მას იგივე სკანირების პროცედურის გავლა მოუწია, რა ხერხიც დევიდ ფინჩერის ფილმ - "ბენჟამინ ბატონ"-შია გამოყენებული. ჯერ კიდევ დაუდასტურებელი ინფორმაციით, ფილმში მონაწილეობას მიიღებენ ასევე კარლ ურბანი და ჯონ ჰერტი. 2008 წლის 24 ივლისსს, სან დიეგოში გამართულ ფესტივალზე - ComicCon, მომავალი ფილმის სარეკლამო რგოლი იყო ნაჩვენები.

2007 წელს Daft Punk-ი მსოფლიო ტურნეზე გაემგზავრა, რის შედეგადაც გამოშვებული იქნა საკონცერტო ალბომი - Alive 2007. 2009 წელს დისკმა პრემია "გრემი" მიიღო, როგორც საუკეთესო საცეკვაო ალბომმა.

## ოთარ ჩხეიძის ნოველის "შავი ჯოხის" პრეზენტაცია

ჟურნალ "ჩვენი მწერლობის" რედაქციის დარბაზში მწერალ ოთარ ჩხეიძის ნოველის "შავი ჯოხის" წაკითხვა მოეწყო. ნოველა გამოჩენილმა მსახიობმა ნინელი ჭანკვეტაძემ წაიკითხა, რამაც დამსწრები საზოგადოების დიდი აღფრთოვანება გამოიწვია.

"შავი ჯოხი" კომუნისტურ რეჟიმს აღწერს და მწერლის მიერ მაშინდელი აზროვნებაა დაგმობილი. ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების წარმომადგენლების შეფასებით, მსახიობმა თავისი სისადავით არაჩვეულებრივად გადმოსცა მწერლის მიერ ნოველაში ჩადებული იდეური ხაზი და ქვეტექსტები. როგორც თეატრმცოდნე ვასილ კიკნაძემ აღნიშნა, მსახიობი ზუსტად ჩაწვდა იმ ქვეტექსტსა და ქვედაფენებს, რომელიც მწერალ ოთარ ჩხეიძეს ახასიათებს. ნოველის წაკითხვის შემდეგ სიტყვით გამოვიდნენ პროფესორები იოსებ ჭუმბურიძე და თემურ ნადარეიშვილი, თეატრმცოდნე: ნათელა არველაძე. მწერლები მაკა ჯოხაძე და ციალა არდაშელია.

პროფესორმა პაატა ჩხეიძემ ნოველის რეალური პერსონაჟი ილიკო ბედიანაშვილი გაიხსენა, რომელმაც მას ბავშვობაში პირველმა უთხრა, რომ კომუნისტები ცუდები იყვნენ.

დამსწრე საზოგადოებამ მწერალ ოთარ ჩხეიძის შემოქმედებაზეც ისაუბრა და მისთვის დამახასიათებელ ღრმა აზროვნებასა და ეპოქის და პერსონაჟების დახატვის დიდოსტატობას გაუსვეს ხაზი. მათი თქმით, ნინელი ჭანკვეტაძემ აღნიშნული ნოველა იმდენად სწორად წაიკითხა, რომ ისეთი შთაბეჭდილება დარჩათ, თითქოს მწერალი მათ თვალწინ წერდა ნოველას. ნოველის წაკითხვამდე ჟურნალ "ქართული მწერლობის" მთავარმა რედაქტორმა როსტომ ჩხეიძემ მწერალ ოთარ ჩძეიძის მოღვაწეობის და ნოველის შექმნის ისტორიის შესახებ მოკლე მიმოხილვა გააკეთა.

"ნოველა "შავი ჯოხი" გასული საუკუნის 30-იან წლებში დაიწერა. ნოველის მთავარი გმირი ილიკო ბედიანაშვილი ნამდვილად არსებობდა და ის მწერლის შორეული ნათესავი იყო. ნოველაში პეტრეს პერსონაჟით გადმოცემულია მაშინდელი საბჭოთა ადამიანების აზროვნება, ხოლო თვითონ ილიკოს სახით კი დახატულია ქართლელი გლეხი თავისი შინაგანი არისტოკრატიზმით. ოთარ ჩხეიძე სწორედ ასეთი შემოქმედების გამო 1946 წელს გამართულ საკავშირო ყრილობაზე კონსტანტინე გამსახურდიასა და ლევან გოთუასთან ერთად დაახასიათეს როგორც დრომოჭმულობის გამაიდეალებელი. ხოლო ოთარ ჩხეიძეზე აღნიშნეს, რომ წესიერად თანამედროვეობასაც ვერ ხედავსო. 60-იან წლებში ოთარ ჩხეიძეზე იმდროინდელი კრიტიკოსები აღარც კარგს ამბობდნენ და აღარც ცუდს. საერთოდ დადუმდნენ და ნოველა "შავი ჯოხიც" სწორედ მაშინ დაიბეჭდა. რაც შეეხება ნინელი ჭანკვეტაძის მიერ წაკითხულს, უბრალოდ აღფრთოვანებული ვარ ნოველის ბრწყინვალე გადმოცემით. ქალბატონი ნინელი მართლაც არაჩვეულებრივი მსახიობია და ეს დღეს კიდევ ერთხელ დადასტურდა", - განაცხადა როსტომ ჩხეიძემ.

**მედიანიუსი**

## რეპერი ქულიო აეროპორტში დააპატიმრეს

ამერიკელი რეპერი ქულიო (არტის ლეონ ივი), ლოს-ანჟელესის საერთაშორისო აეროპორტში კოკაინით დაიჭირეს. 45 წლის მუსიკოსს ნარკოტიკული საშუალება, ბარგის შემოწმებისას აღმოუჩინეს. ქულიო ნარკოტიკის შენახვასა და მარიხუანის მოსაწევი ხელსაწყოს შექმნაშია ბრალდებული. მას სამწლიანი ციხის პატიმრობა ემუქრება. ამჟამად რეპერი პირობით ვადამდე ადრე არის გათავისუფლებული, ხოლო 3 აპრილს იგი სასამართლოს წინაშე გამოცხადდება.

ქულიოს მსოფლიო პოპულარობა 1994 წელს სიმღერა Gangsta's Paradise-ის გამოსვლის შემდეგ ეწვია, რომელიც კომპოზიტორ სტივ უანდერის 1976 წელს გამოშვებულ კომპოზია Pastime Paradise-ის საფუძველზე შეიქმნა. 2008 წელს, გამომცემლობა Billboard-ის ვერსიით გამოქვეყნებულ "უკანასკნელი 50 წლის დიდებული 100 სიმღერის" სიაში, Gangsta's Paradise-მა 69-ე ადგილი დაიკავა. 2009 წელს მუსიკოსი თავის მერვე სტუდიური ალბომის - From The Bottom 2 The Top-ის გამოშვებას აპირებს.

აღსანიშნავია, რომ ქულიო უახლოეს მომავალში კულინარიული რეცეპტების წიგნის გამოშვებას აპირებს, რომლებსაც იგი თავის YouTube-ის ონ-ლაინ საიტზე მაზადებდა. რამდენად შეუშლის რეპერს ამ იდეის განხორციელებაში ხელს მისი სასამართლო პროცესი, არ არის ცნობილი. ქულიოს თქმით, მას ძალიან უყვარს ტრადიციული იტალიური, აზიური, ინგლისური და შოტლანდიური სამზარეულო, თუმცა, როგორც გურმანი, კლასიკურ რეცეპტებში ყოველთვის ღარაც თავისას ურევს. მისივე თქმით, წიგნში გამოქვეყნებული იქნება ასევე იმ ადამიანებისთვის განკუთვნილი რეცეპტები, ვინც ჯანმრთელობის შესანარჩუნებელი დიეტების მიმდევარია.

## განცხადება

### აუქციონის ჩატარების შესახებ

გორის საგადასახადო ინსპექცია 2009 წლის 10 აპრილს, 14 საათზე, ქ. გორში, სამეფოს ქ. №50-ში, ს/ს ასკოლი -ს (ს/ნ 217892234) ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის მიზნით ატარებს განმეორებით ღია აუქციონს.

**სარეალიზაციოდ გამოტანილი იქნება შემდეგი ქონება:**

1. საბავშვო ბაღის შენობა 544.5 კვ.მ - 43560 (ორმოცდასამი ათას ხუთას სამოცი) ლარი;
2. მეტალის ავზი 25 ტ. ორი ცალი - 2800 (ორი ათას რვაასი) ლარი;
3. მეტალის ცისტერნა 20 ტ. ერთი ცალი - 1100 (ათას ასი) ლარი;
4. პკჟ 6X1.5 ოცდაექვსი ცალი - 520 (ხუთას ოცი) ლარი;
5. რკინის კარები 3X2 ორი ცალი - 300 (სამასი) ლარი;
6. თეთრი აგური ორი ათასი ცალი - 200 (ორასი) ლარი;
7. პკჟ 5X4 ოთხი ცალი - 180 (ას ოთხმოცი) ლარი;
8. ტრანსფორმატორი ერთი ცალი - 7500 (შვიდი ათას ხუთასი) ლარი;
9. საყარაულო ჯიხური 12 კვ.მ - 300 (სამასი) ლარი);
10. შემოღობვის ჩარჩოები 2.5X1.5 ორმოცდახუთი ცალი - 900 (ცხრაასი) ლარი;
11. რკინაბეტონის კოლონები 6 მეტრიანი ოცი ცალი - 1600 (ათას ექვსასი) ლარი;
12. საკედელე პანელი 6X1.2 თერთმეტი ცალი - 605 (ექვსას ხუთი) ლარი;
13. პკჟ 6X2.5 ხუთი ცალი - 125 (ას ოცდახუთი) ლარი;
14. პკჟ 4X1.3 რვა ცალი - 96 (ოთხმოცდათექვსმეტი) ლარი;
15. სინკარი 4X1.5 ოთხი ცალი - 240 (ორას ორმოცი) ლარი;
16. შენობა 24.5 კვ.მ - 735 (შვიდას ოცდათხუთმეტი) ლარი;
17. საქსოვი ფაბრიკის შენობა 4453 კვ.მ - 311710 (სამას თერთმეტი ათას შვიდას ათი) ლარი;
18. საქსოვი ფაბრიკის შენობის ნაწილი 946 კვ.მ - 28380 (ოცდარვა ათას სამას ოთხმოცი) ლარი;
19. ტრანსფორმატორი 1000 კვტ. ერთი ცალი - 9000 (ცხრა ათასი) ლარი;
20. სახარატო ჩარხი ერთი ცალი - 1800 (ათას რვაასი) ლარი;
21. საბურღი დაზგა ერთი ცალი - 900 (ცხრაასი) ლარი;
22. საქვაბის შენობაზე რკინა-ბეტონის კოჭი სამი ცალი - 180 (ას ოთხმოცი) ლარი.

**სულ სარეალიზაციოდ გამოტანილი ქონების საწყისი ფასი შეადგენს 412731 (ოთხას თორმეტი ათას შვიდას ოცდათერთმეტი) ლარს.**

**ქონება მდებარეობს მისამართზე - ხარაგაულის რ-ნი, სოფ. ბორითი და ქ. ახალციხე, გ. ხანძთელის 36.**

მესამე პირები, რომელთაც გააჩნიათ უფლებები ამ ქონებაზე, ვალდებულნი არიან ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებანი აუქციონის დაწყებამდე წარუდგინონ გორის საგადასახადო ინსპექციას.

აუქციონზე მონაწილეობის მსურველი პირი ვალდებულია აუქციონის დაწყებამდე ხაზინის სადეპოზიტო ქვეანგარიშზე **(302006000)** წინასწარ შეიტანოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იმ ნივთის საწყისი ღირებულების **2%**, რომლის შეძენასაც აპირებს, რაც გამარჯვების შემთხვევაში ჩაითვლება გადახდილი თანხის ანგარიშში.

პირი, რომლის შემოთავაზებული ფასი მიღებული იქნება აუქციონზე და რომელიც შეისყიდის ჩამორთმეულ ქონებას, ვალდებულია დაუყოვნებლივ გადაიხადოს თავის მიერ შემოთავაზებული ფასის არანაკლებ ნახევარი ან 5000 ლარი, უმცირესი თანხის მიხედვით, ხოლო თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა დაიფაროს რეალიზაციიდან **14** კალენდარული დღის განმავლობაში. თანხის მთლიანად დაფარვამდე მყიდველს არ გააჩნია ქონებაზე საკუთრების უფლება.

ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს, გორის საგადასახადო ინსპექციასთან შეთანხმებით წინასწარ გაეცნოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილ ქონებას.

ცნობებისათვის მიმართეთ გორის საგადასახადო ინსპექციას.
**მისამართზე: ქ. გორი, სამეფოს ქ. N50.**
**ტელ.: 8-270-73590; 8-270-75817.**

## საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო (მის: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი №84) სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, აცხადებს ტენდერს ნარკოლოგიური ტესტების შესყიდვის თაობაზე 3 ლოტად და იწვევს მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს.

**დაფინანსების წყარო** - სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სახსრები

**შესყიდვის ობიექტი:**

ლოტი № დასახელება განზომილების ერთეული რაოდენობა
1. იმუნოქრომული სტრიპ ტესტები ცალი 18 900
2. მყარ-ფაზური იმუნოქრომული ტესტები (თმის გამოსაკვლევი) ცალი 188 000
3. ჭიქა-ტესტი 5-თ არხიანი (მორფინი, ტეტრაჰიდროკანაბინოლი, მეტადონი, ბუპრენორფინი, ამფეტამინი ცალი 1500

2. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის გაცემა ტენდერში მონაწილეობის მსურველი პრეტენდენტებისთვის იწარმოებს სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემდეგ, მათი მოთხოვნისთანავე, 2009 წლის 3 აპრილის 18.00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი №84, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, მე-4 სართული, სატენდერო კომისიის აპარატი.

3. სატენდერო მოსაკრებლის გადახდა 200 (ორასი) ლარის ოდენობით შესაძლებელია შემდეგ ანგარიშზე: ხაზინის ერთიანი ანგარიში, ანგ.№200122900, კოდი: 220101222, სახაზინო კოდი: 302008500. გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, ნარკოლოგიური ტესტები, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო.

4. პრეტენდენტებმა ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინონ ერთ დახურულ კონვერტში 2009 წლის 4 აპრილის 10.00 საათიდან 15.00 საათამდე, მე-2 პუნქტში მითითებულ მისამართზე.

5. სატენდერო წინადადების გახსნა მოხდება 2009 წლის 4 აპრილს, 15.00 საათზე.

6. ტენდერის შედეგად გამოვლინდება ერთი ან მეტი გამარჯვებული, რომელმაც ხელშეკრულების გაფორმების დროს უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია ხელშეკრულების ღირებულების 2%-ის ოდენობით.

7. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას.

**7.1 იურიდიული პირებისათვის:**

ა) ცნობა საგადასახადო ორგანოდან, რომ მის მიმართ არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
ბ) ცნობა საქალაქო სასამართლოდან, გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ;
გ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.

**7.2 ფიზიკური პირებისათვის:**

ა) ცნობა სასამართლოდან პირის ქმედუნარიანობის შესახებ;
ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

**7.3 როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისათვის:**

ა) პრეტენდენტის დასახელება, იურიდიული და ფაქტიური მისამართი, ტელეფონი/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები, ხელმძღვანელი სახელი და გვარი;
ბ) ცნობა საგადასახადო ორგანოდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარასებობის შესახებ;
გ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, საჯარო სამართლებრივი შეზღუდვის არარსებობის შესახებ;
დ) სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წერილი, რომ პრეტენდენტი არ არის რეგისტრირებული შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრში;
ე) ინფორმაცია გამოცდილების შესახებ.

8. შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება მე-7 პუნქტში აღნიშნული დოკუმენტები და ინფორმაცია.

9. სატენდერო წინადადება არ ჩაითვლება მისაღებად და არ დაიშვება შეფასებაზე, თუ პრეტენდენტი მე-4 პუნქტში დადგენილ ვადაში არ წარმოადგენს სატენდერო განცხადების მე-7 პუნქტში მოთხოვნილ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

10. თუ წინამდებარე შესყიდვის ფარგლებში, შესყიდვებში მონაწილეობის მსურველი პირის მიერ გათვალისწინებული იქნება სუბკონტრაქტორების ჩართვა, მაშინ სატენდერო განცხადების მე-7 პუნქტის მოთხოვნები სავალდებულო იქნება ასევე ყველა სუბკონტრაქტორისათვისაც.

11. საქონლის მიწოდება სასურველია განხორციელდეს ეტაპობრივად შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების გაფორმების დღიდან 2009 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, შემსყიდველის მისამართზე.

12. ტენდერში მონაწილეობის მსურველ ყველა ფიზიკურ და იურიდიულ პირს შეუძლია სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე შემსყიდველ ორგანიზაციაში გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას.

13. ალტერნატიული სატენდერო წინადადებები არ განიხილება.

14. შესყიდვებში მონაწილეობის მსურველ პირებს დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სატენდერო კომისიის აპარატში: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი №84, მე-4 სართული.

საკონტაქტო პირი: ზვიად გაბისონია. მობ: 899 67 87 79

## საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს განცხადება

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ საავტომობილო საწვავის შეძენის მიზნით გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდა სს ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია და 4 მარტს გაფორმდა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ თანხაზე - 104 400 (ასოთხი ათას ოთხასი) ლარი.

**სატენდერო კომისია**

**ჩვენი საქმიანობის პრიორიტეტი ქალის ჯანმრთელობაა !**
**თავი დაიცავით სარძევე ჯირკვლის და საშვილოსნოს ავთვისებიანი სიმსივნეებისგან ! ! !**

დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრში და მობილურ სკრინინგ-ცენტრში სარძევე ჯირკვლის და საშვილოსნოს ყელის კიბოს პრევენციის პროგრამით ყოველდღიურად წარმოებს პაციენტთა მიღება.

სარძევე ჯირკვლის მამოგრაფიული კვლევა ჩაუტარდებათ 40-დან 70 წლამდე ასაკის ქალბატონებს. გინეკოლოგიური გასინჯვა და პაპ-ტესტი ჩაუტარდებათ 25-დან 60 წლამდე ასაკის ქალბატონებს.

პროგრამა დაფინანსებულია თბილისის მერიის, „გაეროს“ მოსახლეობის ფონდის მიერ და გათვალისწინებულია დედაქალაქის ქალთა მოსახლეობაზე.

პროგრამა მიმდინარეობს პირველი ლედის მხარდაჭერით.

გამოკვლევები ტარდება წინასწარი ჩაწერით. აუცილებელია მოქალაქემ თან იქონიოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა.

პაციენტების მიღების საათებია: ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით - 9 სთ-დან 18 სთ-მდე, შაბათს - 9 სთ-დან 15 სთ-მდე.

მის.: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი თბილისი, თ. აბულაძის 20
(ვაკე, „სამების“ ეკლესიის უკან)
**ტელ.: 91 31 19; 91 32 42; ტელ./ფაქსი 25 39 38;**

# სპორტი

## შეყილაძის გუნდმა ლუქსემბურგში გაიმარჯვა

მარტის მიწურულს საქართველოს 17 წლამდელთა ნაკრები ევროპის 2009 წლის ჩემპიონატის ელიტ-რაუნდში იასპარეზებს. გელა შეყილაძის გუნდი ამ ტურნირისთვის მზადებას განაგრძობს და 11 მარტს ლუქსემბურგში ამ ქვეყნის 17 წლამდელთა ნაკრებს შეხვდა.

ჩვენმა ბიჭებმა დაამარცხეს მეტოქე - 2:0. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვებგვერდის ინფორმაციით, შეყილაძის გუნდმა ორივე გოლი მეორე ნახევარში გაიტანა: 47-ე წუთზე გიორგი ჭანტურიამ გიორგი ჩელებაძის პასით გახსნა ანგარიში, 78-ე წუთზე კი ირაკლი შეყილაძემ, გიორგი კუხიანიძის ზუსტი გადაცემის შემდეგ, საბოლოო ანგარიში დააფიქსირა - 0:2. თამაშის დასაწყისში, მე-3 წუთზე, შეყილაძემ პირველი გოლი გაიტანა, მაგრამ მსაჯმა თამაშგარე მდგომარეობა დააფიქსირა.

საქართველოს ნაკრებისთვის ლუქსემბურგში მოგებული მატჩი წლეულს რიგით მე-7 საერთაშორისო ამხანაგური მატჩია: იანვარ-თებერვალში ჩვენმა გუნდმა ორ-ორჯერ ითამაშა სლოვენიის, ხორვატიისა და აზერბაიჯანის თანატოლთა ნაკრებებთან.

გუშინ ჩვენი ნაკრები ავსტრიაში გაემგზავრა და ელიტ-რაუნდის დაწყებამდე იქ მოემზადება. 20 მარტს ქართველი ჭაბუკები შოტლანდიას გაეჯიბრებიან, 22 მარტს - ავსტრიის ნაკრებს, 25 მარტს კი - იტალიელებს.

11 მარტი, 2009. ამხანაგური მატჩი. ლუქსემბურგი, მონტერ ქეიჯი . 100

**ლუქსემბურგი 0:2 საქართველო**

**გოლები:** 0:1 გ.ჭანტურია (47), 0:2 ი.შეყილაძე (78)

საქართველო: კ.მეშველიანი (გ.აზნიაშვილი 75), ც.ხარაბაძე, ბ.მირცხულავა (ნ.აფაქიძე 69), ა.ბრაჭული, ნ.კვეკვესკირი, ლ.ელიზბარაშვილი, გ.კუხიანიძე, გ.ჩელებაძე (მ.კობახიძე 55), ლ.საბაძე, ბ.დეკანოიძე (გ.ჭანტურია 41), ი.შეყილაძე

**მწვრთნელი:** გელა შეყილაძე

## საქართველო 111-ე ადგილზე ჩამოქვეითდა

ფიფას მიერ გამოქვეყნებულ ახალ რეიტინგში საქართველოს საფეხბურთო ნაკრებმა კიდევ სამი პოზიცია დაკარგა და 111-ე ადგილამდე დაქვეითდა.

ამაში გასაკვირი არაფერია - კუპერის შეგირდები თებერვალში ირლანდიაში დამარცხდნენ და, ცხადია, სარეიტინგო ქულები დაკარგეს. 27 მარტს საქართველოს ეროვნული ნაკრები 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მორიგ შესარჩევ მატჩს გამართავს კვიპროსის ნაკრებთან და, წარმატებული თამაშის შემთხვევაში, მომავალი თვის რეიტინგში (რომელიც 8 აპრილს გამოქვეყნდება) საგრძნობი წინსვლის შანსი არსებობს. ახლა კვიპროსელები რეიტინგში 84-ე ადგილზე არიან.

ჩერნოგორიის ნაკრები, რომელთანაც ჩვენს გუნდს ორი მატჩი აქვს გასამართი, რეიტინგში 112-ე ადგილზეა. თუ ჩვენი გუნდი კვიპროსში დამარცხდა, დიდი ალბათობაა იმისა, რომ რეიტინგში ჩერნოგორიამაც გაგვისწროს და ჩვენი ჯგუფის მეტოქეებიდან რეიტინგში ბოლო ადგილზე აღმოვჩნდეთ.

რეიტინგის სათავეში ევროპულ ნაკრებთა ჰეგემონია იგრძნობა. პირველ ადგილზეა კონტინენტის ჩემპიონი - ესპანეთი, რომელსაც კვალში უდგანან გერმანია და ჰოლანდია.

ქვემოთ გაგაცნობთ მოწინავე ოცეულს და იმ ნაკრებთა მდგომარეობას, რომლებიც 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ციკლში საქართველოსთან ერთად თამაშობენ.

**ფიფას მარტის რეიტინგი**

| | |
|---|---|
| 1.ესპანეთი | 1666 |
| 2.გერმანია | 1366 |
| 3.ჰოლანდია | 1317 |
| 4.იტალია | 1284 |
| 5.ბრაზილია | 1260 |
| 6.არგენტინა | 1210 |
| 7.ხორვატია | 1169 |
| 8.რუსეთი | 1128 |
| 9.ინგლისი | 1083 |
| 10.პორტუგალია | 1025 |
| 11.თურქეთი | 1005 |
| 12.საფრანგეთი | 1004 |
| 13.ჩეხეთი | 998 |
| 14.უკრაინა | 927 |
| 15.პარაგვაი | 908 |
| 16.კამერუნი | 900 |
| 17.აშშ | 896 |
| 18.ისრაელი | 888 |
| 19.საბერძნეთი | 863 |
| 20.რუმინეთი | 849 |
| 26.ირლანდია | 773 |
| 27.ბულგარეთი | 756 |
| 84.კვიპროსი | 407 |
| 111.საქართველო | 314 |
| 112.ჩერნოგორია | 310 |

## ქორებმა ჯაზმენები თავიანთ დაკრულზე აცეკვეს

NBA-ს რეგულარული სეზონის მორიგ მატჩში ატლანტა ჰოუქსი საკუთარ ფილიპს არენაზე დასავლეთ კონფერენციის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდს იუტა ჯაზს მასპინძლობდა და ანგარიშით 100:93 დაამარცხა.

პირველი ორი მეოთხედი მასპინძელთა უპირატესობით მიმდინარეობდა და გუნდები შესვენებაზე ისე გავიდნენ, რომ ატლანტა მატჩს 13 ქულით იგებდა. როგორც ჩანს, ჯორჯიელებმა დროზე ადრე ირწმუნეს გამარჯვება და მეორე ტაიმში მოეშვნენ. მესამე მეოთხედი მაიკ ვუდსონის გუნდმა პირწმინდად ჩააგდო. გადამწყვეტი, მეოთხე მეოთხედის წინ ორქულიან უპირატესობას ჯაზმენები ფლობდნენ, თუმცა ფაჩულია და მისი თანაგუნდელები დროზე მოეგნენ გონს და მეოთხე მეოთხედში ყველაფერი თავის ადგილას დადგა. ქორებმა ადვილად აღმოფხვრეს ორქულიანი ჰანდიკაპი და მატჩი შვიდი ქულით მოიგეს.



*ფაჩულიამ "ჯაზმენებს" ბურთი გადააკეტინა*

ფაჩულიამ ეს შეხვედრაც სათადარიგოთა სკამზე დაიწყო. მწვრთნელმა ქართველ ცენტრს 15 წუთი მისცა სათამაშოდ. დროის ამ მონაკვეთში ფაჩულიამ 6 ქულა დააგროვა და ოთხჯერ მოხსნა ფარიდან ბურთი. თამაშიდან სამიდან ორი ტყორცნა ზუსტად შეასრულა, საჯარიმოს ხაზიდან კი ორივე ცდა ზუსტი იყო.

ატლანტელთა ძირითადმა ცენტრმა ალ ჰარფორდმა მატჩი მაღალ დონეზე ჩაატარა, ორმაგი დუბლი შეასრულა (13 ქულა და 12 მოხსნა), თუმცა ჯორჯიელთა წარმატების მთავარი მიზეზი მაინც ამ გუნდის უკანახაზელები იყვნენ. ჯო ჯონსონმა 31 ქულით, 3 მოხსნით და 9 შედეგიანი გადაცემით დაასრულა მატჩი, ჯოშ სმითმა კი 22 ქულა და 12 მოხსნა მიითვალა.

იუტელთა შორის საუკეთესო იყო დერონ უილიამსი, რომლის ანგარიშზეა 20 ქულა, 4 მოხსნა და 9 შედეგიანი გადაცემა. რუსმა ანდრეი კირილენკომ მატჩი 4 ქულითა და 3 მოხსნით დაასრულა.

### რუსები შერკინებას აძლიერებენ

22 მარტს უკრაინის ქალაქ მარიუპოლში, საქართველოს ნაკრებთან გასამართი მატჩისთვის, რუსი დათვების მთავარი მწვრთნელი ნიკოლაი ნერუში რამდენიმე ცვლილების განხორციელებას გეგმავს.

რუსული მედიის ინფორმაციით, ტრავმირებული მესამეხაზელის ალექსეი პანასენკოს ( ვვა-პოდმოსკოვიე ) ნაცვლად, ნაკრებში კრასნი იარის წარმომადგენელი ანდრეი გარბუზოვია გამოძახებული.

გარბუზოვის გარდა, ნაკრებში დაბრუნებას უპირებენ კრასნი იარის კიდევ ერთ წარმომადგენელს ოლეგ შუკაილოვს.

გარბუზოვიც და შუკაილოვიც გამოცდილი მოთამაშეები არიან.

1974 წელს დაბადებული შუკაილოვი პირველი ხაზის ფორვარდია (მარცხენა ბურჯი). რუმინეთთან მატჩში რუსეთის შერკინების არადამაჯერებელი თამაშის ფონზე კი მისი დაბრუნება დროული უნდა იყოს.

თუმცა, აქ ერთი პრობლემაცაა. ბოლო პერიოდში შუკაილოვი საკლუბო კარიერაზე აკეთებს აქცენტს და მოისურვებს თუ არა საფრანგეთის დატოვებას, სადაც კრასნი იარი შეკრებას გადის, უცნობია.

### რევიშვილი "რუბინში" რჩება

ახალგაზრდა ქართველი მეკარე ნუკრი რევიშვილი ყაზანის რუბინის რიგებში კიდევ ერთ სეზონს გაატარებს.

რუბინის ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, რევიშვილთან ახალ კონტრაქტს ხელი უკვე მოეწერა.

### კანდელაკისა და შაშიაშვილის "შტურმი" დამარცხდა

ავსტრიის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგ ტურში გიორგი შაშიაშვილისა და ილია კანდელაკის შტურმი ვენის ფრანც-ჰორ-შტადიონზე აუსტრიას ეწვია და 0:2 დამარცხდა. გასულ უქმეებზე ზალცბურგთან მატჩში გრაცელთა ერთადერთი გოლის ავტორმა კანდელაკმა ამჯერადაც შეუცვლელად ითამაშა, შაშიაშვილმა კი 62-ე წუთზე იანცშერს დაუთმო ადგილი. აუსტრია პირველი ტაიმის მიწურულს სუნმა დააწინაურა, 66-ე წუთზე კი შტურმის მცველმა სონლეიტნერმა ავტოგოლი გაიტანა. ქართველთა კლუბს 42 ქულა შერჩა და მე-4 ადგილზე რჩება.

### "ანჟიმ" დანიელებს აჯობა

თურქული შეკრების ბოლო საკონტროლო მატჩში მახაჩკალის ანჟიმ დანიურ ფრემს 3:2 მოუგო.

ომარ თეთრაძის მიერ გაწვრთნილ გუნდში გიორგი ნავალოვსკიმ და გოჩა ხოჯავამ შეუცვლელად ითამაშეს, კახაბერ ალადაშვილმა მე-60 წუთზე დატოვა მინდორი, ოთარ მარცვალაძე 52-ე წუთზე შეცვალეს, ხოლო სანდრო იაშვილი - პირველი ტაიმის შემდეგ.

რაც შეეხება ედიკ საჯაიას, იგი მატჩში 75-ე წუთზე ჩაერთო.

ანჟის რიგებში დუბლი შეასრულა ჟოსანმა, გამარჯვების გოლი კი მაზალოვმა შეაგდო.

მახაჩკალელები 13 მარტს შინ დაბრუნდებიან და სეზონისთვის მზადებას რუსეთში გააგრძელებენ.

### უნგრეთში ქართული დუეტი თასის ნახევარფინალს მიუახლოვდა

უნგრულმა დიორ ეტომ , რომლის ღირსებას ქართველი ფეხბურთელები დავით ოდიკაძე და რატი ალექსიძე იცავენ, ქვეყნის თასის გათამაშების ნახევარფინალისკენ დიდი ნაბიჯი გადადგა.

ქვედალიგელ კეჩკემეტისთან გასვლით მატჩში დიორელებმა 2:1 იმარჯვეს და თუ 17 მარტს განმეორებით მატჩში მოულოდნელი არაფერი მოხდა, ნახევარფინალში ითამაშებენ.

პირველი ტაიმის მიწურულს ანგარიში გახსნეს მასპინძლებმა, 48-ე წუთზე კინკმა ოდიკაძის პასით გაათანაბრა, ხოლო 67-ეზე რატი ალექსიძის ნაცვლად შესულმა ბაიზატმა სტუმრებს გამარჯვება მოუტანა.

ოდიკაძემ შეუცვლელად ითამაშა, ხოლო ალექსიძემ 56-ე წუთზე დატოვა მინდორი.

### ძაგნიძემ ლიდერობა დათმო

ქართველმა მოჭადრაკემ ნანა ძაგნიძემ ევროპის ჩემპიონატზე პირველი ყაიმი ითამაშა და უნგრეთის სახელით მოთამაშე ჰოანგს და პოლონელ სოცკოს დაუთმო ლიდერობა. ძაგნიძემ შავი ფიგურებით რუმინელ კრისტინა-ადელა ფოისორს გაუყო ქულა და 4 ტურის შემდეგ 3.5 ქულით მესამე ადგილზე გადაინაცვლა.

3.5-3.5 ქულა აქვთ და ლიდერთა შორის არიან სალომე მელია, ნინო ხურციძე და სოფო გვეტაძე.

რუსეთის ქალაქ სანკტ-პეტერბურგში მიმდინარე ევროპის 2009 წლის ჩემპიონატზე, საპრიზო ადგილების გარდა, მსოფლიო თასზე გამსვლელი 14 საგზურიც გათამაშდება, რომლისთვისაც 35 ქვეყნის წარმომადგენლები (მათ შორის 64 საერთაშორისო დიდოსტატი) იბრძოლებენ.

ჩემპიონატი 20 მარტამდე გასტანს და შვეიცარიული სისტემით 11 რაუნდად ჩატარდება. დროის კონტროლი ასეთია: საათნახევარი 40 სვლაზე, შემდეგ კი 30 წუთი პარტიის ბოლომდე, ყოველ სვლაზე 30 წამის დამატებით.

## მუტუ ლიგას უმიზნებს

"ფიორენტინას" რუმინელი ლიდერი ადრიან მუტუ დარწმუნებულია, რომ მისი გუნდი კრიზისს დაძლევს და იტალიის სერია A-ს გათამაშებას საუკეთესო ოთხეულში დაასრულებს, რაც მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში ასპარეზობის უფლებას იძლევა.

"შემადგენლობაში უმაღლესი დონის არაერთი ფეხბურთელი გვყავს და ეს იმედიანი განწყობის საფუძველს მაძლევს. ბოლოდროინდელმა წარუმატებლობებმა ბევრი კრიტიკოსი გაგვიჩინა. ბევრს კიდევ არ სჯერა, რომ ჩვენს გუნდს ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვება შეუძლია. ჩვენს რეალურ ძალას სულ მალე ყველას ვაჩვენებთ და სკეპტიკოსებს ღირსეულ პასუხს გავცემთ. ჯერჯერობით "ფიორენტინა" კვლავ ინარჩუნებს ადგილს ოთხეულში და იმედი მაქვს, ამ პოზიციას ბოლომდე კბილებით დაიცავს. "რომა" და "ჯენოა" მზად არიან ჩვენი წაფორხილებით ისარგებლონ და ადგილი გაგვიცვალონ, მაგრამ მეტოქეებს ამ სიამოვნებას ვერ მივანიჭებთ", - განუცხადა მუტუმ Eurosport-ის ჟურნალისტს. იტალიის ჩემპიონატში, 27 ტურის შემდეგ, "ფიორენტინას" აქტივში 46 ქულაა. მართალია, ფლორენციელები მათთვის სასურველ მეოთხე ადგილზე არიან, მაგრამ ბოლო პერიოდში წარუმატებელი თამაშის გამო კონკურენტებს მიახლოების საშუალება მისცეს. რუმინელი ფორვარდის მიერ ნახსენები "რომა" და "ჯენოა" ახლა მხოლოდ თითო ქულით ჩამორჩებიან "იებს".

## ნედვედი გადარჩა

"იუვენტუსის" ჩეხი ნახევარმცველი პაველ ნედვედი სერიოზულ ტრავმას გადაურჩა. სამშაბათს, "ჩელსისთან" ჩემპიონთა ლიგის მატჩის დროს, 36 წლის ფეხბურთელი დაშავდა და უკვე მე-12 წუთზე იძულებული გახდა მოედანი დაეტოვებინა. ოთხშაბათს ტურინის კლინიკაში ნედვედს საფუძვლიანი სამედიცინო შემოწმება ჩაუტარდა. გაირკვა, რომ მას გვერდი უმნიშვნელოდ ჰქონია დაზიანებული. არადა, კლუბის ექიმები ნეკნის მოტეხილობას ვარაუდობდნენ. ამის მიუხედავად, მედიკოსები ჯერჯერობით ვერ აკონკრეტებენ, როდის დაუბრუნდება ვეტერანი ნახევარმცველი "ბებერ სინიორას".

## რიკელმე მარადონაზე განაწყენდა

"ბოკა ხუნიორსის" 30 წლის ლიდერმა ხუან რომან რიკელმემ ინტერვიუში განაცხადა, რომ არგენტინის ნაკრებში თამაშზე უარს ამბობს. მისი სიტყვებით, ამ გადაწყვეტილების მთავარი მიზეზი გახდა ნაკრების თავკაცთან დიეგო მარადონასთან არსებული უთანხმოება.

"მიზეზი ძალიან მარტივია - მარადონასთან მუშაობა არ შემიძლია. ჩვენ ნაკრების მომავალზე და, საერთოდ, ცხოვრებაზე სრულიად განსხვავებული შეხედულებები გვაქვს. სანამ ის ეროვნული გუნდის მთავარი მწვრთნელი იქნება, ნაკრებში ჩემი დაბრუნება გამორიცხულია. მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის ტელევიზორით ყურება ძალიან გამიჭირდება, მაგრამ სხვა გზა უბრალოდ არ დამრჩენია. მარადონას თავკაცობით არავითარი წარმატების იმედი არ უნდა გვქონდეს", - ამბობს რიკელმე.

ფეხბურთელსა და მწვრთნელს შორის კონფლიქტი თებერვალში, საფრანგეთთან ამხანაგური მატჩის წინ დაიწყო, როცა მარადონამ რიკელმე ამ მატჩისთვის ნაკრებში გამოძახებულ მოთამაშეთა სიიდან ამოშალა.

30 წლის შემტევ ნახევარმცველს არგენტინის ეროვნულ გუნდში 54 შეხვედრა აქვს ჩატარებული, რომლებშიც 18 გოლი გაიტანა. რაც შეეხება მარადონას, არგენტინელებმა მისი ხელმძღვანელობით დღემდე გამართული ორივე მატჩი მოიგეს - შოტლანდიასთან 1:0, საფრანგეთთან 2:0.

## რამოსი არ ნანობს

უეფას ჩემპიონთა ლიგის 1/8-ფინალური ეტაპის განმეორებით მატჩში, ლივერპულთან წაგების (0:4) შემდეგ, მადრიდის რეალის მცველმა სერხიო რამოსმა განაცხადა, რომ მისი გუნდის დიდი ანგარიშით მარცხის მიუხედავად, იგი სინანულს არ განიცდის. ასეთი თამაშისთვის მეტოქის წინაშე ქედი უნდა მოიხარო. ჩვენი ყველა მცდელობა, რაიმე შეგვეცვალა, მიუხედავად იმისა, რომ ამისთვის ძალისხმევა არ დაგვიშურებია, კრახით დასრულდა. ქომაგებს ბოდიშს ვუხდი, რომ გამარჯვება ვერ შევძელით, თუმცა, ცხვირი მაინც არ უნდა ჩამოვუშვათ, რადგან თავი არ დაგვიზოგავს. შედეგი არარსებული პენალტით მივიღეთ, რომლითაც კარგად ისარგებლა მოწინააღმდეგემ , - დასძინა რამოსმა. სერხიო რამოსი 2005 წლიდან იცავს მადრიდის რეალის ღირსებას.

## ˝ბექსი˝ ˝მილანს˝ გამოაკლდა

"მილანის" ინგლისელმა ნახევარმცველმა, 33 წლის დევიდ ბექჰემმა ვარჯიშის დროს ტერფის ტრავმა მიიღო. ჯერჯერობით უცნობია, რამდენად სერიოზულია დაზიანება. ექიმთა ვარაუდით, ბრიტანელს აღსადგენად ერთი კვირა დასჭირდება, რაც იმას ნიშნავს, რომ ბექჰემი 15 მარტს "სიენასთან" გასამართ მატჩს დააკლდება.

"მილანს" ინგლისელი ნახევარმცველი "ლოს ანჯელეს გელექსისგან" ჰყავს ნათხოვები. პირვანდელი შეთანხმებით, "ბექსი" ამერიკულ გუნდს 9 მარტს უნდა დაბრუნებოდა, მაგრამ იტალიელებმა სეზონის ბოლომდე ისურვეს მისი დატოვება და, "გელექსის" ხელმძღვანელთა დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, საიჯარო ხელშეკრულების გახანგრძლივებაზე ისინი მაინც დაიყოლიეს.

იტალიაში დარჩენა თავად ფეხბურთელსაც უნდოდა, რადგან ამით ინგლისის ნაკრებში მისი მოხვედრის შანსი ერთიორად იზრდება. სერია A-ს მიმდინარე გათამაშებაში ბექჰემმა ათ მატჩში მიიღო მონაწილეობა, ორი გოლი გაიტანა და ამდენივე შედეგიანი გადაცემა გააკეთა. ინგლისის ეროვნული გუნდის ღირსება კი 108 მატჩში დაიცვა და ამ მაჩვენებლით მხოლოდ პიტერ შილტონს ჩამორჩება. "ბექსის" აქტივში 17 სანაკრებო გოლია. ბექჰემის გარდა, "მილანის" ლაზარეთში კიდევ 8 ფეხბურთელია - ალესანდრო ნესტა, ჯენარო გატუზო, მარკო ბორიელო, კაკა, კახა კალაძე, ჟელკო კალაჩი, რონალდინიო და კლარენს ზეედორფი.

# ლიგა იტალიელთა გარეშე

ოთხშაბათის მატჩების შემდეგ გაირკვა ყველა იმ გუნდის ვინაობა, რომლებიც ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალებში ითამაშებენ. მერვედფინალების მთავარი ინტრიგა იყო ბრიტანულ-იტალიური მატჩი, რომელიც ფეხბურთის სამშობლოს წარმომადგენლებმა პირწმინდად მოიგეს და ჩემპიონთა ლიგა იტალიური გუნდების გარეშე დატოვეს.

საინტერესოა კიდევ ერთი დეტალი: მანჩესტერმა უკვე ჩამოყალიბებული ტრადიცია დაარღვია. კარგა ხანია ჩემპიონთა ლიგის გათამაშების მეოთხედფინალში ვერ ხვდებოდა ტურნირის გამარჯვებული. ინტერის ძლევით მანკუნიანელებმა ეს ტრადიცია დაარღვიეს.

ბარსელონას ბოლოდროინდელი წარუმატებლობა ესპანეთის ჩემპიონატში იმის მიზეზად იქცა, რომ აქა-იქ, საფეხბურთო წრეებში, გვარდიოლას გუნდის კრიზისზეც კი დაეწყოთ საუბარი, თუმცა ოთხშაბათს კამპ ნოუზე გამართულმა მატჩმა დაგვანახა, რომ ბარსას კრიზისზე საუბარი ნადრევია. მესიმ და კომპანიამ ლიონი უშანსოდ დატოვეს. მერვედფინალმა კი ამ სეზონში პირველი დამატებითი დრო და პირველი პენალტების სერია გვაჩუქა. ვენგერის მეთოფეებმა სწორედ პენალტების წყალობთი გამოთიშეს რომა გათამაშებას. არადა, რომაელებს იმედი ჰქონდათ, რომ წლეულს ლიგასაც მოიგებდნენ - ფინალი ხომ სწორედ რომში გაიმართება.



ტიერი ანრი და სამუელ ეტო'ო - სწორება ფინალზე

**სერ ალექს ფერგიუსონი ( მანჩესტერის მთავარი მწვრთნელი):** თამაში კარგად დავიწყეთ და გოლიც მალე გავიტანეთ. პირველი გოლის შემდეგ სწრაფადვე შეგვეძლო მეორის გატანა. თუმცა, ისიც ისიც უნდა ვთქვა, რომ ინტერს მეტი სათამაშო სივრცე მივეცით და ტაიმის მიწურულს აშკარად გაგვიმართლა. მიხარია, რომ გუნდურად ვითამაშეთ და, შეცდომების მიუხედავად, ძალიან ძლიერი გუნდი დავამარცხეთ. მეორე ტაიმში ისევ სწრაფი გოლი გავიტანეთ და თითქმის თამაშის ბედიც გადაწყდა. მართალია, ინტერმა შეგვიტია, მაგრამ ფერდინანდისა და ვიდიჩის დუეტმა დაცვაში ბრწყინვალედ ითამაშა.

**ჟოზე მოურინიო ( ინტერის მთავარი მწვრთნელი):** მანჩესტერი იმსახურებს მეოთხედფინალში თამაშს. ამ გუნდმა კარგად და პრაგმატულად ითამაშა. გაიტანა ორი გოლი და 180 წუთის განმავლობაში საკუთარი კარი მშრალად შეინახა. დღეს ჩვენ ძალიან ძლიერი მეტოქე გვყავდა. ასეთ მატჩებში წარმატებისთვის იღბალიც საჭიროა, თუმცა ფორტუნამ ზურგი გვაქცია. სწრაფი გოლი გავუშვით და როდესაც გოლის გატანის რეალური შანსი მოგვეცა, ბურთი ძელს მოხვდა. ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ გამარჯვებისთვის, მაგრამ მეტოქემ უკეთ ითამაშა. მანჩესტერი ძალიან შეკრული გუნდია. ეს ბიჭები კარგა ხანია ერთად თამაშობენ. ჩვენ დავემშვიდობეთ ჩემპიონთა ლიგას, მაგრამ სკუდეტოს მოგების რეალური შანსი ისევ გვაქვს. ვფიქრობ, სეზონს ერთი ტიტულით მაინც დავამთავრებთ .

**ჟოსუალდო ფერეირა ( პორტოს მთავარი მწვრთნელი):** უდიდეს მადლობას ვუხდი ჩემს ფეხბურთელებს და ჩვენს გულშემატკივარს. ფანებს იმიტომ, რომ მთელი თამაშის განმავლობაში ჩვენს გვერდით იყვნენ, ფეხბურთელებმა კი ყველაფერი გააკეთეს წარმატებისთვის. ევროპის რვა საუკეთესო გუნდში მოვხვდით და ამით ვამაყობ. რაც შეეხება თავად თამაშს, ატლეტიკომ ცოტა გამაკვირვა. მეგონა, უფრო აგრესიულად დაიწყებდნენ, თუმცა შესაძლოა სწორედ ეს იყო მათი ტაქტიკა. ახლა საკუთარი თავის რწმენა შეგვემატა და იმედია მომავალშიც გავაგრძელებთ ფანების გახარებას .

**აბელ რესინო ( ატლეტიკოს მთავარი მწვრთნელი):** ჩვენი მიზანი იყო პირველ ტაიმში გოლი არ გაგვეშვა, მეორეში კი შეგვეტია და მოგვეგო. სამწუხაროდ, გუნდის ფიზიკურმა კონდიციებმა ამ გეგმის განხორციელების საშუალება არ მოგვცა. ფეხბურთში ყოველთვის ვერ აღწევ იმას, რასაც მიზნად დაისახავ. რთული მატჩი იყო. პორტომ საკუთარი თამაში მოგვახვია თავს .

**პეპ გვარდიოლა ( ბარსელონას მთავარი მწვრთნელი):** ჩვენ კარგად ვითამაშეთ, ძალიან კარგად. პირველ ტაიმში ყველაფერს სწორად ვაკეთებდით. დაცვაში ორგანიზებულად ვთამაშობდით და მწვავედ ვუტევდით. მეორე ტაიმში, ცოტა არ იყოს, მოვეშვით და ამან შეცდომები გამოიწვია. ეს იყო კარგი თამაში და მეტი არაფერი. ამ თამაშის მოგების გამო შორს მიმავალი დასკვნების გაკეთება არ შეიძლება. რაც შეეხება მეოთხედფინალს, მნიშვნელობა არა აქვს, ვინ შეგვხვდება. ტურნირის ამ ეტაპზე სუსტი გუნდები არ არსებობს .

**კლოდ პუელი ( ლიონის მთავარი მწვრთნელი):** ბარსელონა ჩვენზე უკეთესი გუნდია და ისღა დამრჩენია, მას ბრწყინვალე თამაში და შემდეგ ეტაპზე გასვლა მივულოცო. ჩვენ აქ მოსაგებად ჩამოვედით, თუმცა მეტოქემ საოცრად სწრაფი და გახსნილი ფეხბურთი შემოგვთავაზა, რისთვისაც მზად არ აღმოვჩნდით. რა თქმა უნდა, მარცხი საწყენია, მაგრამ ცხოვრება არ მთავრდება. ჩვენ საფრანგეთის ჩემპიონატი გვაქვს მოსაგები და ეს წარუმატებლობა უნდა დავივიწყოთ. ჩემპიონთა ლიგაში ბარსელონა მოგების მთავარი ფავორიტია, ტიერი ანრი კი შეუდარებელი ფეხბურთელია .

**ლუჩანო სპალეტი ( რომას მთავარი მწვრთნელი):** საწყენი მარცხია, მაგრამ ჩემს ფეხბურთელებს შეუძლიათ იამაყონ იმით, რაც დღეს გააკეთეს. პენალტები ლატარიაა და ჩვენ ეს მშვენივრად ვიცოდით. ამიტომ არ გვინდოდა საქმე აქამდე მისულიყო. ალბათ პენალტების სერიაში მოგებას ვიმსახურებდით, მაგრამ, დამიჯერეთ, დარწმუნებული ვიყავი, რომ წავაგებდით. თამაშით მეტოქეს ვაჯობეთ, მაგრამ არ გაგვიმართლა. ნებისმიერი მარცხი კარგი გაკვეთილია და ჩვენ საჭირო დასკვნებს გავაკეთებთ.

**არსენ ვენგერი ( არსენალის მთავარი მწვრთნელი):** რომამ გაცილებით უკეთ ითამაშა, ვიდრე პირველ მატჩში. ახლა შემიძლია გითხრათ, რომ ინგლისურ და იტალიურ გუნდებს შორის დიდი განსხვავება ნამდვილად არ არის. მართალია, მეოთხედფინალებში ინგლისური კლუბები ითამაშებენ, მაგრამ სამივე მატჩი თანაბარი იყო. რაც შეეხება ჩვენს თამაშს, ჩვენ მეტი გამოცდილება გვაქვს და პენალტების სერიაზე სხვა განწყობით გავედით. თამაში ძალიან რთული იყო. ჩემმა გუნდმა ყველაფერი გააკეთა გამარჯვებისთვის და მე ვამაყობ ჩემი ფეხბურთელებით. დღეს დავამტკიცეთ, რომ მებრძოლი სული გვაქვს.

# გომესს კლიჩკოზე გამარჯვება და კასტროობა სწყურია

*კრივის მსოფლიო საბჭოს (WBC) საჩემპიონო სარტყელის სავალდებულო პრეტენდენტი კუბელი ხუან კარლოს გომესი, რომელიც 21 მარტს შეეცდება საბჭოს უმთავრესი ქამარი ჩამოართვას ვიტალი კლიჩკოს, აცხადებს, რომ უკრაინელ მძიმეწონოსანთან ორთაბრძოლისთვის მზადებამ კარგად ჩაიარა. ამბობენ, გომესი ახლა კარგ ფორმაშია და საკუთარ შესაძლებლობებს კლიჩკოსთან ჩხუბში წარმოაჩენსო. თავად კი აცხადებს, უკრაინელი წინააღმდეგობას ვერ გამიწევსო.*




გომესი ხმაურობს, ვიტალი სიმშვიდეს ინარჩუნებს

"ჩხუბისთვის ასე არასდროს მოვმზადებულვარ და არც ასეთი მოტივირებული ვყოფილვარ. ვიტალი გაკვირვებას ვერ დაფარავს, როდესაც ჩემს შესაძლებლობებში დარწმუნდება. ფიქრობს, რომ ჩემს დამარცხებას შეძლებს? ვფიქრობ, რომ ყველაფერი პირიქით იქნება. კლიჩკოს (36 გამარჯვება, აქედან 35 ნოკაუტით და 2 წაგება) ლეგენდას დავამსხვრევ. სულით ხორცამდე მებრძოლი ადამიანი ვარ. რვა წლის ასაკიდან რინგზე ვდგავარ. პირველ მძიმე წონაში ოთხი წლის განმავლობაში მსოფლიო ჩემპიონი ვიყავი. ბევრად გამოცდილი, ვიდრე ვიტალი. მასზე ახალგაზრდა და სწრაფიც ვარ, - თავდაჯერებულია გომესი, - ზუსტად ვიცი, რა უნდა გავაკეთო რინგზე. ძალიან სწრაფი ვიქნები, ეს კი ვიტალის ხელ-ფეხს შეუკრავს. რა თქმა უნდა, ვიცი, რომ ძლიერი დარტყმა აქვს, მაგრამ იცოდეს, ამის საშუალება არ მიეცემა. დასარტყმელად თვალსაც ვერ მომკრავს. ხოლო რასაც ვერ ხედავ, იმას ხელს ვერ ახლებ".

გომესისთვის (44 გამარჯვება, აქედან 35 ნოკაუტით და 1 წაგება) WBC ქამრის დაუფლების დამატებითი მოტივია ისიც, რომ შანსი აქვს გახდეს პირველი პროფესიონალი მოკრივე თავისუფლების კუნძულიდან, რომელიც საჩემპიონო ქამარს ყველაზე პრესტიჟულ წონით კატეგორიაში მოიპოვებს.

"ამ შანსს დიდხანს ველოდი. ვერავინ წარმოიდგენდა, თუ მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის ორთაბრძოლის უფლებას მოვიპოვებდი. მე ეს შევძელი და ახლა ასეთ საშუალებას ხელიდან არ გავუშვებ, - აცხადებს გომესი, - ჩემი უმთავრესი ოცნებაა მძიმეწონოსანთა საჩემპიონო ქამარი ჰავანაში ვაჩვენო მამაჩემს. წარმოგიდგენიათ, რა მოხდება კუბაში. მე ვიქნები პირველი მძიმეწონოსანი კუბელი ჩემპიონი. ეროვნულ გმირად შემრაცხავენ. შესაძლოა, როდესაც ფიდელი იმქვეყნად წავა, პრეზიდენტადაც ამირჩიონ".

# განცხადება ტენდერის შესახებ

1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობა (მისამართი: ქ. ზუგდიდი, 2100 რუსთაველის ქ. N90) აცხადებს ღია ტენდერს ***საავტომობილო საწვავის შესყიდვაზე*** და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს.

2. *შესყიდვის ობიექტი:*

*ლოტი N1:*

1) ბენზინი "პრემიუმი" აი-95 - 27100 ლიტრი;
2) ბენზინი "რეგულარი" აი-93 - 80985 ლიტრი;
3) დიზელი ლ-62 - 4500 ლიტრი.

*ლოტი N2:*

1) ბენზინი "პრემიუმი" აი-95 - 14940 ლიტრი *(განკუთვნილია შსს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური სამმართველოსთვის).*

***შენიშვნა:*** *N1 და N2 ლოტში მითითებული შესყიდვის ობიექტის რაოდენობა შეიძლება გაიზარდოს ან შემცირდეს მოთხოვნის შესაბამისად.*

3. საწვავის მიწოდება განხორციელდება ყოველთვიურად, მოთხოვნის შესაბამისად 2009 წლის 31 დეკემბრამდე, მიწოდებული საქონელი უნდა იყოს მაღალი ხარისხის (ტენდერში გამარჯვებულმა პირმა საწვავის მიწოდება უნდა უზრუნველყოს ტალონური სისტემით, საკუთარი ავტოგასამართი სადგურების ქსელის მეშვეობით).

4. დაინტერესებულმა პირებმა განაცხადი, საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ დახურული კონვერტით ***2009 წლის 1 აპრილს 10 სთ-დან 15 სთ-მდე, შემდეგ მისამართზე: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. N90, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობა, მე-4 სართული, ოთახი N3.*** სატენდერო წინადადება ხელმოწერილი უნდა იქნეს პრეტენდენტი იურიდიული და ფიზიკური პირის ხელმძღვანელის მიერ და დამოწმებული ორგანიზაციის ბეჭდით.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

*5.1 იურიდიული პირისათვის:*

ა) ცნობას, რომ არ ხორციელდება მისი რეოგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საგადასახადო ინსპექციიდან, მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

ბ) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან, მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

გ) ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდეგნილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოდან);

*5.2 ფიზიკური პირისათვის:*

ა) ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;

ბ) ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

*5.3 როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:*

ა) ცნობას, შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირი ან ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

ბ) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

გ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტერიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;

დ) ცნობა მასზედ, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან);

ე) ინფორმაცია ანალოგიური მიწოდების შესახებ.

6. სუბ-კონტრაქტორების არსებობის შემთხვევაში მათი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს მე-5 მუხლში მითითებულ ცნობებსა და ინფორმაციას.

7. დაგვიანებით შემოსული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებს, სატენდერო წინადადებას და სხვა დოკუმენტაციას სატენდერო კომისია არ განიხილავს და უბრუნებს წარმომდგენ პირებს.

8. სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება ***2009 წლის 1 აპრილს 15 სთ-ზე,*** სატენდერო წინადადებების მიღების ვადის დასრულებისთანავე, პრეტენდენტების თანდასწრებით, ზემოთ აღნიშნულ მისამართზე.

9. იურიდული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-5 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

10. ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს უფლება აქვთ წარმოადგინონ ერთი სატენდერო წინადადება.

11. ტენდერში გამარჯვებული გამოვლინდება ლოტების მიხედვით.

12. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდისა და შესაბამისი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ შეეძლებათ განცხადების გამოქვეყნებიდან საკვალიფიკაციო მონაცემებისა და სატენდერო წინადადებების მიღების დასრულებამდე, ***შემდეგ მისამართზე ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. N90, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობა, მე-4 სართული, ოთახი N3.*** სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე.

13. სატენდერო მოსაკრებელი გადახდილი უნდა იქნას შემდეგ ანგარიშზე: ***ხაზინის ერთიანი ანგარიში, ანგარიშის N200122900, მიმღები ბანკი - სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220101222, სახაზინო კოდი 300343174, გადახდის დანიშნულება - ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი.***

14. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ბესიკ ქარდავა - სატენდერო კომისიის აპარატის წევრი, მისამართზე: ***ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. N90, მე-4 სართული, მე-3 ოთახი, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობა, საკონტაქტო ტელეფონი: 8(215) 5-19-39.***

*სატენდერო კომისია*

# განცხადება
# ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს ტენდერს წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**ლოტი 1.**
ვახნის სასმელი წყლის ქსელის რეაბილიტაცია
სამუშაოს დამთავრების ბოლო ვადაა 2009 წლის 1 აგვისტო.

**ლოტი 2.**
უდის სასმელი წყლის ქსელის რეაბილიტაცია
სამუშაოს დამთავრების ბოლო ვადაა 2009 წლის 1 აგვისტო.

2. დაფინანსების წყაროს წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტი.

3. დაინტერესებულ პირებს სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შეუძლიათ სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ 2009 წლის 13 მარტიდან 2 აპრილის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: დაბა ადიგენი, თამარ მეფის ქ. №5, ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგეობა, ოთახი 317.

4. სატენდერო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენ 200 ლარს, რომელიც უნდა ჩაირიცხოს შემდეგ რეკვიზიტებზე: ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგეობა, საიდენტიფიკაციო კოდი: 222729162, სახალხო ბანკის ახალციხის ფილიალის ადიგენის სერვისცენტრი, ბანკის კოდი: 220101466, ანგარიშსწორების ანგარიში №330305538.

5. პრეტენდენტმა ქართულ ენაზე შედგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება 2 ეგზემპლარად, ერთი დედანი და ერთი ასლი (დალუქულ კონვერტში ერთად) უნდა წარმოადგინოს 2009 წლის 3 აპრილს, დილის 10 საათიდან 15 საათამდე ზემოთ აღნიშნულ მისამართზე. წარმოდგენილი პაკეტების გახსნა მოხდება 2009 წლის 3 აპრილს სატენდერო დოკუმენტაციის მიღების დასრულებისთანავე - 15 საათზე, ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში. დაგვიანებით შემოსულ საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ დოკუმენტებს და სატენდერო წინადადებას კომისია არ განიხილავს.

6. პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**6.1. იურიდიული პირისათვის:**

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები;

ბ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

გ) ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;

დ) ცნობა საგადასახადო სამსახურიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

ე) ცნობა საჯარო რეესტრის სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

ვ) ცნობა მომსახურე ბანკიდან, რომ მის ანგარიშზე არ არის დადებული ყადაღა;

ზ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ იურიდიულ პირს ბიუჯეტის წინაშე დავალიანება არ აქვს;

თ) ცნობა, რომ მისი ხელმძღვნელი უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

**6.2. ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობა უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

გ) ცნობა, რომ იგი ბოლო 5 წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს რაიმე სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

**7. როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირებისათვის:**

პრეტენდენტს უნდა ჰქონდეს მატერიალურ-ტექნიკური შესაძლებლობები, პერსონალის კვალიფიკაცია და გამოცდილება, რომლებიც უზრუნველყოფენ სამუშაოების დროულად და ხარისხიანად შესრულებას, რაზედაც უნდა იყოს წარმოდგენილი:

ა) ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ;

ბ) ინფორმაცია პერსონალის კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;

გ) ინფორმაცია საფინანსო რესურსების შესახებ (მომსახურე ბანკიდან);

დ) ინფორმაცია ანალოგიური სამუშაოს ჩატარების გამოცდილების შესახებ;

ე) ცნობა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან, რომ იგი არ არის შესული შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერი პირების, პრეტენდენტებისა და მომწოდებლების რეესტრში.

8. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის მიზნით გამოიყენება გარანტიების მექანიზმი სატენდერო წინადადების 1% ოდენობით.

9. პრეტენდენტმა თითოეულ ლოტზე უნდა წარმოადგინოს ერთი სატენდერო წინადადება, ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება.

ტენდერის შედეგად გამოვლინდება ერთი ან ორი გამარჯვებული ლოტების მიხედვით, რომელთანაც ხელშეკრულების გაფორმებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია ხელშეკრულების ღირებულების 3% ოდენობით.

10. დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ სატენდერო კომისიას ზემოთ აღნიშნულ მისამართზე ან დარეკეთ: ტელ. 899-95-21-10.

ადიგენის მუნიციპალიტეტის სატენდერო კომისია

# The New York Times offers a “window" to the world




- Every Tuesday, from 20th of January, the leader of the world press The New York Times with 24 Saati.

- The New York Times selects the articles each week specially for Georgian Reader.

- The best from The New York Times.

ნიუ-იორკ თაიმსის საერთაშორისო ყოველკვირეული გამოცემა - International Weekly, წარმოადგენს ნიუ-იორკ თაიმსის საინფორმაციო სამსახურის მიერ კვირის განმავლობაში გამოქვეყნებული მასალებიდან შერჩეული საუკეთესო სტატიების, ფოტების, გრაფიკის ნაკრებს; იგი მზადდება ნიუ-იორკ თაიმსის რედაქტორებისა და დიზაინერების მიერ, კაბადონდება ნიუ-იორკში და იგზავნება დასაბეჭდად საქართველოში. ყოველკვირეული ჩანართი სპეციალურად მზადდება 24 საათისთვის , ისევე, როგორც ფრანგული ლე მონდისთვის , ესპანური ელ პაისისთვის , გერმანული ზიუდ დოიჩე ცაიტუნგისთვის , ბრიტანული ობსერვერისთვის და ა.შ.

24 საათი 2009 წლის იანვრიდან არის ნიუ-იორკ თაიმსის კორპორატიული პარტნიორი და უფლება აქვს გამოიყენოს ნიუ-იორკ თაიმსის საინფორმაციო, ფოტო და გრაფიკული ბაზა.

A weekly international edition of "The New York Times" - "International Weekly" is a collection of the best articles, photos and graphics selected by "The New York Times" information service out of all materials published during the whole week. It is prepeared by "The New York Times" editors and designers, imposed in New York City and sent to Georgia for printing. A weekly insert is specially prepeared for "24 Saati" newspaper as well as for French "Le Monde", Spanish "El Pais", German "Sueddeutsche Zeitung", British "Observer", etc.

From January 2009, "24 Saati" newspaper is a corporate partner of "The New York Times" and enjoys the right to use information, photo and graphic base of "The New York Times".



*საფრანგეთის ალპებში უბედურება დატრიალდა. უცაბედად მოწყვეტილმა ზვავმა ოთხი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. ჟანდარმერთა თქმით, დაღუპულები ერთ-ერთი უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები და მათი თანმხლები გიდი ყოფილა.*
*უბედურების ადგილზე მაშველებმა შვეულმფრენი აფრინეს. მოგვიანებით იმავე შვეულმფრენით ცხედრები ვალმეინერის პროზექტურაში გადაუსვენებიათ.*




## ცვლილება ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებაში

თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მერიის (მის. 4600, ქ. ქუთაისი, რუსთაველის გამზ. N3) მიერ 2009 წლის 6 მარტს გაზეთ "24 საათში" (N49) - ქალაქ ქუთაისში არსებული მწვანე საფარის მოვლა პატრონობის მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოქვეყნებულ სატენდერო განცხადებაში შეტანილი იქნას ცვლილება და განცხადების პირველი პუნქტის ლოტი I. პირველი ზონა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ლოტი I. Pპირველი ზონა: ქალაქში ბაღების, სკვერების, მოვლა პატრონობა და ექსპლოატაცია. სეზონური ყვავილების დარგვა.

**სატენდერო კომისია**

## ცვლილება ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებაში

თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მერიის (მის. 4600, ქ. ქუთაისი, რუსთაველის გამზ. N3) მიერ 2009 წლის 6 მარტს გაზეთ "24 საათში" (N49)-ქ. ქუთაისის ტერიტორიაზე შუქნიშნების ექსპლოატაციისა და მაგისტრალების მონიშვნითი სამუშაოების შესყიდვის მიზნით გამოქვეყნებულ სატენდერო განცხადებაში შეტანილი იქნას ცვლილება და ამოღებული იქნას პირველი პუნქტის ლოტი II.

**სატენდერო კომისია**

## ცვლილება განცხადებაში ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა მთავარი სამმართველოს მიერ გამოცხადებულ ტენდერში (**სხვადასხვა დასახელების სავალე საქონელზე**) შესყიდვაზე 2009 წლის 28 თებერვლის გაზეთ „24 საათში" შეტანილ იქნას ცვლილება:

კერძოდ:

1. **შესყიდვის ობიექტს დაემატოს.**

| ლოტი | საქონლის დასახელება | განზომილება | რაოდენობა | მიწოდების ადგილი | მიწოდების ვადა |
|---|---|---|---|---|---|
| 8 | შეშა (წიფელა) | მკვრივი კუბ/მ | 20 | კახეთი | ხელშეკრულების გაფორმებიდან 2009 წლის 10 აგვისტოდან 10 ოქტომბრის ჩათვლით. |
| 9 | შეშა (წიფელა) | მკვრივი კუბ/მ | 20 | ქ. ახალქალაქი | |
| 10 | შეშა (წიფელა) | მკვრივი კუბ/მ | 500 | ქ. ზუგდიდი | |
| 11 | შეშა (წიფელა) | მკვრივი კუბ/მ | 200 | ქ. თბილისი | |
| 12 | შეშა (წიფელა) | მკვრივი კუბ/მ | 10 | მცხეთა-მთიანეთი (ზაქესის დასახლება) | |
| 13 | შეშა (წიფელა) | მკვრივი კუბ/მ | 750 | ქ. გორი | |
| 14 | შეშა (წიფელა) | მკვრივი კუბ/მ. | 15 | ქ. წალკა | |

2. გამოიყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის 1%-იანი და ხელშეკრულების უზრუნველყოფის 3%-იანი საგარანტიო მექანიზმი.

**სატენდერო კომისია**

## შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ბიზნესის მართვის ბიურო"

### განცხადება

რეორგანიზაციის შესახებ

2008 წლის 22 ნოემბრის პარტნიორთა კრებაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება შპს „ბიზნესის მათვის ბიუროს" რეორგანიზაციის შესახებ.

„მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-14 პუნქტის შესაბამისად ყველა კრედიტორს ვთხოვთ ოფიციალურად წერილობით წარმოადგინოს ორგანიზაციის მიმართ საკუთარი მოთხოვნები შემდეგ მისამართზე: თბილისი 0103, ვიქტორ ჯორბენაძის ქუჩა N19.

**შპს „ბიზნესის მართვის ბიუროს"**
**პარტნიორები**

## სსიპ - ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფონდი (რუსთაველის ფონდი) აცხადებს ქართველოლოგიის საზაფხულო სკოლის კონკურსს

რუსთაველის ფონდი აცხადებს **ქართველოლოგიის საზაფხულო სკოლის** კონკურსს, რომლის მიზანია საერთაშორისო საზაფხულო სკოლების ორგანიზება, არსებულ საზაფხულო სკოლათა ფუნქციონირების ხელშეწყობა, ქართული კულტურისა და მეცნიერების საერთაშორისო ასპარეზზე გატანა, ქართველოლოგიის სხვადასხვა დარგით დაინტერესებულ უცხოელ სტუდენტთა და მეცნიერთა მოზიდვა.

**საგრანტო კონკურსში მონაწილეობა შეუძლია:**

ა) საქართველოში რეგისტრირებულ საჯარო სამართლისა და კერძო სამართლის არასამეწარმეო იურიდიულ პირს;

ბ) ფიზიკურ პირს - საქართველოს მოქალაქეს (მაგისტრი, დოქტორანტი, დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე ან მათთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირი, აკადემიური და სამეცნიერო თანამდებობის მქონე პირი).

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კონკურსანტმა უნდა გაიაროს ელექტრონული რეგისტრაცია რუსთაველის ფონდის ვებგვერდზე, მისამართზე:

www.rustaveli.org.ge.

აქვე იხილავთ ელექტრონული რეგისტრაციის ინსტრუქციას და დეტალურ ინფორმაციას კონკურსის პრობებისა და საჭირო დოკუმენტების შესახებ.

საბუთების მიღების ბოლო ვადაა 2009 წლის 21 აპრილი.
კონკურსის შედეგები გამოცხადდება 2009 წლის 28 აპრილს.

საბუთების მიღება წარმოებს რუსთაველის ფონდში.
მისამართი: თბილისი, 0102, დ. უზნაძის 68, II სართული.

## თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერიის განმეორებითი განცხადება

ქ. ბათუმის მერის 2009 წლის 06 თებერვლის N78 ბრძანების საფუძველზე განხორციელდა თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის 100%-იანი წილით არსებული კერძო სამართლის იურიდიული პირების შპს "ბათდეზსერვისი"-სა (იურიდიული მისამართი: ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის ქ.N55) და შპს "სანდასუფთავების" (იურიდიული მისამართი: ქ. ბათუმი, ზ. გამსახურდიას ქ.N46) რეორგანიზაცია (შერწყმა). საწარმოთა რეორგანიზაციის (შერწყმის) შედეგად შპს "ბათდეზსერვისი" მიუერთდა შპს "სანდასუფთავებას". შპს "ბათდეზსერვისი"-ს უფლებამონაცვლედ განსაზღვრულია შპს "სანდასუფთავება".

**შპს სანალიას" მირ გამოცხადებულ აუქციონში** ცვლილება

2009 წლის 11 მარტის 24 საათის'' N53 გამოქვეყნებულ განცხადებაში ნაცვლად 260 ტონა სპილენძისა, უნდა იყოს 260 კგ სპილენძი.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. **საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება** ***გარემოს დაცვის ინსპექცია*** მის. ქ. თბილისი, გულუას ქ. №6 აცხადებს ხელახალ ტენდერს გარემოს დაცვის ინსპექციის ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალებათა ტექმომსახურების (სერვისი-სათადარიგო ნაწილები) სახელმწიფო შესყიდვისათვის და მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს.

2. შესყიდვის ობიექტი მომსახურების ადგილის მიხედვით დაყოფილია 7 ლოტად:

| ლოტი | მომსახურების ობიექტი | რაოდენობა | მომსახურების გაწევის ადგილი |
|---|---|---|---|
| 1 | ტოიოტა ლენდ კრუიზერი | 1 | ქ. თბილისი |
| | ისუზუ ტრუპერი | 1 | |
| | ოპელ ომეგა | 1 | |
| 2 | ვაზ 21214 | 12 | ქ. ქუთაისი |
| 3 | ვაზ 21214 | 7 | ქ. ზუგდიდი |
| 4 | ვაზ 21214 | 6 | ქ. ბათუმი |
| 5 | ვაზ 21214 | 6 | ქ. ახალციხე |
| | უაზი | 1 | |
| 6 | ვაზ 21214 | 6 | ქ. რუსთავი |
| 7 | უაზი | 1 | ქ. გორი |
| | ვაზ 21214 | 8 | |

*შენიშვნა: წლის განმავლობაში ინსპექციის უფროსის ბრძანების შესაბამისად შეიძლება მოხდეს რეგიონების მიხედვით ლოტებში მითითებული ავტომანქანების გადანაცვლება.*

3. მომსახურეობა უნდა დაიწყოს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა 2009 წლის 20 დეკემბრამდე შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

4. სატენდერო დოკუმენტაციის გატანა 200 (ორასი) ლარის ოდენობით სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ, პრეტენდენტებს შეეძლებათ სატენდერო კომისიის აპარატში 2009 წლის 13 მარტიდან 2009 წლის 3 აპრილის 14 საათამდე განცხადების პირველ პუნქტში მითითებულ მისამართზე, ასევე შესაძლებლობა ექნებათ სატენდერო კომისიის აპარატში გაეცნონ ქართულ ენაზე შედგენილ სატენდერო დოკუმენტაციას სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე.

5. სატენდერო მოსაკრებლის საბანკო რეკვიზიტები:
ხაზინის ერთიანი ანგარიში №200122900, სახელმწიფო ხაზინის კოდი 220101222, სახაზინო კოდი 302005500. აუცილებლად უნდა მიეთითოს – გარემოს დაცვის ინსპექცია, ავტოსატრანსპორტო საშუალებათა ტექმომსახურების (სერვისი, სათადარიგო ნაწილები) სახელმწიფო შესყიდვისთვის.

6. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება სატენდერო კომისიის აპარატში უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ ინგლისურ ენაზე, ქართულ ენაზე ნოტარიული წესით დამოწმებული თარგმანის დართვით) ერთ დახურულ კონვერტში 2009 წლის 3 აპრილს 15 საათიდან 16 საათამდე განცხადების პირველ პუნქტში მითითებულ მისამართზე.

7. პრეტენდენტების მიერ წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი:

***იურიდიული პირებისათვის:***

– ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
– ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;
– ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაცვის საქმის წარმოება;
– ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.

***ფიზიკური პირებისათვის:***

– გადასახადის გადამხდელის სარეგისტრაციო მოწმობა.
– ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

***როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირებისათვის:***

– ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე არსებული დავალიანების შესახებ;
– სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს პრეტენდენტის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონს/ფაქსს, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს.

*შენიშვნა: პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ საკვალიფიკაციო მონაცემები დედნის სახით. არარეზიდენტმა იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს თარგმანი ქართულ ენაზე, ნოტარიულად დამოწმებული სახით. განცხადების მე-7 პუნქტში ჩამოთვლილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა იყოს გაცემული არაუმეტეს სატენდერო განცხადების გამოქვეყნებიდან სატენდერო წინადადების მიღების თარიღამდე.*

***მომსახურების გასაწევად სუბ კონტრაქტორების (ქვე-კონტრაქტორების) აყვანის შემთხვევაში ტენდერში მონაწილე პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს:***
*1. სუბ კონტრაქტორების (ქვე-კონტრაქტორების) ფიზიკური და/ან იურიდიული პირის შესაბამისი საკვალიფიკაციო მონაცემები; ინფორმაცია პრეტენდენტის გამოცდილებისა და განხორციელებული მსგავსი პროექტების შესახებ სუბ-კონტრაქტორების (ქვე-კონტრაქტორების) მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს სუბ-კონტრაქტის (ქვე-კონტრაქტის) ფარგლებში.*
*2. სუბ-კონტრაქტორთან (ქვე-კონტრაქტორთან) გაფორმებული ხელშეკრულება ან/და წერილობითი აქტი და/ან ხელშეკრულება სადაც იქნება დათქმა იმის შესახებ, რომ პრეტენდენტის სახელმწიფო შესყიდვაში გამარჯვების შემთხვევაში პრეტენდენტთან გააფორმებს ხელშეკრულებას სუბ-კონტრაქტით გათვალისწინებული მომსახურებისათვის. (პრეტენდენტმა გამარჯვების შემდგომ ხელშეკრულების გაფორმებამდე უნდა წარმოადგინოს სუბ-კონტრაქტები, რომელის შემდგომში შეჰქონს ერთ მთლიანობას სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებასთან ერთად)*

8. პრეტენდენტების მიერ განცხადების მე-7 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.

9. ტენდერში შეიძლება გამოვლენილი იქნას ერთი ან რამოდენიმე გამარჯვებული.

10. დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტი.

11. ალტერნატიული წინადადება არ განიხილება.

12. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ სატენდერო კომისიის აპარატში შემდეგი პირისაგან: ეკა ძნელაძე, ტელ – (995 32) 72-72-75, მისამართი: ქ. თბილისი, გ. გულუას ქ. №6.

**სატენდერო კომისია**
**13 მარტი, 2009 წელი**

---

არასამეწარმეო არაკომერციული იურდიული პირი "სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება" ქ. სამტრედია რესპუბლიკის ქ.N6 ტელეფონი 895-33-22-24 საბავშვო ბაღების კვების პროდუქტებით მომარაგებისათვის 2009 წლის 13 მარტიდან 31 დეკემბრის ჩათვლით ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს დაინტერესებულ პირებს.
ტენდერში მონაწილეობის მსურველთათვის საჭიროა შემდეგი დოკუმენტაცია.

იურდიული პირებისათვის:

ა) ცნობა სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი გაკოტრება.
ბ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია და ლოკვიდაცია.
გ) ცნობა საჯარო რეესტრიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.
დ) ცნობა შსს-დან რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ არის მსჯავრდებული და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ-სამსახურეობრივი საქმიანობასთან დაკავშირებულ დანაშაულზე.
ე) რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები) და ორგანიზაციის ხელმძღვანელის სახელი გვარი.

ფიზიკური პირებისათვის:

ა) ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია.
ბ) ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მოქმედებს გაკოტრების საქმე.
გ) ცნობა შსს-დან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ არის მსჯავრდებული ან შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ-სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებულ დანაშაულზე.
დ) რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები).
სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შესაძლებელი იქნება, სატენდერო მოსაკრებელის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ, პრეტედენტის მოთხოვნის შემდეგ მისამართზე ქ. სამტრედია, ქ.N6 გამგეობის მეორე სართულზე, ოთახი 234.
სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე.
სატენდერო მომსახურეობის მოსაკრებელის ოდენობა 200 (ორასი) ლარი.
სატენდერო მოსაკრებელი გადახდილი უნდა იქნეს შემდეგ მისამართზე. ბანკი რესპუბლიკა სამტრედიის ფილიალი.
სატენდერო წინადადებების გახსნა და პრეტედენტთა დასახელება მოხდება 2009წლის 2 აპრილს 12 საათზე ქ. სამტრედია ქ.N6 გამგეობის შენობა მეორე სართული, ოთახი 234,
სატენდერო დოკუმენტაციის შეფასება მოხდება პრეტედენტთა დასახელებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.
გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, დამკვეთს (სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება) და შემსრულებელს (გამარჯვებულად გამოვლინებული პრედედენტი) შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი- გამოყენებული არ იქნება.
სატენდერო უზრუნველყოფის მექანიზმი გამოყენებული არ იქნება. დაუშვებელია პრეტედენტის მიერ ალტერნატიული სატენდერო წინადადების წარმოდგენა დამატებითი ინფორმაციის მისაღებად დაინტერესებულმა პირებმა შეუძლია სატენდერო კომისიის თავმჯდომარეს ბატონ თენგიზ ლორიას, ტელეფონი 895-33-22-24

## შპს "მობიტელი" აცხადებს ტენდერს ახალი პარტნიორის შეძენის მიზნით, და გიწვევთ მონაწილეობის მისაღებად.

*ტენდერის მიზანი: "ბილაინის" გადახდის ბარათების დისტრიბუცია*

*საკვალიფიკაციო დოკუმენტაცია, სატენდერო წინადადება და სავარაუდო თანამშრომლობის გეგმა (დალუქული კონვერტით) წარმოდგენილი უნდა იქნას 2009 წლის 20 მარტამდე შემდეგ მისამართზე:*

*ქ.თბილისი, 0114, გორგასალის ქ. N6, შპს @"მობიტელის" ადმინისტრაციული ოფისი. საკონტაქტო პირი: სალომე ნებიერიძე.*

**ტენდერში მონაწილეობის მიზნით გთხოვთ უზრუნველყოთ შემდეგი ინფორმაციისა და ცნობების წარმოდგენა:**

*იურიდიული პირებისათვის:*

*1) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან საწარმოს რეგისტრაციის შესახებ;*
*2) ცნობა საგადასახადო ორგანოდან, რომ არ ხორციელდება კომპანიის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;*
*3) ცნობა სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება კომპანიის მიმართ;*
*4) ცნობა ბანკიდან მიმდინარე ანგარიშის არსებობის შესახებ;*
*5) კომპანიის წესდების ასლი;*
*6) იურიდიული პირის რეკვიზიტები (იურიდიული / ფაქტობრივი მისამართი, საბანკო რეკვიზიტები, ტელეფონი / ფაქსი, ელექტრონული ფოსტა, დირექტორის მონაცემები);*

**სავალდებულო მოთხოვნები ტენდერში მონაწილე კომპანიასთან:**

*1) სამუშაო სადისტრიბუციო გამოცდილება, რომელიც ითვალისწინებს საქონლის დისტრიბუციას.*
*2) პირდაპირი მიტანის განვითარებული სისტემის არსებობა, რომელიც ითვალისწინებს რაოდენობრივად და ხარისხობრივად მაღალ მაჩვენებლებს არსებულ ბაზარზე;*
*3) "ბილაინის" ანგარიშის შევსების ბარათების გაყიდვის ორგანიზების და განვითარების მზად ყოფნა;*
*4) საკუთარი სავაჭრო ქსელის არსებობა;*
*5) დასახული მიზნების მიღწევისათვის ფინანსური, ადმინისტრაციული და რესურსული პოტენციური შესაძლებლობები ( საკუთარი ავტოპარკი, სეილს პერსონალი და ა.შ.)*
*6) ასახული დროისათვის ყველა აუცილებელი რაპორტინგის მიწოდების მზადყოფნა და შესაძლებლობა*

*დამატებითი იმფორმაციისათვის მოგვმართეთ ელ-ფოსტაზე:*
*ალმა ალანია* Aalaniya@beeline.ge
*გიორგი კილაურიძე* Gkilauridze@beeline.ge

## ქ. თბილისის მთავრობის 100%-ანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგიერთი საწარმოს ლიკვიდაციის შესახებ

„მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის 9¹ და მე-14 მუხლების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის, „საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ" საქართველოს კანონის 28-ე მუხლის შესაბამისად,

ქ. თბილისის მთავრობა ადგენს:

1. განხორციელდეს დანართი 1-ში მითითებული, ქ. თბილისის მთავრობის 100%-ანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული კომპანიების ლიკვიდაცია.
2. დანართში მითითებული კომპანიების ლიკვიდატორად დაინიშნოს დავით მეფარიშვილი (დაბ. 02.04.1973 წელს პირ. №01034004756).
3. დაევალოს კომპანიების ლიკვიდატორს: უზრუნველყოს საზოგადოებების ლიკვიდაციასთან დაკავშირებული, კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების განხორციელება უმოკლეს ვადებში.
4. კონტროლი დადგენილების შესრულებაზე დაევალოს ქ. თბილისის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერს) - მერიის ადმინისტრაციის უფროსს მ. ახვლედიანს.
5. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ერთ თვეში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).

ქ. თბილისის მერი გიორგი უგულავა

*დანართი 1*

| N | დასახელება | საწესდებო კაპიტალიდან ამოსაღები ქონების მისამართი |
|---|---|---|
| 1 | შპს „სპეცავტობაზა" | ვაჟა—ფშაველას „ კვ .№ „კორპ.№ |
| 2 | შპს ავტოსერვისი „ლისი—1" | ლისის ტბის მიმდ.№ტერიტ.№ (ნუცუბიძის ფერდ.№ 4 მ/რ) |
| 3 | შპს ნაძალადევის რაიონის გამგეობის „სამეურნეო სამმართველო" | ცაგარელის ქ.№ 30 |
| 4 | შპს „რეპროგრაფიული ცენტრი—97" | ი.№ფალავას ქ.№ 24 |
| 5 | შპს „ეკოლოგი" | ქ.№წამებულის 96 |
| 6 | შპს „უძრავი ქონება დიდუბე" | დ.№აღმაშენებლის გამზ.№ 140- „ სართ.№ |

## იყიდება ფართი ჭავჭავაძის 17ა-ში

*ფართობი:* **საოფისე ფართი ევრორემონტით** *2 284 კვ.მ.*
**სარდაფი** *334 კვ.მ.*
**ავტოფარეხი** *525 კვ.მ.*

**სულ:** *3 143 კვ.მ.*
*ფასი: 1 900 000 დოლარი*
*(შესაბამისი კურსით ეროვნულ ვალუტაში)*

ტელ: 22 17 65; 877 955 707.

## განცხადება ცვლილების შესახებ

საქართველოს ტექნუკური უნივერსიტეტის მიერ მიმდინარე წლის 6 მარტს გაზეთში 24 საათი", კომპიუტერული ტექნიკის და აქსესუარების შესყიდვის მიზნით გამოქვეყნებულ სატენდერო განცხადებაში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

მე-11 პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: მოთხოვნილი ავანსის ოდენობა (პრეტენდენტის მიერ ავანსის მოთხოვნის შემთხვევაში), არ უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების ღირებულების 25 %-ს.

შპს "მობიტელი" აზუსტებს სატარიფო გეგმის პირობებს. სატარიფო გეგმაზე "მეგობრები" იცვლება ტარიფიკაცია: 23 მარტიდან წუთი სასაუბრო დროის ღირებულება გახდება 17 თეთრი.

## განცხადება ღია კონკურსის ჩატარების თაობაზე

1. სს აკად. ო. ღუდუშაურის სახ. ეროვნული სამედიცინო ცენტრი" (შემდგომში - ცენტრი") აცხადებს განმეორებით ღია კონკურსს ცენტრის საჭიროებისათვის მედიკამენტების შესყიდვაზე და კონკურსში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს.

**2.** შესყიდვის ობიექტია - "მედიკამენტები", რომელთა მოწოდების ვადაა 6 (ექვსი) თვე.

**3.** დაინტერესებულმა პირებმა განაცხადი კონკურსში მონაწილეობის სურვილის შესახებ, საკვალიფიკაციო მონაცემები და საკონკურსო წინადადება (დედანი და ასლი), ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ არაუგვიანეს 2009 წლის 25 მარტის 15:00 საათისა შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ლუბლიანას ქ. N18/20, "ცენტრი"-ს მე-3 სართული, ოთახი N301.

**4.** პრეტედენტების მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებს და ინფორმაციას:

a. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
b. ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ;
g. ხარისხის და წარმოშობის დამადასტურებელი სერთიფიკატ(ებ)ი.

**5.** ტექნიკური დავალების გაცემა პრეტენდენტებზე განხორციელდება 2009 წლის 13 მარტიდან 2009 წლის 23 მარტის 17:00 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა) შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ლუბლიანას ქ. N18/20, "ცენტრი"-ს მე-3 სართული, ოთახი N301.

**6.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ლუბლიანას ქ. N18/20, "ცენტრი"-ს მე-3 სართული, ოთახი N301, ტელ: 54 09 33.

**საკონკურსო კომისია**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება – სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სამსახური (ქ. ბათუმი, გოგებაშვილის ქ. №46ა) აცხადებს ღია ტენდერს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე – „ამერიკული თეთრი პეპლის საწინააღმდეგო ღონისძიებების პროგრამა" ჩატარების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე სამ ლოტად და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს.

| ლოტი | ქალაქი, მუნიციპალიტეტი | შესაწამლი ფართობების რაოდენობა | | ჯამი | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|
| | | I გენერაცია | II გენერაცია | | |
| I | ქ. ბათუმი | 298 | 298 | 596 | |
| II | ქობულეთი | 460 | 660 | 1120 | |
| III | ხელვაჩაური | 340 | 540 | 880 | |
| | ქედა | 2 | 2 | 4 | |
| **სულ ჯამი** | | **1100** | **1500** | **2600** | |

**2.** შესრულების სავალდებულო ვადაა: 2009 წლის 15 სექტემბერი.
**3.** სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილი დედნის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლების სახით სატენდერო კომისიის აპარატში 2009 წლის 7 აპრილის 11:00 საათიდან 2009 წლის 7 აპრილის 17:00 საათამდე მისამართზე ქ. ბათუმი გოგებაშვილის ქ.№46ა, მეორე სართული.
**4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:**
**4.1 იურიდიული პირისათვის:**
ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
ბ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
გ) ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება;
დ) ცნობა საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოდან, რომ იურიდიული პირის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;
ე) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან იურიდიული პირის რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ;
ვ) ცნობა მომსახურე ბანკიდან საბანკო ანგარიშზე ყადაღის (ინკასოს) არარსებობის შესახებ.
**4.2. ფიზიკური პირისათვის:**
ა) ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება;
გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ;
**4.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**
ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო);
ბ) ინფორმაცია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ (აუდიტორული დასკვნა);
გ) ინფორმაცია ანალოგიური სამუშაოების წარმოების გამოცდილების შესახებ (სამუშაოების მითითებით, რომელიც შესრულებულია მონაწილეობის მსურველი პირის მიერ);
დ) ინფორმაცია პერსონალის კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ (მ.შ. ანალოგიური საქმიანობის სფეროში).
**4.4.** პრეტენდენტების მიერ განცხადების მე-3 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.
**შენიშვნა:** სამუშაოების შესასრულებლად სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის აყვანის შემთხვევაში, პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს ასევე სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის საკვალიფიკაციო მონაცემები მე-3 მუხლის მიხედვით.
ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა იყოს გაცემული/შედგენილი წინამდებარე განცხადების გამოქვეყნების თარიღის შემდგომ პერიოდში.
**5.** თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.
**6.** სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით უნდა იყოს გადახდილი შემდეგ რეკვიზიტებზე: **მიმღების დასახელება:** ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, მიმღების ბანკი: სს „საქართველოს ბანკი" ცენტრალური ფილიალი ანგარიში: №897293000, ბანკის კოდი: 220101502, საიდენტიფიკაციო კოდი 245564465.
**7.** სატენდერო დოკუმენტაცია (ქართულ ენაზე) გაიცემა 2009 წლის 13 მარტიდან 2009 წლის 7 აპრილის 11:00 საათამდე სატენდერო კომისიის აპარატში ზემო აღნიშნულ მისამართზე, გადახდის დამადასტურებელი საბუთის წარმოდგენის შემდგომ. ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველ პირს ზემო აღნიშნულ მისამართზე უფლება აქვს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას, რომელიც შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.
**8.** პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ერთი სატენდერო წინადადება. ალტერნატიული წინადადება არ განიხილება. ტენდერის შედეგად გამოვლინდება მხოლოდ ერთი გამარჯვებული.
**9.** ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის მექანიზმი (საბანკო გარანტია, სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ზე)
**10.** დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს, ზემოთ აღნიშნულ მისამართზე, გოჩა ბერიძე ტელეფონი 7-03-93 877 90-80-03.

<u>სატენდერო კომისია</u>

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გამგეობა, ქ.ამბროლაური თამარ მეფის ქ N1 "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად აცხადებს ტენდერს ადმინისტრაციული შენობების, საბავშო ბაღების, საცხოვრებელი კორპუსების და კულტურის სახლის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტია:

I ლოტი - ქ.ამბროლაურში გურგენიძის ქ. N 10-ში მდებარე ორი საცხოვრებელი კორპუსის ფასადის კეთილმოწყობის სამუშაოები.

II ლოტი -- სოფ. სადმელის ადმინისტრაციული შენობის სახურავის,ფასადისა და შიდა ინტერიერის (ნაწილობრივი) სარეაბილიტაციო სამუშაოები.

III ლოტი - სოფ.ნამანევის ადმინისტრაციული შენობის ფასადისა და შიდა ინტერიერის(ნაწილობრივი) კეთილმოწყობის სამუშაოები

IV ლოტი - სოფ.წესის საბავშვო ბაღის სახურავის და ფასადის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

V- ლოტი- სოფ.ნიკორწმინდის საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

VI- სოფ ჭრებალოს საბავშვო ბაღის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

VII- ქ.ამბროლაურის კულტურის სახლის ფასადის, სახურავის და შიდა ინტერიერის დაზიანებული ნაწილის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

2. დაფინანსების წყარო: ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების სასურველი ვადაა 2009 წლის 1 ივლისი. მიწოდების ადგილია ამბროლაურის მუნიციპალიტეტი.

4. დაინტერესებულმა პირებმა განცხადება ტენდერში მონაწილეობის შესახებ, საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები ქართულ ენაზე ორ ეგზემპლიარად (ერთი დედანი და ერთი ასლი) დალუქული პაკეტით უნდა წარმოადგინონ 2009 წლის 2 აპრილს. 10 -საათიდან 17-საათამდე. შემდეგ მისამართზე ქ.ამბროლაური თამარ მეფის ქ N 1, ---სატენდერო კომისიის აპარატში (I- სართული). სატენდერო წინადადების გახსნა მოხდება 2009 წლის 2 აპრილს 18 საათზე შემდეგ მისამართზე ქ.ამბროლაური თამარ მეფის ქ N 1 III სართული. ტენდერში მონაწილეებს უფლება აქვთ დაესწრონ სატენდერო წინადადების გახსნას.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას.

5.1. იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობას სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;

ბ) ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ მიმდინარეობს შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.

გ) ცნობა შესყიდვებში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადალის არარსებობის შესახებ( ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიული ორგანოს მიერ);

დ) ორგანიზაციის ბალანსი. (ბოლო წლის)

5.2 ფიზიკური პირისათვის

ა) ცნობას რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან მისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით)

ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი

გ) ინდ/მეწარმის რეგისტრაციის საბუთი

5.3 როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირისათვის

ა) საგადასახადო დეკლარაცია ბოლო წლის.

ბ)შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები(მისამართი, ტელეფონი,Fფაქსი, ელექტროფოსტა, საბანკო რეკვიზიტები)

გ) ცნობა სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ.

დ) ცნობა საგადასახაო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არ არსებობის შესახებ.

ე) ინფორმაცია უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური სამუშაოების შესახებ.

ვ) ინფორმაცია ინჟინერ ტექნიკური პერსონალის გამოცდილების და კვალიფიკაციის შესახებ. მათ შორის ანალოგიური საქმიანობის სფეროში.

6. პრეტენდენტის მიერ განცხადების მე-5 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.

**შენიშვნა:** მომსახურების გასაწევად სუბ-კონტრაქტორების აყვანის შემთხვევაში პრეტედენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს ასევე სუბ- კონტრაქტორების საკვალიფიკაციო მონაცემები მე-5 მუხლის მიხედვით.

7. ზემოთ აღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა იყოს გაცემული / შედგენილი წინამდებარე განცხადების გამოქვეყნების თარიღის შემდგომ პერიოდში.

8. აღნიშნულ შესყიდვაში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის მექანიზმი (სატენდერო წინადადების ფასის 1%-ის ოდენობით) და ხელშეკრულების უზრუნველყოფის მექანიზმი (ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 3%-ის ოდენობით). შესაბამისი საბანკო ან სადაზღვევო გარანტიების წარმოდგენით.

9. ქართუ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ განცხადების გამოქვეყნების დღიდან 2009 წლის 1 აპრილის 16 საათამდე.

200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, ანგარიშზე: ხაზინის ერთიანი ანგარიში 200122900, სახელმწიფო ხაზინა 220101222, სახაზინო კოდი 300303174 გადახდის დანიშნულება სატენდერო მოსაკრებელი.

10. შესყიდვაში დაინტერესებულ პირს უფლება აქვს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას.

11. დაგვიანებით წარმოდგენილი საკვალიფიკაციო დოკუმენტაცია და სატენდერო წინადადებები გატარდება რეგისტრაციაში, მაგრამ არ განიხილება და გაუხსნელად დაუბრუნდებათ უკან პრეტედენტებს.

12. სატენდერო წინადადება ხელმოწერილი უნდა იქნას ტენდერში მონაწილის მიერ, ხელმოუწერელი წინადადებები არ განიხილება.

13. პრეტედენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ მხოლოდ ერთი წინადადება, ალტერნატიული წინადადების წარმოდგენა დაუშვებელია.

14. ტენდერი ტარდება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების საფუძველზე..

სატენდერო დოკუმენტაციის გატანა და დამატებითი ინფორმაციის მიღება დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ მუნიციპალიტეტის სატენდერო კომისიის აპარატში. მისამართზე: ქ.ამბროლაური თამარ მეფის ქ N 1, I-სართული. საკონტაქტო პირი ბეჟან კობახიძე ტელ N-858-456-436

სატენდერო კომისია

## სსიპ საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი

### სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსი 2009

**• საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი 2009 წლის 12 მარტს აცხადებს სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსს.**

სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსის მიზანია ღიად გამოცხადებული კონკურსის გზით, დამოუკიდებელ ადგილობრივ და საერთაშორისო ექსპერტთა შეფასების საფუძველზე, შეარჩიოს და დააფინანსოს სამეცნიერო პროექტები და ამით წარმოაჩინოს და გააძლიეროს საქართველოს სამეცნიერო პოტენციალი.

**•2009 წელს საკონკურსოდ შემოთავაზებულია შემდეგი სამეცნიერო მიმართულებები:**

1. საინფორმაციო ტექნოლოგიები, ტელეკომუნიკაციები; 2. სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები; 3. მათემატიკა, მექანიკა 4. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები; 5. დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები და გარემო; 6. სამედიცინო მეცნიერებები; 7. საინჟინრო მეცნიერებები, მაღალტექნოლოგიური მასალები; 8. აგრარული მეცნიერებები

- გრანტის მოსაპოვებლად კონკურსში მონაწილეობა შეუძლიატ საქართველოში რეგისტრირებულ საჯარო სამართლის და კერძო სამართლის არასამეწარმეო (არამომგებიან) იურიდიულ პირებში ჩამოყალიბებულ მეცნიერთა ჯგუფებს.

სამეცნიერო პროექტის ბიუჯეტი ერთი წლის მანძილზე შეადგენს 50 000 ლარს, ხოლო პროექტის ხანგრძლივობა 3 წელიწადს.

**•ღია საკონსულტაციო სემინარები**

საკონკურსო პირობების გაცნობისა და კონსულტაციების მიზნით საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი ჩაატარებს საკონსულტაციო სემინარებს თბილისში, ბათუმსა და ქუთაისში

**პროექტის საკონკურსო დოკუმენტაცია ფონდში წარმოდგენილი უნდა იყოს 2009 წლის 1 აპრილიდან 24 აპრილის ჩათვლით 18:00 საათამდე. დისტანციურად (ელექტრონულად) დარეგისტრირებული პროექტების საკონკურსო დოკუმენტაციის ფონდში წარმოდგენი ბოლო ვადაა 2009 წლის 30 აპრილი 18:00 საათამდე.**

**კონკურსის დეტალური პროგრამა და პირობები და განაცხადის ფორმები განთავსებულია ფონდის ოფიციალურ ვებ–გვერდზე www.gnsf.ge**

**საკონტაქტო ინფორმაცია:** სამეცნიერო პროგრამების მართვის სამმართველო
**მისამართი: დ. უზნაძის ქ. №68, IV სართული**
**ტელ: 95 04 20**
**ელ– ფოსტა:** dep_science@gnsf.ge

## განცხადება
## ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქ. თბილისის ძველი თბილისის რაიონის გამგეობა, (მისამართი: ქ. თბილისი 0105, გ. ლეონიძის ქ. N2) აცხადებს ტენდერს ქ. თბილისში, გორგასალის მოედანზე მიწისქვეშა საფეხმავლო გალერეა-გვირაბის დარჩენილი სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. შესყიდვის ობიექტია: ქ. თბილისში, გორგასალის მოედანზე მიწისქვეშა საფეხმავლო გალერეა-გვირაბის სამშენებლო სამუშაოები. შესასრულებელი სამუშაოების დეტალური ჩამონათვალი მოცემულია ტექნიკურ დავალებაში, რომელიც ტენდერში მონაწილეებს გადაეცემათ სატენდერო დოკუმენტაციასთან ერთად.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების საბოლოო ვადაა 2009 წლის 11 მაისი (ჩათვლით).

4. სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებელის გადახდის დამადასტურებელი საბუთის წარმოდგენისთანავე 2009 წლის 01 აპრილის 18 საათამდე, შემდეგ მისამართზე: 0105, ქ. თბილისი გ. ლეონიძის ქ. N2, მე-3 სართული, ოთახი N5. სატენდერო დოკუმენტაცია შესრულებული იქნება ქართულ ენაზე.

5. სატენდერო მოსაკრებელის ოდენობა შეადგენს 200 (ორასი) ლარს, გადახდილი უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე: ხაზინის ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (ძველი თბილისი), ს/კ 206160606, ანგარიში N200122900, სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220101222, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი - 300773174. გადახდის დანიშნულება - გორგასალის მოედანზე მიწისქვეშა საფეხმავლო გალერეა-გვირაბის სამშენებლო სამუშაოები. შესყიდვაში მონაწილეობის მსურველს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე შეუძლია გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას ზემოთ აღნიშნულ მისამართზე.

6. პრეტენდენტებმა ქართულ ენაზე შედგენილი განაცხადი ტენდერში მონაწილეობის შესახებ და საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, ერთ დახურულ კონვერტში უნდა წარმოადგინონ 2009 წლის 02 აპრილის 10-დან 14 საათამდე შემდეგ მისამართზე: 0105, ქ. თბილისი, გ. ლეონიძის ქ. N2, მე-3 სართული, ოთახი N5.

7. ტენდერის შედეგად გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

8. ტენდერში მონაწილის (სუბკონტრაქტორების არსებობის შემთხვევაში, ასევე - მათი) საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

8.1 იურიდიული პირისათვის:

ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება;

გ) ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ იურიდიული პირის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

დ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ მიმდინარეობს იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.

8.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობა, უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

8.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისათვის:

ა) ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ;

ბ) ინფორმაცია უკანასკნელ წლებში ანალოგიურ სამუშაოთა შესრულების შესახებ.

9. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ დედნის სახით ან მათი ნოტარიალურად დამოწმებული ასლები. არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომელსაც თან უნდა დაერთოს თარგმანი ქართულ ენაზე, ნოტარიალურად დამოწმებული სახით. კვალიფიკაციის გასავლელად განმცხადებელმა უნდა დააკმაყოფილოს ყველა ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მოთხოვნა. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-8 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

10. შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება წინამდებარე განცხადების მერვე პუნქტით მოთხოვნილი ცნობები და ინფორმაცია.

11. ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადებისა (ღირებულების 1%-ის ოდენობით) და ხელშეკრულების შესრულების (ღირებულების 2%-ის ოდენობით) უზრუნველყოფის საბანკო გარანტირების მექანიზმი.

12. დამატებითი ინფორმაციისათვის დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიმართონ ქ. თბილისის ძველი თბილისის რაიონის გამგეობის მთავარ სპეციალისტს, სატენდერო კომისიის აპარატის წევრს - დავით კასრაძეს ზემოთაღნიშნულ მისამართზე.

ტელ: 92-04-09; 93-11-90; 92-04-10; 93-11-40.

ქ. თბილისის ძველი თბილისის რაიონის
გამგეობის სატენდერო კომისია

## ინფორმაცია

**საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსMმიერ, სამინისტროს ცენტრალური აპარატის 2009 წლის ასიგნებების ფარგლებში, საწვავის (ბენზინი) შესყიდვის მიზნით 2009 წლის 3 თებერვალს გამოცხადებულ ტენდერთან დაკავშირებით**

"სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების 21-ე მუხლის, პუნქტი 2-ის, "ა" ქვეპუნქტის თანახმად, ტენდერი ჩაითვალა უარყოფითი შედეგით დასრულებულად, ვინაიდან ტენდერის მონაწილე არცერთი პირის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ან/და სატენდერო წინადადება არ შეესაბამებოდა შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებს.

## განცხადება ტენდერის შეწყვეტის შესახებ

ქ. თბილისის მერიის მიერ 2009 წლის 28 თებერვალს - ქ. თბილისში, მარტივი ტიპის ხელოვნურსაფარიანი კომბინირებული სპორტული მოედნების სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების (**ლოტი N1 - მოსკოვის გამზ. I კომპლექსი. N 1,2,3,4 კორპუსებს შორის ; ლოტი N2 - ლილოს დასახლება. რუსთაველის ქუჩის დასაწყისი ; ლოტი N3 - ვარკეთილი 3. II მ/რ. N 35,36,37,40,41 კორპუსებს შორის ; ლოტი N4 - ალექსეევკის დასახლება ; ლოტი N5 - აეროდრომის დას. XI-XII ქუჩებს შორის. N 3ა კორპუსის უკან ; ლოტი N6 - იდუმალის ქ. N 1,2,3,4,5,6 კორპუსებს შორის ; ლოტი N7 - იოანე პეტრიწის ქ. N 1ა ; ლოტი N8 - გლდანის III მ/რ. მე-12-ე კორპუსი ; ლოტი N9 - გლდანის მასივი. N 191 საჯარო სკოლა ; ლოტი N10 - ქინძმარაულის შესახვევი. კორპუსი N 25ა ; ლოტი N11 - ფალიაშვილის ქ. N 41 ; ლოტი N12 - შუამთის ქ. კორპ. N 13 )** სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადებული ტენდერი "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის "გ" ქვეპუნქტისა და "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების მე-20 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით იქნა შეწყვეტილი.

**სატენდერო კომისია**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ აცხადებს ტენდერს სპეც. ტექნიკის შეძენაზე (სამი ლოტი)

| ლოტის № | სპეც-ტექნიკის დასახელება | განზომილება | რაოდენობა |
|---|---|---|---|
| 1 | ჰიდრავლიკური ავტო ამწე გასაშლელი ისრით ტვირთამწეობით არანაკლებ 50000კგ. ისრის გაშლის სიგრძე 35-40მ. | ცალი | 1 |
| 2 | მაღალი გამავლობის ა/მანქანა ურიკით საწევარა მძიმე ტვირთმზიდი ნახევარ მისაბმელით. ტვირთამწეობა არანაკლებ 50000კგ. | ცალი | 1 |
| 3 | ა/მანქანა ურიკით საწევარას ნახევარმისაბმელი ტვირთამწეობით არანაკლებ 20000 კგ. | ცალი | 1 |

შესასყიდი სპეც-ტექნიკის ტექნიკური სპეციფიკაცია იხილეთ სატენდერო დოკუმენტაციაში (ტექნიკურ პირობებში).

საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნის მიხედვით. საქონლის მიწოდების სასურველი ვადაა შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნის **მიღებიდან 90 (ოთხმოცდაათი) დღე, DDP თბილისი** პირობით (Incoterms 2000).

**აუცილებელი პირობა:**

შესყიდვის განხორციელებისას ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია სატენდერო წინადადების ღირებულების 1% ოდენობის. ასევე გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია სახელშეკრულებო ღირებულების 5% ოდენობით.

დაინტერესებულმა პირებმა სატენდერო მოსაკრებელი **200 (ორასი) ლარის** ოდენობით უნდა გადაიხადონ შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ ანგარიშზე: **სს „საქართველოს ბანკი“, ცენტრალური ფილიალი, კოდი: 220101502, ა/ა 283534100, საიდ.კოდი 204995176** და მიუთითონ გადახდის მიზნობრიობა, მიუთითონ ტენდერის ნომერი **T-0309-G-013.**

პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ გადახდის დამადასტურებელი ქვითარი შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ. №2, რის შემდგომაც მათ გადაეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია განცხადების გამოქვეყნებიდან 2009 წლის 3 აპრილის 18:00 საათამდე.

დაფინანსების წყარო— შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ სახსრები.

პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები უნდა წარმოადგინონ 2009 წლის 3 აპრილს 10:00 საათიდან 15:00 საათამდე (თბილისის დროით), შემდეგ მისამართზე ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ. №2. შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ შესყიდვების სამსახურში, ოთახი №311.

სატენდერო წინადადებების გახსნა პრეტენდენტების თანდასწრებით მოხდება 2009 წლის 3 აპრილს 15:00 საათზე (თბილისის დროით) შემდეგ მისამართზე ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ. №2. შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ სათაო ოფისის შენობა, სააქტო დარბაზი.

პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საკვალიფიკაციო მონაცემები და დოკუმენტაცია:

**იურიდიულ პირთათვის:**

1. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.
2. ცნობა ვალდების არარსებობის შესახებ (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან).
3. ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება.
4. პრეტენდენტის რეკვიზიტები: (მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი, ტელეფონის ან/და ფაქსის ნომერი, საბანკო რეკვიზიტები).

**ფიზიკური პირებისათვის:**

1. პრეტენდენტის პირადი რეკვიზიტები (პირადობის მოწმობის ასლი, საკონტაქტო რეკვიზიტები).
2. ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია.
3. ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე (პირის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით).

პრეტენდენტების მიერ დამატებით წარმოდგენილი უნდა იქნეს შემდეგი ინფორმაცია:

1. მისაწოდებელი სპეც-ტექნიკის ტექნიკური მახასიათებლები და სპეც-ტექნიკის ფოტოსურათები.

2. ქარხანა-დამამზადებლის ან მისი უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული შესაბამისი ნებართვა საქართველოს ტერიტორიაზე სპეც. ტექნიკის რეალიზაციის და საგარანტიო-სერვისულ მომსახურების შესახებ და ინფორმაცია საქართველოში არსებული სერვის-ცენტრის შესახებ (ადგილმდებარეობა ტელ. აღჭურვილობა და ა.შ.).

3. ინფორმაცია სპეც. ტექნიკაზე საგარანტიო პერიოდში „შემსყიდველისადმი“ ძირითადი ტექნიკური მოთხოვნების შესახებ.

ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნეს ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ქსეროასლების სახით, ხოლო უცხო ქვეყნის იურიდიული და ფიზიკური პირის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი ქვეყნის სათანადო ორგანოდან, ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმნის სახით.

ყველა სავალდებულო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე, ასევე დასაშვებია უცხოურ ენაზე (იმ პირობით, თუ მას თან დაერთვება შესაბამისი განყოფილებების ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე. ამ შემთხვევაში მოცემული სატენდერო წინადადების ინტერპრეტაციის დროს უპირატესობა მიენიჭება ქართულ თარგმანს) დახურულ კონვერტში, შემდეგი აღნიშვნით:

პრეტენდენტის დასახელება, შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ სატენდერო კომისიას. ტენდერი **№ T-0309-G-013.**

იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას და მოხდება მისი დისკვალიფიკაცია, თუ იგი, ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს ზემოთ მითითებულ ყველა საკვალიფიკაციო მონაცემებს ან რომელიმე მათგანი აღმოჩნდება ყალბი, ასევე თუ პრეტენდენტის მიმართ მიმდინარეობს რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და/ან სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციის და ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების მოთხოვნებს.

აღნიშნულ ტენდერში შესაძლებელია მხოლოდ ერთი გამარჯვებულის გამოვლენა თითოეული ლოტის მიხედვით.

პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება თითოეული ლოტის მიხედვით.

დაგვიანებით შემოსულ სატენდერო წინადადებებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და გაუხსნელად უბრუნებს წარმომდგენ პირებს.

ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს უფლება აქვთ გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგ მისამართზე:

ქ. თბილისი. ბარათაშვილის ქ. №2.

საკონტაქტო პირი: შესყიდვების სამსახურის შესყიდვების აგენტი

ავთანდილ ბერიშვილი. ტელ: +995 989816; მობ. 877 240436

## ცვლილება ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებაში

შეტანილ იქნეს ცვლილება ქალაქ თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობის მიერ 2009 წლის 10 მარტს გაზეთ "24 საათში" რაიონის ტერიტორიის მწვანე ზოლის მოვლისთვის საჭირო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოქვეყნებულ სატენდერო განცხადებაში და **"შესყიდვის ობიექტის მოკლე დახასიათება"** ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

**შესყიდვის ობიექტის მოკლე დახასიათება:**

**ლოტი 1.** გლდანის რაიონის ტერიტორია: სკვერი - 30 ერთეული - 17.15 ჰა; გაზონი - 4 ერთეული - 4.6 ჰა; ფერდობი - 2 ერთეული - 1.8 ჰა;

**ლოტი 2.** ნაძალადევის რაიონის ტერიტორია: სკვერი - 28 ერთეული - 19.98 ჰა; გაზონი - 16 ერთეული - 6.146 ჰა;

გასაწევი მომსახურების დეტალური აღწერა (ლოტების მიხედვით) მოცემულია ტექნიკურ დავალებაში, რომელიც ტენდერში მონაწილეებს გადაეცემათ სატენდერო დოკუმენტაციასთან ერთად.

სატენდერო კომისია

## განცხადება ტენდერის შესახებ

მსოფლიო ბანკის წარმომადგენლობა საქართველოში
მოწვევა ტენდერზე IFB 09-0667

მსოფლიო ბანკი იწვევს დაინტერესებულ კომპანიებს მსოფლიო ბანკის თბილისის ოფისის შენობის უნარშეზღუდულ პირთათვის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების ტენდერში მონაწილეობის მისაღებად. ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველ კომპანიებს, უნდა გააჩნდეთ იურიდიული უფლება საქართველოში სამშენებლო და სარეკონსტრუქციო სამუშაოების წარმოებაზე და ამ სფეროში მოღვაწეობის წარმატებული, მინიმუმ სამწლიანი უწყვეტი გამოცდილება.

სხვა დეტალები და მოთხოვნები მოცემულია ზემოთ აღნიშნული სატენდერო მოთხოვნის დოკუმენტების სრულ პაკეტში. წინა-სატენდერო შეხვედრა შედგება ა.წ. 19 მარტს, 11:30 სთ, მსოფლიო ბანკის წარმომადგენლობის ოფისში, მდებარე ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირის I შესახვევი, 5ა.

დაინტერესებულ კომპანიებს შეუძლიათ უფასოდ მიიღონ სატენდერო დოკუმენტების სრული პაკეტი (ინგლისურ ენაზე) ა.წ. 16 მარტამდე მსოფლიო ბანკის საქართველოს წარმომადგენლობაში ან მოითხოვონ იგი ელექტრონული ფოსტით, რისთვისაც შეუძლიათ დაუკავშირდნენ ქ-ნ ირმა ხატიაშვილს შემდეგ მისამართზე Ikhatiashvili@worldbank.org.

სატენდერო დოკუმენტების მისაღებად სავალდებულოა მითითებული იქნას შემდეგი ინფორმაცია:

1. მოწვევა ტენდერზე: IFB 09-0667
2. კომპანიის სახელი:
3. საკონტაქტო პირის გვარი და თანამდებობა:
4. მისამართი:
5. ტელეფონის ნომერი:
6. ფაქსის ნომერი:
7. საკონტაქტო ელ.ფოსტის მისამართი:

## საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო (მის: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი №84) სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, აცხადებს ტენდერს ქიმიური რეაქტივების შესყიდვის თაობაზე და იწვევს მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს.

**დაფინანსების წყარო** - სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სახსრები

**შესყიდვის ობიექტი:** ორგანული და არაორგანული ქიმიური რეაქტივები.

2. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის გაცემა ტენდერში მონაწილეობის მსურველი პრეტენდენტებისთვის იწარმოებს სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემდეგ, მათი მოთხოვნისთანავე, 2009 წლის 2 აპრილის 18.00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი №84, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, მე-4 სართული, სატენდერო კომისიის აპარატი.

3. სატენდერო მოსაკრებლის გადახდა 200 (ორასი) ლარის ოდენობით შესაძლებელია შემდეგ ანგარიშზე: ხაზინის ერთიანი ანგარიში, ანგ.№200122900, კოდი: 220101222, სახაზინო კოდი: 302008500. გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, ქიმიური რეაქტივები, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო.

4. პრეტენდენტებმა ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინონ ერთ დახურულ კონვერტში 2009 წლის 3 აპრილის 10.00 საათიდან 15.00 საათამდე, მე-2 პუნქტში მითითებულ მისამართზე.

5. სატენდერო წინადადების გახსნა მოხდება 2009 წლის 3 აპრილს, 15.00 საათზე.

6. ტენდერის შედეგად გამოვლინდება ერთი ან მეტი გამარჯვებული, რომელთანაც დაიდება ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ.

7. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას.

**7.1 იურიდიული პირებისათვის:**

ა) ცნობა საგადასახადო ორგანოდან, რომ მის მიმართ არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

ბ) ცნობა საქალაქო სასამართლოდან, გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ;

გ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.

**7.2 ფიზიკური პირებისათვის:**

ა) ცნობა სასამართლოდან პირის ქმედუნარიანობის შესახებ;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

**7.3 როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისათვის:**

ა) პრეტენდენტის დასახელება, იურიდიული და ფაქტიური მისამართი, ტელეფონი/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები, ხელმძღვანელი სახელი და გვარი;

ბ) ცნობა საგადასახადო ორგანოდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარასებობის შესახებ;

გ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, საჯარო სამართლებრივი შეზღუდვის არარსებობის შესახებ;

დ) სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წერილი, რომ პრეტენდენტი არ არის რეგისტრირებული შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრში;

ე) ინფორმაცია გამოცდილების შესახებ.

8. შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება მე-7 პუნქტში აღნიშნული დოკუმენტები და ინფორმაცია.

9. სატენდერო წინადადება არ ჩაითვლება მისაღებად და არ დაიშვება შეფასებაზე, თუ პრეტენდენტი მე-4 პუნქტში დადგენილ ვადაში არ წარმოადგენს სატენდერო განცხადების მე-7 პუნქტში მოთხოვნილ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

10. თუ წინამდებარე შესყიდვის ფარგლებში, შესყიდვებში მონაწილეობის მსურველი პირის მიერ გათვალისწინებული იქნება სუბკონტრაქტორების ჩართვა, მაშინ სატენდერო განცხადების მე-7 პუნქტის მოთხოვნები სავალდებულო იქნება ასევე ყველა სუბკონტრაქტორისათვისაც.

11. საქონლის მიწოდება სასურველია განხორციელდეს ეტაპობრივად შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების გაფორმების დღიდან 2009 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, შემსყიდველის მისამართზე.

12. პრეტენდენტს უნდა გააჩნდეს შესაძლებლობა მიაწოდოს შემსყიდველს ქიმიური რეაქტივები მოთხოვნილი სისუფთავის ხარისხის მიხედვით.

13. ტენდერში მონაწილეობის მსურველ ყველა ფიზიკურ და იურიდიულ პირს შეუძლია სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე შემსყიდველ ორგანიზაციაში გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას.

14. ალტერნატიული სატენდერო წინადადებები არ განიხილება.

15. შესყიდვებში მონაწილეობის მსურველ პირებს დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სატენდერო კომისიის აპარატში: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი №84, მე-4 სართული.

საკონტაქტო პირი: ზვიად გაბისონია. მობ: 899 67 87 79

## განცხადება
## აუქციონის ჩატარების შესახებ

გორის საგადასახადო ინსპექცია 2009 წლის 10 აპრილს, დღის 12 საათზე, ქ. გორში, სამეფოს ქ. №50-ში, კოოპერატიული საწარმო ორეული -ს (ს/ნ 236036703) ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის მიზნით, ატარებს განმეორებით ღია აუქციონს.

**სარეალიზაციოდ გამოტანილი იქნება შემდეგი ქონება:**

1. ხერხის სალესი ჩარხი - 1 ცალი 150 (ასორმოცდაათი) ლარი;
2. რეისმუსი - 1 ცალი 1400 (ათას ოთხასი) ლარი;
3. ფიცრის სარანდი ჩარხი - 2 ცალი 2200 (ორი ათას ორასი) ლარი;
4. ხის დამამუშავებელი - 1 ცალი 130 (ათას სამასი) ლარი;
5. ელექტრო ტელფერი - 1 ცალი 900 (ცხრაასი) ლარი;
6. დანების სალესი ჩარხი - 1 ცალი 400 (ოთხასი) ლარი;
7. ავტომანქანა იჟ-2717 - 1 ცალი 500 (ხუთასი) ლარი;
8. სატრანსპორტო სადგური - 1 ცალი 4500 (ოთხი ათას ხუთასი) ლარი;
9. სახარატო დაზგა - 1 ცალი 4200 (ოთხი ათას ორასი) ლარი);
10. სახერხი დაზგა - 2 ცალი 1900 (ათას ცხრაასი) ლარი;
11. რადიალური ხერხი - 1 ცალი 950 (ცხრაას ორმოცდაათი) ლარი;
12. საბურღი დაზგა - 2 ცალი 1200 (ათას ორასი) ლარი;
13. ელ. შემდუღებელი აპარატი - 1 ცალი 350 (სამას ორმოცდაათი) ლარი;
14. კომპრესორი - 1 ცალი 250 (ორას ორმოცდაათი) ლარი;
15. სალესი დაზგა - 1 ცალი 350 (სამას ორმოცდაათი) ლარი;
16. გვერდების ჩამოსაგანი დაზგა - 1 ცალი 750 (შვიდას ორმოცდაათი) ლარი;
17. მოძრავი ცირკული - 1 ცალი 850 (რვაას ორმოცდაათი) ლარი;
18. სავენტილაციო სისტემა - 1 ცალი 1600 (ათას ექვსასი) ლარი;
19. სასაწყობო ნაგებობა - 214.2 კვ.მ 25000 (ოცდახუთი ათასი) ლარი.

**სულ სარეალიზაციოდ გამოტანილი ქონების საწყისი ფასი შეადგენს 48750 (ორმოცდარვა ათას შვიდას ორმოცდაათი) ლარს.**

**ქონება მდებარეობს მისამართზე - მცხეთის რ-ნი, სოფ. ქსანი.**

მესამე პირები, რომელთაც გააჩნიათ უფლებები ამ ქონებაზე, ვალდებულნი არიან ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებანი აუქციონის დაწყებამდე წარუდგინონ გორის საგადასახადო ინსპექციას.

აუქციონზე მონაწილეობის მსურველი პირი ვალდებულია აუქციონის დაწყებამდე ხაზინის სადეპოზიტო ქვეანგარიშზე **(302006000)** წინასწარ შეიტანოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იმ ნივთის საწყისი ღირებულების **2%**, რომლის შეძენასაც აპირებს, რაც გამარჯვების შემთხვევაში ჩაითვლება გადახდილი თანხის ანგარიშში.

პირი, რომლის შემოთავაზებული ფასი მიღებული იქნება აუქციონზე და რომელიც შეისყიდის ჩამორთმეულ ქონებას, ვალდებულია დაუყოვნებლივ გადაიხადოს თავის მიერ შემოთავაზებული ფასის არანაკლებ ნახევარი ან 5000 ლარი, უმცირესი თანხის მიხედვით, ხოლო თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა დაიფაროს რეალიზაციიდან **14** კალენდარული დღის განმავლობაში. თანხის მთლიანად დაფარვამდე მყიდველს არ გააჩნია ქონებაზე საკუთრების უფლება.

ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს, გორის საგადასახადო ინსპექციასთან შეთანხმებით წინასწარ გაეცნოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილ ქონებას.

ცნობებისათვის მიმართეთ გორის საგადასახადო ინსპექციას.
**მისამართზე: ქ. გორი, სამეფოს ქ. N50.**
**ტელ.: 8-270-73590; 8-270-75817.**

**დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრის პედიატრიული სამსახური**
**მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის,**
**პროფესორ ქეთევან ბარაბაძის ხელმძღვანელობით გთავაზობთ:**

- ბავშვთა მწვავე და ქრონიკული დაავადებების დროულ, ზუსტ დიაგნოსტიკასა და მკურნალობას მსოფლიოში აღიარებული სტანდარტების შესაბამისად უახლესი ლაბორატორიული, ექოსკოპიური, ენდოსკოპიური, ელექტროენცეფალოგრაფიული, რენტგენოლოგიური, კომპიუტერულ ტომოგრაფიული და სხვა მეთოდების გამოყენებით
- დღის სტაციონარს თანამედროვე ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული კვლევებისა და მკურნალობისთვის საჭირო მანიპულაციების სრული კომპლექსით
- ბავშვთა ვაქცინაციას უმაღლესი ხარისხის კომბინირებული ვაქცინებით, რაც უზრუნველყოფს მყარ იმუნიტეტს აცრის შემდგომი გართულებების მინიმუმამდე დაყვანით

**ბავშვთა მოვლისა და მკურნალობის ნებისმიერ საკითხზე**
**მიმართეთ პედიატრიულ სამსახურს**
მის.: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი
თბილისი, თენგიზ აბულაძის 20
(ვაკე, „სამების“ ეკლესიის უკან)
**ტელ.: 91 31 19; 91 32 42; (893) 28 24 20;**

**დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრის პედიატრიული სამსახური**
**მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის,**
**პროფესორ ქეთევან ბარაბაძის ხელმძღვანელობით გთავაზობთ:**

- ბავშვთა მწვავე და ქრონიკული დაავადებების დროულ, ზუსტ დიაგნოსტიკასა და მკურნალობას მსოფლიოში აღიარებული სტანდარტების შესაბამისად უახლესი ლაბორატორიული, ექოსკოპიური, ენდოსკოპიური, ელექტროენცეფალოგრაფიული, რენტგენოლოგიური, კომპიუტერულ ტომოგრაფიული და სხვა მეთოდების გამოყენებით
- დღის სტაციონარს თანამედროვე ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული კვლევებისა და მკურნალობისთვის საჭირო მანიპულაციების სრული კომპლექსით
- ბავშვთა ვაქცინაციას უმაღლესი ხარისხის კომბინირებული ვაქცინებით, რაც უზრუნველყოფს მყარ იმუნიტეტს აცრის შემდგომი გართულებების მინიმუმამდე დაყვანით

**ბავშვთა მოვლისა და მკურნალობის ნებისმიერ საკითხზე**
**მიმართეთ პედიატრიულ სამსახურს**
მის.: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი
თბილისი, თენგიზ აბულაძის 20
(ვაკე, „სამების“ ეკლესიის უკან)
**ტელ.: 91 31 19; 91 32 42; (893) 28 24 20;**

# შპს "საქართველოს რკინიგზა" 2009 წლის 13 მარტიდან აცხადებს ტენდერს სამგზავრო ვაგონების შიდა მოწყობილობების მარაგ-ნაწილების შესყიდვის შესახებ

შპს "საქართველოს რკინიგზა" (მდებარე ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15) აცხადებს ტენდერს **სამგზავრო ვაგონების შიდა მოწყობილობების მარაგ-ნაწილების** შესყიდვის შესახებ და იწვევს ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

**1.** დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი **500 (ხუთასი)** ლარის ოდენობით შემდეგ რეკვიზიტებზე: ს/ს ბანკი "რესპუბლიკა" ცენტრალური ფილიალი, კოდი: 220101757, ანგარიშის №10494921495;

სატენდერო დოკუმენტაცია (შედგენილი ქართულ ენაზე) გაიცემა 2009 წლის **13 მარტიდან 3 აპრილის** ჩათვლით სატენდერ მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნის შესახებ მიმართვის წარმოდგენის საფუძველზე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. № 15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო.

**2.** შესყიდვის ობიექტი :

| ლოტი № | საქონლის დასახელება და განსაკუთრებული თავისებურებანი | ერთეული | რაოდენობა | მოწოდების ვადა |
|---|---|---|---|---|
| | | | | |
| 1 | ანჯამა კარის მარცხენა | წყვილი | 20 | 2009 წლის II კვ |
| | ანჯამა კუპე ვაგონის კარების ორმხრივი | ცალი | 100 | |
| | ჩამკეტის ქანჩურა სამკეთხა (ბარაშკა) | ცალი | 100 | |
| | საკეტი ერთმხრივი (მარცხენა) ვაგონის ტამბურის | ცალი | 10 | |
| | საკეტი ერთმხრივი (მარჯვენა) ვაგონის ტამბურის | ცალი | 10 | |
| | საკეტი ორმაგი გასაღებით ვაგონის ტამბურის | ცალი | 25 | |
| | საკეტი ორმაგი გასაწევი კარის (მარცხენა) | ცალი | 25 | |
| | საკეტი ორმაგი სამწახნაგა (მარცხენა) ვაგონის ტამბურის | ცალი | 25 | |
| | საკეტი ორმაგი სამწახნაგა (მარჯვენა) ვაგონის ტამბურის | ცალი | 25 | |
| | საკეტი ორმაგი ზედნადები (მარცხენა) ვაგონის ტუალეტის | ცალი | 25 | |
| | საკეტი ორმაგი ზედნადები (მარჯვენა) ვაგონის ტუალეტის | ცალი | 25 | |
| | სამკაპა საკიდი | ცალი | 1 000 | |
| | სახელური ფანჯრის (კუპე ვაგონის) | ცალი | 50 | |
| | სახელური ფანჯრის (პლაცკარტის) | ცალი | 50 | |
| | სახელური გასაწევი კარის ვაგონის კუპის | წყვილი | 50 | |
| | სახელური კარის შესახვლელის | წყვილი | 50 | |
| | სახელური კომბინირებული კარის ვაგონის ტამბურის | წყვილი | 50 | |
| | ქანჩურა კუპის კარის სამკუთხა (ბარაშკა) | ცალი | 100 | |
| | ქანჩურა ტამბურის კარის სამკუთხა (ბარაშკა) | ცალი | 100 | |
| | | | | |
| 2 | ონკანი მადუღარას 1/2" | ცალი | 40 | 2009 წლის II კვ |
| | ონკანი ტიტანის დასაცლელი სამსვლიანი | ცალი | 40 | |
| | ონკანი ტიტანის სამსვლიანი | ცალი | 40 | |
| | ონკანი ვაგონის წყლის "მჟრქვევანა" | ცალი | 40 | |
| | შემრევი წყლის | ცალი | 20 | |
| | ვაგონის ტუალეტის წყლის შემრევი | ცალი | 20 | |
| | მადუღარას ონკანი 3/8" | ცალი | 50 | |
| | ონკანი 3/4" (წყლის) | ცალი | 20 | |
| | ონკანი წყლის 1/2" | ცალი | 20 | |
| | ვენტილი (ურდული) დიამეტრით 100მმ | ცალი | 2 | |
| | ვენტილი 1 1/2" | ცალი | 10 | |
| | ვენტილი 1 1/4" | ცალი | 10 | |
| | ვენტილი 1/2" | ცალი | 50 | |
| | ვენტილი 1" | ცალი | 10 | |
| | ვენტილი 2 1/2" | ცალი | 10 | |
| | ვენტილი 2" | ცალი | 5 | |
| | ვენტილი 3/4" | ცალი | 20 | |
| | ვენტილი წყლის დ-25 | ცალი | 20 | |
| | ონკანი კუპე ვაგონის პირსაბანის | ცალი | 150 | |
| | | | | |
| 3 | ლინოლეუმი 2-3 მმ სისქის, ცვეთაგამძლე (მუქი ფერის) | კვ.მ | 1 500 | ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 დღის განმავლობაში |
| | პლასტიკატი (თეთრი) | კვ.მ | 100 | |
| | პლასტიკატი (ყავისფერი) | კვ.მ | 100 | |
| | | | | |
| 4 | კუპე ვაგონის ტუალეტის სარქველი | ცალი | 20 | 2009 წლის II კვ |
| | პლ. ვაგონის ტუალეტის სარქველი | ცალი | 20 | |
| | ნიჟარა ვაგონის ტუალეტის უნიტაზის ფაიფურის | ცალი | 10 | |
| | მილი გოფრირებული ნიჟარის შემაერთებელი | ცალი | 50 | |
| | უნიტაზის სახურავი | ცალი | 20 | |
| | ტუმბო ხელის "როდნიკი" | ცალი | 10 | |
| | | | | |
| 5 | კუპირებული ვაგონის პლაფონის შუშა (კორიდორის) | ცალი | 100 | 2009 წლის II კვ |
| | პლაცკარტი ვაგონის პლაფონის კვადრატული შუშა | ცალი | 150 | |
| | პლაფონი ორნათურიანი განათების 0602-146/1100 | ცალი | 50 | |
| | პლაფონის შუშა (კუპის) | ცალი | 250 | |
| | | | | |
| 6 | სუფთლე რეზინის | კომპ | 20 | 2009 წლის II კვ |
| | უნიტაზის მეფეტა (კუპე) | ცალი | 100 | |
| | უნიტაზის მეფეტა (პლაცკარტი) | ცალი | 100 | |

**შენიშვნა:** *№3 ლოტში მონაწილე ყველა პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს შემოთავაზებული პროდუქციის ნიმუში პაკეტების გახსნის დღეს*

**3. მიწოდების პირობა და ადგილი:** DDP თბილისი;

**4.** პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება დალუქული კონვერტებში, ქართულ *(დასაშვებია აგრეთვე რუსულ და ინგლისურ ენებზე)* ან/და თარგმნილი ქართულ ენაზე დამოწმებული ნოტარიული წესით უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) **2009 წლის 3 აპრილის ჩათვლით** 9სთ 00 წთ დან – 18 სთ და 00 წთ მდე, მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო.

**5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:**

**იურიდიული პირებისათვის :**

1. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
2. ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;
3. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო წინადადების ღირებულების **5%-იანი** საბანკო გარანტიის წარმოდგენა, **რომლის მოქმედების ვადა უნდა იყო არანაკლებ 60 დღე პაკეტების გახსნიდან დღიდან.**

**ფიზიკური პირებისათვის :**

1. ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;
2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
3. ინდ/მეწარმის რეგისტრაციის საბუთი;
4. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო წინადადების ღირებულების **5%-იანი** საბანკო გარანტიის წარმოდგენა, **რომლის მოქმედების ვადა უნდა იყო არანაკლებ 60 დღე პაკეტების გახსნიდან დღიდან.**

**6. ყველა პრეტენდენტმა აუცილებლად უნდა წარმოადგინოს :**

1. ხელმოწერილი (იურიდიული პირებისა და ინდივიდუალური მეწარმეთათვის ასევე ბეჭდით დამოწმებული), სატენდერო წინადადება რომლის მოქმედების ვადა არ უნდა იყოს 30 დღეზე ნაკლები და (ნიმუში წარმოდგენილია სატენდერო დოკუმენტაციაში), რომელშიც აუცილებლად უნდა იყოს მითითებული ლოტის ღირებულება, სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა **(არ დაიშვება ავანსი და აკრედიტივი).**

2. სატენდერო წინადადების ფასი წამოდგენილი უნდა იქნას ეროვნულ ან უცხოურ ვალუტაში **დღგ–ს გარეშე:** უცხოურ ვალუტაში სატენდერო წინადადების ფასის დაფიქსირების შემთხვევაში მისი შეფასება მოხდება სატენდერო პაკეტების გახსნის დღეს ეროვნული ბანკის მიერ დაფიქსირებული კურსის შესაბამისად;

3. **გამარჯვებულის გამოვლენის შემთხვევაში მომწოდებელმა ხელშეკრულების გაფორმებამდე უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია (მხოლოდ საბანკო დაწესებულებიდან) ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით,** რომლის მოქმედების ვადა 50 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების საბოლოო შესრულების ვადას;

პრეტენდენტები არ დაიშვებიან შეფასებაზე თუ მათ მიმართ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება და მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტოში, ტელ **56-33-71 მაკა ჟუჟუნაშვილი;** (სატენდერო კომისიის აპარატის შემადგენლობა: ნ. კონჯარია 56-38-60 თ. ხოკერაშვილი 56-39-30; ი. ლობჟანიძე 56-46-96;)

სატენდერო კომისია

**დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრის**
**პედიატრიული სამსახური**
**მედიცინის**
**მეცნიერებათა დოქტორის,**
**პროფესორ ქეთევან**
**ბარაბაძის ხელმძღვანელობით**
**გთავაზობთ:**

- ბავშვთა მწვავე და ქრონიკული დაავადებების დროულ, ზუსტ დიაგნოსტიკასა და მკურნალობას მსოფლიოში აღიარებული სტანდარტების შესაბამისად უახლესი ლაბორატორიული, ექოსკოპიური, ენდოსკოპიური, ელექტროენცეფალოგრაფიული, რენტგენოლოგიური, კომპიუტერულ ტომოგრაფიული და სხვა მეთოდების გამოყენებით
- დღის სტაციონარს თანამედროვე ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული კვლევებისა და მკურნალობისთვის საჭირო მანიპულაციების სრული კომპლექსით
- ბავშვთა ვაქცინაციას უმაღლესი ხარისხის კომბინირებული ვაქცინებით, რაც უზრუნველყოფს მყარ იმუნიტეტს აცრის შემდგომი გართულებების მინიმუმამდე დაყვანით

**ბავშვთა მოვლისა და მკურნალობის ნებისმიერ საკითხზე**
**მიმართეთ პედიატრიულ სამსახურს**
მის.: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი
თბილისი, თენგიზ აბულაძის 20 (ვაკე, „სამების" ეკლესიის უკან)

**ტელ.: 91 31 19; 91 32 42; (893) 28 24 20;**